

გიორგი მაჩაბელი
GIORGI MATCHABELLI



ექვნიება გიორგი მაჩაბლის დაბადებიდან 130-ე და გარდაცვალებიდან მე-80 წლისთავს

Dedicated to the 130th birthday and the 80th death anniversaries of Giorgi Matchabelli



რუსუდან დაუშვილი ოთარ ჯანელიძე

Rusudan Daushvili Otar Janelidze

ბიორბი მარჩბელი
GIORGI MATCHABELLI



UDC (უაკ)338.22+32(479.22)(092)

დ-243

ჯ-221

წიგნში გაშუქებულია საქართველოს თავისუფლებისათვის თვალსაჩინო მებრძოლის, დიპლომატის, ბიზნესმენის, მსოფლიოში ცნობილი პარფიუმერული კომპანიის – „პრინცი მაჩაბლის“ დამფუძნებლის გიორგი მაჩაბელის ცხოვრება და მოღვაწეობა.

In the book, we portray the life and activities of Giorgi Matchabelli, renowned fighter for Georgian independence, diplomat, businessman, founder of the world renowned perfume company “Prince Matchabelli”.

ISBN 978-9941-9620-4-2

შინაარსი

წინათქმა Introduction	7
მადლობა Gratitude	10
გიორგი მანაზღის წინაპრები Ancestors of Giorgi Matchabelli	11
გიორგი მანაზღის ოჯახი. გიორგის მოწაფეობა და სტუდენტობა Family of Giorgi Matchabelli. Giorgi's schoolyears and studenthood	17
გიორგი მანაზღელი და „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“ Giorgi Matchabelli and the “Committee of Liberation of Georgia”	30
გიორგი მანაზღელი დიპლომატიურ ასპარეზზე Giorgi Matchabelli on the diplomatic arena	57
ამერიკაში. ანტიკვარი და პარფიუმერი In America. Antiquarian and Perfumer	70
გიორგი მანაზღის საზოგადოებრივი საქმიანობა ამერიკაში Public activities of Giorgi Matchabelli in America	99
გარდაცვალება Death	107
გიორგი მანაზღის სახელისა და ხსოვნის უკვდავყოფა Commemorating the name of Giorgi Matchabelli	113

„განთავისუფლებული საქართველო და მომავალი თაობანიც იამაყებენ იმ თავგადასავლით, რომლითაც ძვირფასმა გიორგიმ დაამშვენა ერთ-ერთი ულამაზესი, უსაშიშროესი და უღრმესი განცდებით სავსე ფურცელი ჩვენი ახალი ისტორიისა“.

ჟურნალი „სამშობლო“, პარიზი, 1935, N17-18 (ოქტომბერი)

„Free Georgia and future generations will be proud of this adventure, by which our precious Giorgi beautified one of the most exciting and deeply sensitive pages of our new history“

Newspaper „Samshoblo“, Paris, 1935, N 17-18 (October)



წინათქმა

გიორგი მაჩაბელი გამორჩეული სახელია საქართველოს ახალ ისტორიაში. ის იყო სამშობლოს თავისუფლებისათვის თვალსაჩინო მებრძოლი, ეროვნული და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი და მილიონერი ბიზნესმენი. ამასთან, მსოფლიო მას იცნობს, როგორც პარფიუმერული ინდუსტრიის პიონერს ამერიკის შეერთებულ შტატებში და სახელგანთქმული სუნამოების ფირმის - „პრინცი მაჩაბლის“ ფუძემდებელს.

გიორგი მაჩაბელი ძირძველი ქართული მხარის - შიდა ქართლის მკვიდრია. აღმოსავლეთ საქართველოს ამ ისტორიულ კუთხეში XV საუკუნის დასაწყისიდან რამდენიმე მცირე პოლიტიკური ერთეული - არაგვის საერისთავო, საციციანო, საამილახვრო, სამუხრანბატონო და სხვ. - წარმოიშვა. მათ რიცხვში იყო სამაჩაბლოც - მაჩაბლების თავადური გვარის სამფლობელო, რომელიც მდინარე ლიახვის შუა და ზემო წელზე, აჩაბეთის ხევეში აღმოცენდა და აერთიანებდა სოფლებს: თამარაშენი, აჩაბეთი, ზემო მონასტერი, თირი, ლელი, ქურთა, საბანმინდა, კეხვი, ხეითი, ფრისი, ქემერტი, ძარნემი, სვერი, დიცი, ვანათი, ჯავა, ერგნეთი და სხვ. მაჩაბელთა მამულში შედიოდა აგრეთვე ყელეს ხეობა და დვალეთი.

სამაჩაბლოს რეზიდენცია აჩაბეთში მდებარეობდა, სადაც, მემატინანის სიტყვით, „არს სასახლე და ციხე მეფეთა“. სახელწოდება „სამაჩაბლო“ მაჩაბელთა ფეოდალური

Introduction

Giorgi Matchabelli is a distinguished name in modern history of Georgia. He was a prominent fighter for the freedom of his homeland, national and political figure, diplomat and millionaire businessman. At the same time, the world knows him as a pioneer of the perfume industry in the United States and founder of a celebrated fragrance company – “Prince Matchabelli”.

Giorgi Matchabelli was from an indigenous Georgian province - Shida Kartli. In the XV century in this historic corner of Eastern Georgia, there emerged several small political units - Aragvi Principality, Satsitsiano, Saamilakhvro, Samukhranbatono and others. Among them was Samachablo – a property of the Machabelli princely family which appeared on the Achabeti ravine on the banks of middle and upper Liakhvi River uniting the villages of Tamarasheni, Achabeti, Upper Monastery, Tiri, Leli, Kurta, Sabatsminda, Kekhvi, Kheiti, Prisi, Kemerti, Dzartsemi, Sveri, Dici, Vanati, Java, Ergneti and others. Machabelli estate also included Zhele Valley and Dvaleti.

Samachablo Residence was situated in Achabeti where, according to the chronicler, “there is a palace and fortress of Kings”. The name “Samachablo” originated from a feudal family name of the Machabelli and is linked namely to the possession of Achabeti.

გვარიდან მომდინარეობს და დაკავშირებულია სწორედ აჩაბეთის ფლობასთან.

ნარატიული თუ დოკუმენტური წყაროების თანახმად, სამაჩაბლო, რომელიც „არის ზურგი საქართველოსი, მისი ხერხემალი“, მუდამ ეთნიკური ქართველებით იყო დასახლებული. ქართული იყო აქაურთა, როგორც სახელმწიფო, ისე საეკლესიო, და ზოგადად - კულტურის ენა. ამასვე ცხადყოფს ადგილობრივი ტოპონიმები, ჰიდრონიმები, რეგიონში შემორჩენილი ხუროთმოძღვრული ძეგლები და ეპიგრაფიკული მასალაც. მოგვიანებით, XVII-XVIII საუკუნეებიდან სამაჩაბლოს ფარგლებში, ხიზანთა სახით, ოსი მოსახლეობაც გაჩნდა, თუმცა მოსულთა რიცხვი უმნიშვნელო იყო მკვიდრ ქართველებთან შედარებით.

XIX საუკუნეში, როდესაც საქართველო რუსეთმა დაიპყრო, მეფის მთავრობამ მაჩაბელთა მრავალრიცხოვანი ყმები სახაზინო უწყებას გადასცა, 1850 წელს კი სამაჩაბლო, როგორც სათავადო, საერთოდ გაუქმდა. ამავე პერიოდიდან მასობრივი ხასიათი შეიძინა ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა ჩამოსახლების პროცესმა.

1922 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ სამაჩაბლოს სოფლები ხელოვნურად შექმნილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მოაქცია. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში ოლქში სეპარატისტული მოძრაობა გაძლიერდა, რაც ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტში გადაიზარდა. ოსებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და ფაქტობრივად საქართველოს იურისდიქციიდან გავიდნენ.

According both to narrative and documentary sources, Samachablo “which is the back of Georgia, its backbone”, has always been inhabited by ethnic Georgians. Georgian was the language of locals, both a state and church language, and in general - the language of Georgian culture. This is illustrated by local toponyms and hydronyms, by preserved monuments and epigraphic materials in the region. Later, in XVII-XVIII centuries within the territorial frame of Samachablo there is noted presence of Ossetian population as refugees, but the number of newcomers was much less than the number of local residents.

In the XIX century, when Russia conquered Georgia, the Government gave numerous serfs of the Machabelis to the Royal Treasury Department, in 1850 Samachablo as a principality was completely canceled. At the same time process of migration of Ossetians from the North Caucasus to Georgian territories acquired a mass character.

In 1922, the Soviet government included Samachablo villages in the artificially created Autonomous District of South Ossetia. In the last years of the Soviet Union in the district there increased a separatist movement which grew into an ethno-political conflict. Ossetians declared independence, and were left out of Georgian jurisdiction.

After 2008 Russo-Georgian war the native land of Giorgi Matchabelli became isolated from the rest of Geor-

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ გიორგი მაჩაბლის მშობლიური კუთხე დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტილია. ე. წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკად“ სახელდებული ეს ტერიტორია, საიდანაც ქართველი მოსახლეობა გამოდევნეს, რუსეთის ჯარების მიერ არის ოკუპირებული. ადგილობრივი ოსური სეპარატისტული რეჟიმი ცდილობს აღმოფხვრას ქართული კვალი ისტორიულ სამაჩაბლოში, მიზანმიმართულად ანადგურებს ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას, მათ შორის იავარქმნილია ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი სოფელ თამარაშენში და სხვ.

gia. The so-called, “Republic of South Ossetia” territory, from which Georgian population was driven out is occupied by Russian troops. Local Ossetian separatist regime is trying to erase Georgian traces in historical Samachablo, deliberately destroying Georgian cultural heritage, including demolished Ivane Machabeli house-museum in the village of Tamarasheni and others.

გადლოზა

წინამდებარე ნაშრომი, რომელიც გიორგი მაჩაბლის დაბადებიდან 130-ე და გარდაცვალებიდან მე-80 წლისთავს ეძღვნება, ორენოვანია. იგი ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოდის. უნიკალური ფოტომასალით ილუსტრირებული ეს გამოცემა მონოგრაფიულად აშუქებს გიორგი მაჩაბლის შინაარსიან ცხოვრება-მოღვაწეობას, რითაც პატივს მივაგებთ და უკვდავყოფთ ღირსეული მამულიშვილის ხსოვნას.

ნაშრომი უცხოენოვან მკითხველს და მთლიანად გაათლებულ კაცობრიობას კიდევ ერთხელ შეახსენებს, რომ გიორგი მაჩაბელი იმ კუთხის შვილია, რომელიც დღეს დედასამშობლოსგან მავთულხლართებითაა გამიჯნული და საქართველოს იურისდიქციას აღარ ექვემდებარება. გიორგი მაჩაბლის ისტორიულ სამკვიდროში, ახლა, სამწუხაროდ, კულტურული მემკვიდრეობა სრულიად დაუცველია, მას უნუგემოდ ხელყოფენ და ცდილობენ ნაშალონ ქართული კვალი. იმედია, საერთაშორისო საზოგადოებრიობა ხმას აღიმალღებს ხსენებული ბოროტების გამო და დაგმობს ამ უსამართლო ქმედებებს.

გიორგი მაჩაბელი იმ ქართველ პატრიოტთა წრეს ეკუთვნის, რომელთა სახელებთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს. ახლა, როცა ამ ისტორიული თარიღიდან ასი წელი შესრულდა, წინამდებარე ნაშრომი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საუკუნოვან იუბილესაც ეხმიანება.

წიგნი საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ფინანსური მხარდაჭერით მომზადდა და დაისტამბა. ამ საშვილიშვილო საქმის აღსრულებაში განეული თანადგომისათვის, ავტორები მადლობას სწირავენ ბიბლიოთეკის დირექციას.

Gratitude

The present work which is dedicated to the 130th birth and 80th death anniversaries of Giorgi Matchabelli is bilingual. It is published in Georgian and English. This publication is illustrated with unique photographs covering meaningful life and activities of Giorgi Matchabelli in a monograph by which we honor and perpetuate the memory of a worthy patriot. The work will remind foreign readers and entire educated mankind once more that Giorgi Matchabelli was born in a country, which is torn from its Motherland by barbed wires and is now no longer a subject to the jurisdiction of Georgia. Unfortunately, now, in the historical inheritance of Giorgi Matchabelli, the cultural heritage is completely unprotected, it is mercilessly destroyed and there are attempts to erase Georgian traces there. Hopefully, the international community will raise the voice concerning this cruelty and condemn these unjust actions.

Giorgi Matchabelli belongs to the circle of Georgian patriots, to whose names is closely related the restoration of the Georgian Statehood on May 26, 1918. Now, when we mark 100 years from this historical date, the current work responds to a centenary of the Georgian Democratic Republic.

The book was prepared and published with the financial support of Ilia Chavchavadze National Library. The authors express their gratitude to the library management for the realization of this project.

ბიორგი მარაბლის წინაპრები

მარაბელი ისტორიული ქართული გვარია და აქამდე მიკვლეულ საბუთებში პირველად XIII საუკუნეში იხსენიება.

ქართველი მემატიანის, ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „მარაბელი იტყვის ანჩაფისძეობას, აფხაზეთიდან მოსვლას, გარნა ახალი არს“. მსგავსი თვალსაზრისი გამოთქმული აქვს ასევე იოანე ბაგრატიონს, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში მარაბელთა დამკვიდრებას XV საუკუნით ათარიღებს.

აღნიშნულ ცნობათა ანალიზის საფუძველზე, აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია ვარაუდობდა, რომ მარაბელთა წინაპარი ანჩაბადეები აფხაზეთიდან (დასავლეთ საქართველო) ლიახვის ხეობაში X საუკუნეში, „ფეოდალური კოლონიზაციის“ პროცესში, გადმოვიდნენ და რეზიდენცია აჩაბეთიც სახელწოდებას მათი გვარისაგან უნდა იღებდეს. ამ შეხედულებას სრულად იზიარებს ისტორიკოსი გიორგი ანჩაბაძე.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მარაბელთა წარმომავლობის საკითხზე ვხვდებით განსხვავებულ მოსაზრებებსაც: ზოგიერთი მეცნიერი (ნუგზარ ანდღულაძე, ჯონდო გვასალია) მიიჩნევს, რომ მარაბელთა წინაპრები იყვნენ აზნაური თავხელისძეები, ხოლო გვარი „მარაბელი“ წარმოდგა სახელისაგან „მარაბელი“.

მეორე თვალსაზრისით, რომელიც ისტორიკოს თენგიზ ჩხეიძეს ეკუთვნის, გვარი მარაბელი გაცილებით ადრე

Ancestors of Giorgi Matchabelli

Machabeli is a historic Georgian surname, and is mentioned first in the documents of the XIII century.

According to a Georgian historian, Vakhushti Bagrationi, “Machabeli is the same as Anchapisdze, coming from Abkhazia, though a new family”. The same point of view was expressed also by Ioane Bagrationi, who dates settlement of the Machabelis in Eastern Georgia to the XV century.

On the bases of abovementioned data analysis, Academician Simon Janashia supposed that the Anchabadzes who were ancestors of the Machabelis from Abkhazia (Western Georgia) come to the Liakhvi Valley in the X century, during the process of “feudal colonization”, and their residence Achabeti took its name from this family name. This view was fully shared by historian Giorgi Anchabadze.

In Georgian historiography, we find different viewpoints about the origin of the Machabeli family name: some scientist (David Andguladze, Jondo Gvasalia) believe that the ancestors of the Machabelis were nobleman Tavkhelisdzes, and the surname “Machabeli” derived from the proper name “Machabeli”.

According to the second point of view, which belongs to the historian Tengiz Chkheidze, the surname Macha-



დიდი ლიახვის ხეობა
Didi Liakhvi Gorge

უნდა წარმოშობილიყო და იგი უკავშირდება ტოპონიმ აჩაბეთს, რომელიც VII საუკუნეში უკვე არსებობდა. მკვლევარ გიორგი სოსიაშვილის მოსაზრების თანახმად კი, მაჩაბელი ტოპონიმ აჩაბეთიდან მომდინარეობს, ოღონდ სახელი მაჩაბელი გვარსახელ მაჩაბლისაგან უნდა იყოს შექმნილი.

ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ცნობილი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის მოკლე ჩანაწერიც მისი უბის წიგნაკიდან. მწერალს ერთგან ჩაუნიშნავს: „რამდენიმე მაჩაბელს გამოვკითხე, საიდან იშვა მათი გვარი, მაგრამ ვერ მითხრეს. მიკვირს. აჩაბეთი მათი სოფელი იყო და მაინც ვერ მიმხვდარან (აჩაბეთი-აჩაბელი-მაჩაბელი)“.

beli should have appeared much earlier and it has been linked to toponym Achabeti, which already existed in the VII century. According to the opinion of the researcher Giorgi Sosiashvili, Machabeli comes from the toponym Achabeti but the name Machabeli should be created from the family name Machabeli.

In this respect, a short record from a notebook of a famous Georgian writer Mikheil Javakhishvili is very interesting. The writer noted: “I interviewed several Machabelis, about the origin of their last name, but I could not get any answer. I am surprised. Achabeti was their village but they still do not realize links to it (Achabeti-Achabeli-Machabeli)”.

In historical sources there is a lot of important available information about the Machabelis. For example, in “The Machabeli Life of Kartli” it is noted that in 1403 when Shida Kartli was invaded by the army of Tamerlane Khalelamprez Machabeli opposed it with 2.000 Georgian and Ossetian warriors. He appointed his son Arkapos as a commander-in-chief of the army and forced the invader to leave the region.

At the turn of the XIV-XV centuries the Machabelis appear as ktitors on the Holy Land. They founded St. Catherine Nunnery in Jerusalem. In the XV century the Machabeli family diminished and even disappeared. Georgian Royalty gave the oldest Machabeli estates to a newly elevated family – the Tavkhelidzes, this means that the Tavkhelidzes were turned into “the Machabe-



წმინდა ეკატერინეს მონასტერი
St. Catherine Monastery

საისტორიო წყაროებში მანაბლების შესახებ არაერთი საყურადღებო ცნობა მოიპოვება. მაგალითად, „მანაბლისეული ქართლის ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ 1403 წელს შიდა ქართლში შემოჭრილ თემურ-ლენგის ლაშქარს ხალელამპრეზ მანაბელმა ქართველთა და ოსთა 2.000-ანი მხედრობა დაუპირისპირა, ჯარს თავისი ძე არქაპოსი უსარდლა და დამპყრობელი აიძულა, იქაურობას გასცლოდა.

XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე მანაბლები წმინდა მინაზე ქტიტორებად გვევლინებიან. მათ იერუსალიმში წმინდა ეკატერინეს დედათა მონასტერი დაუარსებიათ.

lis”. Tavkhelidzes and Machabelis had been promoted by the Royal house and dominated in the Didi Liakhvi Gorge during the 80s of the XV century. From the historical sources of this period is known Zheshtel Machabeli who had fought on the side and under the flag of King Constantine II of Kartli in the battle of Aradeti against the principle of Samtskhe.

At the beginning of the XVI century the Machabelis hold the post of the Chamberlain in the Kingdom of Kartli, which indicates to their hierarchical ascent. From the documents are known also Steward Baram Machabeli, his son Kaikhosro, Siaosh, Kobul and Baadur Machabelis. Kaikhosro distinguished himself in the battle against the Ottomans in 1520, for which the King of Georgia, David X-, gave him many villages on the banks of “Didi Liakhvi”.

Tamaz Machabeli is mentioned in the Battle of Tashiskari in 1609 as a fellow fighter of Giorgi Saakadze. The Machabelis also made a major contribution in the Battle of Marabda. In July of 1625, in the fight against Persian invaders along with others there were killed nine Machabelis.

On April 12, 1802, when the royal family of the Bagratians and Georgian nobility were introduced to the manifest of the Emperor Alexander I, several princes from the Machabeli family refused to take the oath of allegiance to the Tsar. As a sign of protest they rushed out of Sioni Cathedral but as the Cathedral was under

XV საუკუნის დასაწყისში მაჩაბელთა გვარი დაკნინებულა და შეწყვეტილა კიდეც. ქართლის სამეფო კარმა მაჩაბლების ოდინდელი სამფლობელო ახლად აღზევებულ გვარს - თავხელისძეს დაუმკვიდრა, ე. ი. თავხელისძე მაჩაბლად დასვეს - „გაამაჩაბლეს“. თავხელისძე-მაჩაბლები XV საუკუნის 80-იან წლებში სამეფო კარზე ხელახლა წინაურდებიან და დიდი ლიახვის ხეობაშიც ძველებურად დომინირებენ. ამ პერიოდის საისტორიო წყაროდან ცნობილია ჟემტელ მაჩაბელი, რომელიც ქართლის მეფე კონსტანტინე II-სა და სამცხის მთავარს შორის მომხდარ არადეთის ბრძოლაში მეფის დროშის ქვეშ იბრძვის.

XVI საუკუნის დასაწყისში მაჩაბლები ქართლის სამეფოში სახლთუხუცესის სახელოს ფლობენ, რაც მათ იერარქიულ აღმასვლაზე მიუთითებს. ცნობილია სახლთუხუცესი ბარამ მაჩაბელი, ასევე, მისი ვაჟი ქაიხოსრო, სიაომ, ქობულ და ბაადურ მაჩაბლები. ქაიხოსრომ 1520 წელს თავი გამოიჩინა ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში, რისთვისაც ქართლის მეფე დავით X-მ მას „მრავალი სოფლები უბოძა დიდსა ლიახვზედა“.

თამაზ მაჩაბელი 1609 წელს გამართულ ტაშისკარის ბრძოლაში გიორგი სააკაძის თანამებრძოლადაა მოხსენიებული. მაჩაბლებს დიდი დამსახურება მიუძღვით მარაბდის ბრძოლაშიც. 1625 წლის ივლისში სპარსელ დამპყრობთა წინააღმდეგ შეტაკებას, სხვებთან ერთად, 9 მაჩაბლის სიცოცხლე შეენირა.

1802 წლის 12 აპრილს, როდესაც ბაგრატიონთა სამეფო ოჯახსა და ქართველ დიდებულებს თბილისში იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტს გააცნობდნენ, მა-



აჩაბეთის ციხე
Achabeti Fortress

the siege of Russian army the rebel noblemen were captured.

In the XVII-XVIII centuries Machabeli estates significantly expanded. They owned 30 villages and included their inhabitants to more than 250 households. By 1818 census, in the possession of the Machabeli family there were 60 villages. Part of the Machabelis besides Achabeti lived in the villages of Kurta, Tamarasheni and Tskhinvali. According to a Russian Historian N. Dubrovin, “In the Caucasus mountains, Ossetians living in the

ჩაბელთა გვარის წარმომადგენელმა რამდენიმე თავადმა უარი თქვა მიეღო რუსთხელმწიფის ერთგულების ფიცი. ისინი პროტესტის ნიშნად სიონიდან გარეთ გამოიჭრნენ, მაგრამ ტაძარი რუსის ჯარის ალყაში იყო მოქცეული და მემბოხე თავადები შეიპყრეს.

XVII-XVIII საუკუნეებში მაჩაბელთა სამფლობელო მნიშვნელოვნად გაფართოვდა. მათ საკუთრებაში 30-მდე სოფელი და მათში მოსახლე 250-ზე მეტი კომლი შედიოდა. 1818 წლის აღწერის მიხედვით, მაჩაბელთა მფლობელობაში 60-მდე სოფელი მოითვლებოდა. მაჩაბელთა ნაწილი აჩაბეთის გარდა ცხოვრობდა სოფლებში ქურთა, თამარაშენი და ცხინვალი.

რუსი ისტორიკოსის ნ. დუბროვინის თანახმად, „კავკასიის მთებში, მდინარეების - ფცისა და დიდი ლიახვის ხეობებში მცხოვრები ოსები ძველთაგანვე საქართველოს ქვეშევრდომები იყვნენ და ბატონად ჰყავდათ ქართველი თავადი მაჩაბელი, რომელსაც ბატონობა მემკვიდრეობით გადაეცემოდა“.

მაჩაბლებს, სხვა დიდ ფეოდალთა მსგავსად, თავიანთი საგვარეულო სამარხი გააჩნდათ. თავდაპირველად ეს იყო თირის მონასტერი, შემდეგ კი საბანმინდის საყდარი.

საბანმინდის ეკლესიაში შემორჩენილია XVIII საუკუნეში მცხოვრები გიორგი მაჩაბლის, მისი მეუღლე ელენესა და ზაალ მაჩაბლის საფლავის ქვები მხედრული წარწერებით.

valleys between the rivers - Psta and Liakhvi were subjects to Georgia and under Georgian Prince Matchabelli who inherited the domination”.

The Machabelis like other great feudal lords, had their own ancestral burial. Initially it was a Monastery of Tiri, then Church of Sabatsminda. At the Church of Sabatsminda there are preserved XVIII century gravestones of Giorgi Matchabelli, his wife Elene and Zaal Machabelli with inscriptions in Mxedruli.



თირის მონასტერი
Tiri Monastery



საბანმინდის ეკლესია
Sabatsminda Church

გიორგი მაჩაბლის ოჯახი. გიორგის მონაწილეობა და სტუდენტობა

გიორგი მაჩაბლის მამა, შექსპირის მთარგმნელის, ივანე მაჩაბლის უფროსი ძმა ვასილი (1845-1918) გალარი-ბებული მემამულის, გიორგი მაჩაბლის ოჯახში დაიბადა.

მატერიალური ხელმოკლეობის მიუხედავად, მათი კარ-მიდამო მშვენივრად იყო მოვლილი და მთელ კუთხეში გამოირჩეოდა. ივანე მაჩაბლის სიტყვით: „თუ სამოთხე დაერქმეოდა რასმეს, ეს სახელი მაშინ ჩვენს სახლ-კარს მოუხდებოდა“.

ვასილმა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. იყო იურისტი, ნაფიცი ვექილი.

დიდხანს ცხოვრობდა იმპერიის სატახტო ქალაქში და იყო სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის მემკვიდრის, ნიკო დადიანი-მინგრელსკის იურისკონსულტი. იქვე დაუმეგობრდა ილია ჭავჭავაძეს. ვასილი ცხრა წლით იყო უფროსი ივანე მაჩაბელზე, ამიტომ პეტერბურგში ჩასულ ძმას შვილებთან ერთად ზრდიდა.

ვასილის ოჯახში გაიცნო ილიამ ივანე მაჩაბელი და ეს ნაცნობობა შექსპირის „მეფე ლირის“ ერთობლივი თარგმნით, ასევე, ივანეს შექსპირით დაინტერესებითა და მისი თხზულებების ჩინებული თარგმნით დასრულდა.

ვასილის პირველი ცოლი - ნინო ვეზირიშვილი სახელოვანი ქართველი პოეტის, ნიკოლოზ ბარათაშვილის

Family of Giorgi Matchabelli. Giorgi's schooleyears and studenthood


Giorgi Matchabelli's father Vasili (1845-1918), older brother of Ivane Machabeli, translator of Shakespear, was born in a family of an impoverished landlord Giorgi Matchabelli. Despite material nevertheless, their estate was perfectly groomed and was distinguished in the whole province. According to Ivane Machabeli, if heaven be called something, then it will be a proper name of our home “

Vasili graduated from the law faculty at the University of St. Petersburg. He was a lawyer and juror. He lived for a long time in the capital of the Empire and was a legal counselor of the heir of the last ruler of Samegrelo Niko Mingrelski. He also became a friend of Ilia Chavchavadze. Vasily was nine years older than Ivane Machabeli, so he brought up his brother who arrived in St. Petersburg together with his own children. Here in Vasili's family Ilia met Ivane Machabeli and this encounter ended in joint translation of Shakespeare's “King Lear”, as well as Ivan's interest in Shakespeare's works and his excellent translations.

Vasili's first wife - Nino Vezirishvili was a niece of a famous Georgian poet Nikoloz Baratashvili. Vasili had




ვასილ მაჩაბელი
Vasil Machabeli



ივანე მაჩაბელი
Ivane Machabeli



ილია ჭავჭავაძე და ივანე მარაბელი
Ilia Chavchavadze and Ivane Machabeli



შექსპირის მეფე ლირი. ივ. მარაბლისა და ი. ჭავჭავაძის თარგმანი
King Lear by Shakespeare translated by Ivane Machabeli and Ilia Chavchavadze



მაჩაბლების სახლ-მუზეუმი.
The Machabeli House-Museum



მაჩაბლების სახლ-მუზეუმი. 2010 წ.
The Machabeli House-Museum. 2010



ვასილ მაჩაბლის ოჯახი. სხედან - ვასილ მაჩაბელი, პატარა ნინო, ელისაბედ ციციშვილი, ნიკოლოზ მაჩაბელი. დგანან - გიორგი, ილია და თამარ მაჩაბლები

Vasil Machabeli Family. Sitting-Vasil Machabeli, little Nino, Elisabed Tsitsishvili, Nikoloz Machabeli. Standing-Giorgi, Ilia and Tamar Machabeli

დისშვილი იყო. ვასილს ნინოსაგან 4 შვილი ჰყავდა – გიორგი, ნიკოლოზი, არჩილი და ილია.

მეორე ცოლის – ელისაბედ ციციშვილისაგან კი ორი ქალიშვილი - ბარბარე (თამარი) და ნინო.

ვასილის უფროსი ვაჟი გიორგი განსაკუთრებით გავდა ბიძას გარეგნობითა და ნიჭიერებით. გიორგი 1885 წელს დაიბადა. სახლში მიღებული პირველდანწყებითი განათ-

four children with Nino - Giorgi, Nikolozi, Archili and Ilia. From his second wife - Elizabeth Tsitsishvili he had two daughters - Barbare (Tamara) and Nino.

Vasili's eldest son Giorgi was look alike his uncle by his appearance and endowments. Giorgi was born in 1885. After received his primary education at home he entered Tbilisi Nobility Gymnasium. At that time, Georgian gymnasium was one of few institutes in Georgia which was turned into a province of the Russian Empire where there was national atmosphere and Georgian spirit. Georgian tradition and hope gathered here “.

Tbilisi Georgian Gymnasium (the same Nobility Gymnasium) opened in 1879 as a boys' elementary school. In 1890 it was turned into a progymnasium and since 1900 was transformed into 8 classes Gymnasium. The training took place in the gymnasium according to the general program, with the addition of Georgian language, history and geography.

The leaders of the progressive Georgian Society met the establishment of the gymnasium with the hope that in these institutions there would prevail, “True Georgian spirit, Georgian character; That young people would not forget that they are the children of Georgia, and in future should serve their country. That they would grow up to serve their people. “

It should be noted that for some time (1879-1880 AD.), Head of the gymnasium was Giorgi Matchabelli's

ლების შემდეგ თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში შეიყვანეს. იმ დროს ქართული გიმნაზია რუსეთის იმპერიის პროვინციად ქცეულ საქართველოში ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან დაწესებულებათაგანი იყო, სადაც ეროვნული ატმოსფერო სუფევდა, ქართული სული ტრიალებდა, „ქართული ტრადიცია და ქართული იმედი იყრიდა თავს“.

თბილისის ქართული გიმნაზია (იგივე სათავადაზნაურო გიმნაზია) 1879 წელს გაიხსნა როგორც ვაჟთა დაწყებითი სკოლა. 1890 წლიდან სკოლა პროგიმნაზიად, ხოლო 1900 წლიდან კი 8-კლასიან გიმნაზიად გადაკეთდა. სწავლება მიმდინარეობდა გიმნაზიის საერთო პროგრამით, რომელსაც ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის დისციპლინებიც დაემატა.

გიმნაზიის დაარსებას მისი მესვეურები და პროგრესული ქართველი საზოგადოება შეხვდა იმედიით, რომ ამ სასწავლებელში „დაისადგურებდა ნამდვილი ქართული სული, ქართული ხასიათი; აქ არ დაავიწყდებოდათ ყმაწვილებს, რომ ისინი საქართველოს შვილნი არიან, რომ ისინი შემდეგში თავის ქვეყანას უნდა ემსახურონ, რომ საქართველოს ხალხისათვის იზრდებიან ისინი“.

საგულისხმოა, რომ ერთხანს (1879-1880 წწ.) სასწავლებლის გამგე გიორგი მაჩაბლის ბიძა, ცნობილი ივანე მაჩაბელიც იყო. გიორგის მოწაფეობისას კი გიმნაზიას სათავეში ექვთიმე თაყაიშვილი ედგა.

ქართულ გიმნაზიას ბინა თავდაპირველად თბილისის სხვადასხვა უბანში (კუკია, სოლოლაკი) ედო, 1900-1906 წლებში კი მისთვის ვაკეში აშენდა ახალი დიდი შენობა, რომელშიც პერსპექტივაში ქართული უნივერ-




გიორგი მაჩაბელი და მისი დები - ნინო და თამარი
Giorgi Matchabelli and his sisters - Nino and Tamar

uncle, well known Ivane Machabeli. During Giorgi's student hood the gymnasium was run by Ekvtime Takaishvili.

Originally Georgian Gymnasium was situated in different districts of Tbilisi (Kukia, Vera), in 1900-1906 there was built a new big building in Vake, which would have host Georgian University in perspective. That is what really happened in 1918.

Not only the children of the nobility studied in the gymnasium, among the students were children of the citizens, officials, clergy and peasants. It accepted 8-9-year-



ექვთიმე თაყაიშვილი
Ekvtime Takaishvili

სიტეტი უნდა განთავსებულიყო. 1918 წელს ეს მართლაც ასე მოხდა.

გიმნაზიაში მარტო თავადაზნაურთა შვილები არ სწავლობდნენ, მოსწავლეთა შორის იყვნენ მოქალაქეთა, მოხელეთა, სასულიერო პირთა და გლეხების შვილები. სასწავლებლად 8-9 წლის ყმაწვილებს იღებდნენ. სწავლის ვადა 8 წელს შეადგენდა. გიმნაზიის კურსდამთავრებული აბარებდა გამოსაშვებ გამოცდებს და იღებდა სიმწიფის ატესტატს. ატესტატის მფლობელ ვაჟებს უფლება ჰქონდათ გაეგრძელებინათ სწავლა უნივერსიტეტებში.



თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია
Tbilisi Nobility Gymnasium

old youngsters in the study. Studies took 8 years. College graduates passed examinations and received certificates of maturity. The certificate holder boys were allowed to continue their studies at universities.

In 1881, after the murder of Emperor Alexander II times of brutal reactions started in the Empire. The Georgian language and any kind of manifestation of nationality were prohibited at state institutions and schools. This kind of severity affected also the Institute of the Nobles. Even wearing Tushetian hats was a demonstration

1881 წელს იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობის შედეგ იმპერიაში დაიწყო სასტიკი რეაქციის ხანა. სახელმწიფო დანებებულებებსა და სკოლებში აიკრძალა ქართული ენა და ეროვნულობის ყოველგვარი გამოვლინება. ეს სიმკაცრე შეეხო სათავადაზნაურო გიმნაზიასაც. მონაფეთა მიერ თუშური ქუდების ტარებაც „ნაციონალიზმის“ გამოვლინება იყო, სოციალისტებისათვის კი - „შოვინიზმის“ სიმბოლო.

ეროვნული სულისკვეთება და რაინდული ბუნება გიორგიმ გიმნაზიის კედლებშივე გამოამჟღავნა, მეექვსე კლასიდან ხელმძღვანელობდა პატარა წრეს, სადაც ყოველ პარასკევს „რეფერატებს“ კითხულობდნენ. გიორგის ყველაზე მეტად სამეურნეო და საერთაშორისო საკითხები აინტერესებდა. იშვიათი ამხანაგი, ავისა და კარგის გამრჩევი, რაინდობით სავსე გიორგი საერთო საყვარელი იყო როგორც ამხანაგებში, ისე მასწავლებლებში“, - აღნიშნავდა შალვა ქარუმიძე. გიმნაზიის მონაფეები უფრო მემარჯვენეობდნენ, ვიდრე მასწავლებლები, რომელთა ნაწილი სოციალიზმის იდეებით იყო გატაცებული. შალვა ქარუმიძე იმასაც იხსენებს, როგორ შეეპასუხა 1904 წელს მორიგებით გიორგი საყვარელ და პატივსაცემ მასწავლებელს ბეჟან ლორთქიფანიძეს „არა, ბატონო, ჩვენ სოციალიზმი კი არა, ომი გვისხნის, დიდი სახელმწიფო უნდა შეეებას რუსეთს, რომ დაამარცხოს, აი, თუნდაც გერმანიით!“

გიორგი გიმნაზიაშივე ზრუნავდა და მფარველობდა იქ მოსწავლე ძმებს, განსაკუთრებით კი ნაბოლარა დას, ნინოს ანებივრებდა. ნიკო ადრევე ჩააბა პოლიტიკურ საქმიანობაში და „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ პეტერბურგის

of “nationalism“, as for the Socialists – it was a symbol of “chauvinism”.

Giorgi demonstrated his National spirit and chivalrous nature in the Gymnasium, from the sixth grade he led a small circle, where every Friday “they read the papers. Giorgi most of all was interested in economic and international issues. A rare comrade, selective of right and wrong, full of chivalry, was a favorite of his friends and the teachers “- said Shalva Karumidze. The students of the Gymnasium were more rightists than their teachers, some part of whom were exited with the ideas of socialism. Shalva Karumidze recalls how in 1904 Giorgi argued shyly with his beloved and respected teacher Bejan Lortkipanidze, “No, sir, socialism cannot save us, the war is the way, a big state should fight with Russia to defeat it, be it even Germany!“

Still in the gymnasium Giorgi took care of and protected his siblings who also studied there, especially he pampered his younger sister, Nino. Niko had been involved in political activities from early age and managed the St. Petersburg branch of “the independent committee”. Giorgi had a special closeness to his younger brother, Ilo Machabeli. A graduate of St. Petersburg University Faculty of Law, educated, artistically talented Ilo was an affairs manager of Niko Mingreli (Dadiani) and a heart and a soul of the high society of St. Petersburg.

Soon he deserved disposition of the “gray cardinal” of Russia Grigori Rasputin. He actively participated in

ფილიალი ჩააბარა. გიორგის განსაკუთრებული სიახლოვე ჰქონდა უმცროს ძმასთან, ილო მაჩაბელთან. პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, განათლებული, არტისტული ნიჭით დაჯილდოებული ილო ნიკო მინგრელსკის (დადიანის) საქმეთა მმართველი და პეტერბურგის მაღალი საზოგადოების სული და გული გახდა.

მაღლე რუსეთის „რუხი კარდინალის“ გრიგორი რასპუტინის კეთილგანწყობაც დაიმსახურა. აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა მნიშვნელოვან ქართულ წამოწყებაში. პეტერბურგშივე შეხვდა კოტე მარჯანიშვილს და შემდეგ ბედი მთლიანად მის თვალს „ბი-ბა-ბოს“ დაუკავშირა.

ილოც ეხმარებოდა ძმას პოლიტიკურ საქმიანობაში - გიორგიმ ისიც აქტიურად ჩართო დამოუკიდებლობის კომიტეტის მუშაობაში. 1916 წელს ქართველი ეროვნულ-დემოკრატიებისათვის გიორგის მიერ გერმანიიდან გამოგზავნილი 100.000 მანეთი სწორედ მას ჩამოუტანა ბალტიელმა გერმანელმა ალფრედ როზენბერგმა. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს კაცი 20 წლის შემდეგ ნაციონალ-სოციალისტთა იდეოლოგი, „მეოცე საუკუნის მითის“ ავტორი, ჰიტლერის დაახლოებული პირი და მესამე რაიხის აღმოსავლეთის სამინისტროს ხელმძღვანელი გახდებოდა.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, გიორგი სასწავლებლად გაემგზავრა გერმანიაში და ბერლინის განთქმულ სამთო აკადემიაში შევიდა.

გიორგი მაჩაბელი გეოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობდა. ამ სასწავლებლის პროფესორთა დიდი ნაწილი და



ილო მაჩაბელი
Ilo Machabeli

various important Georgian initiatives. In St. Petersburg he met with Kote Marjanishvili and connected his life entirely to his theater “Bi-Ba-Bo”.

Ilo also assisted his brother in political activities - Giorgi actively engaged him in the work of the Committee for Independence. In 1916, 100,000 rubles sent by Giorgi from Germany for Georgian National Democrats was brought to him

by a Baltic German Alfred Rosenberg. No one could have imagined then that this man 20 years after would become an ideologist of National Socialists, the author of “the myth of the twentieth century,” a close confidant of Hitler and the Head of the Ministry of the East of the Third Reich.

After graduating from the gymnasium, in 19. Giorgi traveled to Germany for further education and entered Berlin’s famed Mining Academy.

Giorgi Matchabelli studied at the faculty of Geology. Most of the University professors and students were involved in a circle of a Teutonic Order. As Giorgi Matcha-



ნიკო დადიანი-მინგრელსკი
Niko Dadiani-Mingreli



კოტე მარჯანიშვილი
Kote Marjanishvili

სტუდენტები გაერთიანებული იყვნენ ტევტონური ორდენის წრეში. როგორც გიორგი მაჩაბლის სტუდენტობის ერთ-ერთი ამხანაგი დავით ლოლობერიძე იგონებს, გიორგიც ამ წრის წევრი იყო და ბევრ გერმანელთანაც მეგობრობდა. „იქიდან გაიჩინა მან ნაცნობობა, რომელიც გამოადგა ჩვენი დამოუკიდებლობისათვის“. მაჩაბელი გერმანულ არისტოკრატიულ სალონებში ფრიად მიღებული და სასურველი პირი შეიქმნა. შალვა მაღლაკელიძის სიტყვით, „გიორგი კარგი წარმოსადეგი კაცი იყო. თავადის გვარი



ბერლინის ტექნიკური (სამთო) აკადემია
Berlin Technical (Mountain) Academy

belli's studenthood friend David Ghoghoberidze recalls, Giorgi also was a member of this circle, and was friends with many of the German people. From there he built relations which became useful for our independence. "Machabeli was well accepted in German aristocratic salons and became a desired person. According to Shalva Maghlakelidze, Giorgi was, a handsome, tall man. Had a



გიორგი მაჩაბელი ჩოხით
Giorgi Matchabelli in Chokha



გიორგი მაჩაბელი და ნორინა ჯილი
Giorgi Matchabelli and Norina Gilli



ნორინა ჯილი
Norina Gilli



ნორინა ჯილი, მარია კარმი
Norina Gilli, Maria Carmi

ჰქონდა და გაერია პრინცებში, როგორც „ფიურსტი“... თავისი ღირსებით ყოველმხრივ და მოხერხებით დაუახლოვდა გიორგი პრინცებს, ახალგაზრდა ჰოჰენცოლერნებს, ვიტელსბახებს ბავარიისა, დამეგობრდა მათთან“.

ამან ქართველ თავადს გზა გაუხსნა გერმანიის უმაღლესი სამთავრობო წრეებისაკენ, რაც მაჩაბელმა გონივრულად გამოიყენა საქართველოს თავისუფლებისათვის.

აკადემია ცნობილი იყო იმით, რომ სტუდენტებს თვეობით მაღაროში ამუშავებდნენ. სწორედ იქ მიეჩვია გიორგი თეთრი და შავი საქმის ერთნაირი დაუზარლობით შესრულებას. მერე კი მთელი მსოფლიო თავისი შრომით მოიარა - ხან მეზღვაური იყო, ხან მძღოლი, ხანაც შიკრიკი. შვედეთში იტალიელ მსახიობს შეხვდა - მშვენიერ ნორინა ჯილის, სცენური ფსევდონიმით „მარია კარმი“.

ჯილის დიდი წარმატება მადონას როლმა მოუტანა მაქს რეინჰარდის რელიგიურ პიესაში „სასწაული“. დადგამ ტრიუმფით მოიარა ევროპის მრავალი სცენა. სწორედ საგასტროლო ტურნეს დროს გაიცნო გიორგიმ ნორინა და სიყვარული იმით დაუმტკიცა, რომ მოკლე დროში შესანიშნავად შეისწავლა იტალიური.

მაღე ახალგაზრდები დაქორწინდნენ და გიორგი იტალიელთა სიძე გახდა, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე „თავგადაკლულ ნაციონალისტად“ დარჩა.

გრიგოლ რობაქიძეს მასზე უთქვამს: „გიორგი ათას საბანში რომ ჩაახვიო და სადმე დამალო, ვინც იქ მივა, მაშინვე შეიტყობს: „აქ საქართველოს სუნია“-ო!“

title of a Prince and was among the princes as a “furst”... thanks to his dignity and skills, he came close the other princes, young prince of Hohenzollerns, Wittelsbach’s of Bavaria and became friends with them.”

This has paved the way for a Georgian nobleman to the highest government circles that Machabeli wisely used for the freedom of Georgia.

The Academy was known for the fact that it made the students work in the mines for months. That is where Giorgi got used to do black and white work with the same enthusiasm. After he traveled all over the world with his own earnings – sometimes working as a sailor, a driver, or a messenger. In Sweden he met with an Italian actress - beautiful Norina Gilli, scenic Pseudonym-Maria Carmi.

The role of Madonna in the religious play by Max Reinhardt “The Miracle” brought Gilli great success. The performance triumphantly toured on many stages of Europe. Exactly during this tour Giorgi got to know Norina and proved his love to her by learning perfect Italian in a short time. Soon the young people married [photo of the couple] and Giorgi became Italians’ son in law, but remained “a devout nationalist” until the end of his life. Grigol Robakidze has said about him: “Even if you wrap Giorgi in thousand blankets and hide him somewhere, anybody who goes in there, will immediately know: It smells Georgia here!”

გიორგი მაჩაბელი და „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“

გიორგი მაჩაბლის ბიოგრაფიაში თავისი დრამატიზმითა და ფათერაკიანი თავგადასავლებით განსაკუთრებით გამოირჩეულია პირველი მსოფლიო ომის პერიოდი და მისი მონაწილეობა „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ საქმიანობაში. კომიტეტი, რომელიც ისტორიოგრაფიაში „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის“ სახელწოდებითაც მოიხსენიება, 1914 წლის შემოდგომისათვის ევროპაში შეიქმნა. იგი ქართველთა იმ ჯგუფის ბაზაზე ჩამოყალიბდა, რომელიც შვეიცარიაში ჯერ კიდევ 1910 წელს აღმოცენდა და 1913 წლიდან ჟენევაში ჟურნალ „თავისუფალ საქართველოს“ გამოსცემდა.

კომიტეტს სათავეში პეტრე სურგულაძე ჩაუდგა. მის გარდა ორგანიზაციის თავდაპირველი წევრები იყვნენ: ნესტორ მაღალაშვილი და ძმები გიორგი და ლეო კერესელიძეები. კომიტეტმა იმთავითვე ორიენტაცია გერმანიაზე აიღო და საქართველოს განთავისუფლების საკითხში ხელშეწყობისათვის კაიზერის მთავრობას მიმართა.

გერმანიის სახელისუფლებო წრებთან დაკავშირების აზრი, ხსენებული ჯგუფის წევრთაგან დამოუკიდებლად, დაებადა ბელგიაში მყოფ გიორგი მაჩაბელსაც. მალე გიორგი მაჩაბელი და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის კურ-

Giorgi Matchabelli and the “Committee of Liberation of Georgia”


The period of the First World War and his participation in the activities of the Committee of Liberation of Georgia, is particularly distinguished in the biography of Giorgi Matchabelli as the most dramatic and dangerous adventure.

The abovementioned committee, which in the historiography is mentioned as a “National Committee of Independence of Georgia” was created in the autumn of 1914 in Europe. It was established on the base of the group, which originated in Switzerland as early as in 1910 and from 1913 published the journal, “Free Georgia” in Geneva. The Committee was headed by Petre Surguladze. Besides him initial members of the organization were: Nestor Magalashvili and brothers Giorgi and Leo Kereselidze. The committee was initially oriented towards Germany and took up the promotion of the issue of supporting the liberation of Georgia to the government of Kaiser Wilhelm II.

Giorgi Matchabelli while living in Belgium had the idea of finding connections with German governmental circles independently from the members of the group. Soon Giorgi Matchabelli and a graduate of the Universi-



პეტრე სურგულაძე
Petre Surguladze



გაზეთი „თავისუფალი საქართველო“
Newspaper “Tavisupali Sakartvelo”



გიორგი და ლეო კერესელიძეები
Giorgi and Leo Kereselidze



იმპერატორი ვილჰელმ II
Emperor Wilhelm II

სდამთავრებული მიხაკო წერეთელიც განთავისუფლების კომიტეტს შეუერთდნენ.

კომიტეტმა მჭიდრო კონტაქტი დაამყარა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. იქ ქართული საქმის წარმოება მინდობილი ჰქონდათ სამინისტროს მრჩეველს რუდოლფ ნადოლნსა და გენერალური შტაბის პოლიტიკური სექციის უფროსს, ლეგაციის მდივანს ოტო გიუნთერ ფონ ვეზენდოკს. მალე მიღწეულ იქნა შეთანხმებაც, რომლის თანახმად, ოფიციალური ბერლინი პირობას იძლეო-

ty of Heidelberg MikhakoTsereteli joined the Liberation Committee.

The Committee built a close contact with the German Ministry of Foreign Affairs. Here Georgian proceedings had been entrusted with the Ministry Advisor Rudolf Nadolny and the Head of the Political Section of the General Staff Secretary of Legation Otto Gunter von Wesendonk. Soon an agreement was reached, according to which, Official Berlin gave a promise to recognize Georgia's sovereignty if Germany won the current war, then Georgia would be given an opportunity to declare independence. Germany, in the first place was interested in weakening of Russia, the region's geo-strategic location and natural resources. A certain convergence of these interests to the Georgian Committee aspirations, facilitated joint activities and even accelerated them.

A more specific plan was offered to German political circles by Giorgi Matchabelli and Mikhako Tsereteli. According to the plan, Georgia was to become a monarchy, and the throne was to be given to a German prince. The imperial court considered the proposal with attention. They discussed the question of coronation of Prince Joachim Hohenzollern, the successor of Wilhelm II, in Georgia after separation of it from Russia. He was supposed to marry a Georgian woman, giving a start to a new dynasty in Georgia. As a Queen there was chosen a close relative of Giorgi Matchabelli, a daughter of

და, ეცნო საქართველოს სუვერენობა თუ მიმდინარე ომში გერმანია გაიმარჯვებდა, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესაძლებლობა მიეცემოდა. გერმანიას, პირველ რიგში, მოწინააღმდეგე რუსეთის დასუსტება, რეგიონის გეოსტრატეგიული მდებარეობა და ბუნებრივი რესურსები აინტერესებდა. ამ ინტერესების გარკვეულმა თანხვედრამ ქართული კომიტეტის მისწრაფებებთან, ერთობლივი საქმიანობა გააადვილა და კიდევაც დააჩქარა.

გერმანიის პოლიტიკურ წრეებს უფრო კონკრეტული გეგმა გიორგი მაჩაბელმა მიხაკო წერეთელთან ერთად შესთავაზა. გეგმის მიხედვით, საქართველო უნდა გამხდარიყო მონარქია, ტახტზე კი რომელიმე გერმანელი პრინცი დაესვათ. საიმპერატორო კარზე ქართველთა წინადადებას ყურადღებით მოეკიდნენ. განიხილებოდა საკითხი, რომ რუსეთისაგან ჩამოცილებულ საქართველოში გაემეფებინათ ვილჰელმ მეორის მემკვიდრე, პრინცი იოჰიმ ჰოჰენცოლერნი.

იგი უნდა დაქორწინებულიყო ქართველ ქალზე, რითაც საქართველოში საფუძველი ჩაეყრებოდა ახალ დინასტიას. დედოფლად შერჩეული ყოფილა გ. მაჩაბლის ახლო ნათესავი, შემდეგში საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრის, მიხეილ მაჩაბლის ქალიშვილი მარინე.

კაიზერის გარემოცვასთან დაახლოებული ქართველი თავადი ანდრონიკაშვილი, რომელიც ხშირად სტუმრობდა კრონპრინცის ოჯახს, გადმოგვცემს, რომ იმპერატორის შვილებმა საქართველოს საკითხი კარგად იცოდნენ. ტახ-

a member of the National Council of Georgia, Mikhail Machabeli – Marine.

Georgian Prince Andronikashvili who was close to the Kaiser's entourage and who often visited the family of the Crown Prince, told that children of the Emperor knew the Georgian issue well. They said that at the Palace of the crown prince, there was even hanging a large map of Georgia. There is an information that the queen of Germany and the prince visited the Georgian prisoners in an Austrian detention camp, Joachim even visited Trabzon to see the Georgian Legion founded by the Committee of Independence.

However, an idea of a German prince becoming a King of Georgia did not come to its logical ending. At the moment of declaration of Independence of Georgia Wilhelm II did not put forward a proposal for the restoration of monarchy in Georgia. Neither there were any discussions about this idea at the National Council. Maybe the reason was that soon after the resumption of Georgian Statehood, German troops left our country. In addition, November 1918 revolution overthrew the monarchy completely and put an end to the Kaiser government in Germany itself.

Prince Joachim, who married Princess Maria Anhalt, committed suicide in 1920, as for Marine Machabeli, she married the consul of Italy in Georgia, Pranzoni. After the Bolshevik occupation of Georgia, they settled

ტის მემკვიდრის სასახლეში საქართველოს დიდი რუკაც კი ეკიდა თურმე. არსებობს ცნობა, რომ გერმანიის დედოფალმა და პრინცმა ავსტრიის ტყვეთა ბანაკში ქართველი ტყვეები მოინახულეს. იოაჰიმი ტრაპიზონშიც კი ჩასულა დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ შექმნილი ქართული ლეგიონის დასათვალისწინებლად.

მიუხედავად ამისა, საქართველოში გერმანელი პრინცის გამეფების საქმე ლოგიკურ დასასრულამდე ვერ მივიდა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებისას ვილჰელმ II-ს აქ მონარქიის აღდგენის წინადადება აღარ წამოუყენებია.

ამ საკითხზე მსჯელობა არც საქართველოს ეროვნულ საბჭოში გამართულა. შესაძლოა მიზეზი ისიც იყო, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის განახლების შემდეგ, გერმანიის ჯარის ნაწილებმა ჩვენი ქვეყანა მალევე დატოვეს. ამასთან, 1918 წლის ნოემბრის რევოლუციამ კაიზერის ხელისუფლება საერთოდ დაამხო და მონარქიას თვით გერმანიაში მოუღო ბოლო.

პრინცმა იოაჰიმმა, რომელიც ანჰალტის პრინცესა მარიაზე დაქორწინდა, 1920 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, მარინე მაჩაბელი კი თბილისში იტალიის კონსულს, ფრანზონის გაჰყვა ცოლად. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ისინი რომში დასახლდნენ. მათი სასახლე „ვილა მარინა“ თავშესაფარი გახდა მრავალი ლტოლვილი ქართველისათვის.

ამ წარუმატებელი ცდის შესახებ ვიკტორ ნოზაძე 1937 წელს წერდა: „საქართველოს სამეფოს იდეა მუდამ ცხო-

in Rome. Their palace, “Villa Marina” became a refuge for many displaced Georgians.

In 1937 Viktor Nozadze wrote about these unsuccessful attempts: “The idea of the kingdom of Georgia was always alive in Georgian political thinking... if Germany had been given a chance, Georgia would have become the Kingdom”.

According to German politicians' advice Liberation Committee, moved from Berlin to Istanbul. In Istanbul new members Meliton Kartsivadze, Zia beg Abashidze - and Father Superior of a local Georgian Catholic monastery Shalva Vardidze joined the Committee. As a result of long negotiations, there was signed an agreement with the Ottoman government, according to which Ottoman Empire was to recognize the independence of Georgia and its undeniable right to its historical territory. Committee was allowed to establish a military unit on the territory of the Ottoman Empire.

Immediately after the first meeting the Committee travelled to Trabzon where in the yard of a Greek church was buried the last crowned King Georgia, Solomon II King Imereti. According to Giorgi Kereselidze, the whole Committee, marched to the grave of King Solomon, and kneeling down sworn to Solomon, to fight against the enemy with selflessness”.

Activities of the Liberation Committee were carried out in three directions - 1. Building connections with



მარინე მაჩაბელი
Marine Machabeli



პრინცი იოაჰიმ ჰოჰენცოლერნი
Prince Joachim Hohenzollern

ველმოყვანილი იყო ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში... გერმანიას რომ დასცლოდა, საქართველო მაშინ სამეფო გახდებოდა“.

განთავისუფლების კომიტეტი, გერმანელ პოლიტიკოსთა რჩევით, ბერლინიდან სტამბოლში გაემგზავრა. აქ კომიტეტს ახალი წევრები - მელიტონ ქარცივაძე, ზიაბეგ აბაშიძე და ადგილობრივ ქართველ კათოლიკეთა მონასტრის წინამძღვარი შალვა ვარდიძე შეუერთდნენ.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად ოსმალეთის მთავრობასთან გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ძალით, ოსმალეთს უნდა ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და უდაო უფლება მის ისტორიულ მიწა-წყალზე. კომიტეტს ნება დაერთო ოსმალეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებინა სამხედრო შენაერთი.

პირველივე სხდომის შემდგომ კომიტეტი ქ. ტრაპიზონს გაემართა, სადაც ბერძნული ეკლესიის ეზოში დაკრძალული იყო უკანასკნელი ქართველი გვირგვინოსანი, იმერეთის მეფე სოლომონ II. გიორგი კერესელიძის სიტყვით, „მთელი კომიტეტი ვეახელით სოლომონ მეფის სამარეს, ვანირვინეთ და მუხლმოდრეკილებმა შევფიცეთ სოლომონს, თავგანწირვით ვებრძოლოთ მტერს“.

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის მუშაობა სამი მიმართულებით წარიმართა - 1. საქართველოსთან დაკავშირება, აქაური პოლიტიკური წრეების სულისკვეთების გაცნობისა და დამოუკიდებლობის იდეის გავრცელების მიზნით; 2. პროპაგანდისტული საქმიანობა ევროპაში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კონტაქტში და 3. ოსმალეთში სამხედრო შენაერთის



მელიტონ ქარცივაძე
Meliton Karsivadze



შალვა ვარდიძე
Shalva Vardidze

Georgia in order to get acquainted with local political circles and promoting the idea of independence; 2. The propaganda activities in Europe, in coordination with the German Ministry of Foreign Affairs; 3. Formation of a military unit in Ottoman Empire. The functions of the Committee members and the location was determined accordingly. Giorgi Matchabelli was entrusted to make relations with Georgia, who after this was to join established in Berlin Mikhako Tsereteli and Giorgi Kereselid-

ფორმირება. კომიტეტის წევრთა ფუნქციები და ადგილ-სამყოფელიც ამის შესაბამისად განისაზღვრა. საქართველოსთან ურთიერთობის დამყარება გ. მაჩაბელს მიენდო, რომელიც ამის შემდეგ უნდა შეერთებოდა ბერლინში დამკვიდრებულ მ. წერეთელსა და გ. კერესელიძეს. კომიტეტის სხვა წევრები ოსმალეთში დარჩნენ.

სამხედრო დანაყოფი სახელწოდებით „ქართული ლეგიონი“, გერმანიის დაფინანსებით, ოსმალეთში მალე შეიქმნა.

მას სხვადასხვა პერიოდში ლეო კერესელიძე, შლიფაკი, გრაფი შულენბურგი და ნესტორ მაღალაშვილი მეთაურობდნენ.

წარმატებით წარიმართა ევროპულ ენებზე პუბლიკაციების გამოქვეყნებისა და ამით დასავლეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წრეებში საქართველოს საკითხის აქტუალიზების საქმე. 1915 წელს გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ და ინგლისურ ენებზე გამოიცა მიხაკო წერეთლის ნარკვევი „საქართველო და მსოფლიო ომი“.

გერმანულად გამოიცა კონსტანტინე გამსახურდიას ნაშრომი „კავკასია მსოფლიო ომში“ და სხვ.

პირველი მსოფლიო ომისდროინდელ გერმანულ პრესაში რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა გიორგი მაჩაბელმა, მათ შორის: „საქართველოს ტრაგედია“, „საქართველოს იმედი“, „საქართველოს საკითხი“, „საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა“, „იცნობთ თქვენ ქართველებს?“ და სხვ.

ქართული საკითხის პროპაგანდამ შედეგი გამოიღო. საქართველოს დამოუკიდებლობას ბევრი თანამგრძნო-

ze. Other members of the Committee remained in the Ottoman Empire.

Military unit called, “The Georgian Legion”, funded by Germany, was soon established in the Ottoman Empire. In different time periods it was commanded Leo Kereselidze, Shlipak, Count Schulenburg and Nestor Magalashvili.

Successfully were distributed publications in European languages, supporting actualization of the Georgian issue in social and political circles. In 1915, in



სოლომონ II-ის საფლავი
The grave of King Solomon II



ქართული ლეგიონი
The Georgian Legion

ბი გაუჩნდა არა მხოლოდ პოლიტიკურ წრეებში, არამედ ცნობილ მოღვაწეთა და გავლენიან პირთა შორის, რამაც, თავის მხრივ, გავლენა მოახდინა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროზე. დაარსდა გერმანულ-ქართული საზოგადოება, რომელშიც შედიოდნენ საერთაშორისო სამართლის აღიარებული სპეციალისტები საქართველოს უფლებათა დიდი დამცველის ფრანც ფონ ლისტის თავმჯდომარეობით. საზოგადოების მდივანი დევის ტრიჩი დიდ დახმარებას უწევდა ქართველებს. ბერლინში ომის დროს რუსეთისა და ანტანტის მიერ დაჩაგრული ხალხების მრავა-




ლეო კერესელიძე
Leo Kereselidze



გრაფი შულენბურგი
Duke Schulenburg

German, French, Spanish and English languages was published an essay by Mikhako Tsereteli, “Georgia and World War”, Constantine Gamsakhurdia’s work “Caucasus in World War” I was published in German etc.

In the World War I German press were published several articles by Giorgi Matchabelli, including: “The tragedy of Georgia”, “The hope of Georgia”, “Georgian issue”, “Georgia’s striving for independence”, “Do you know Georgians?” And so forth.



მიხაკო წერეთლის წიგნი „საქართველო და მსოფლიო ომი“
A book by Mikhako Tsereteli „Georgia and the World War”



კონსტანტინე გამსახურდია
Konstantine Gamsakhurdia

The propaganda of the Georgian issue gave results. Independence of Georgia found a lot of compassion, not only in political circles, but also among famous and influential people, which, in turn, influenced the German Ministry of Foreign Affairs. There was founded a German-Georgian society, which included celebrated experts of the international law chaired by a great defender of the rights of Georgia, Franz von Liszt. Society secretary David Trichy also was a great help to Georgians. In Berlin during the war there existed many National Committees of the oppressed between Russia and the Entente States peoples, - Poles (Pilsudski's Legion), Finns, Ukrainians, Belarusians, Indians, Egyptians, etc. Azerbaijanis and North Caucasians (Highlanders) did not have their own committees and worked together with Georgia. By the initiative of a Baltic Baron von der Ropp the committees describe in details conditions and tragedies of all afflicted by Russia nations and there was published a thick book, “Do You Know Russia?” In German, French and English languages. According to the advice of the Ministry of Foreign Affairs, in July 1916, all the oppressed nations attended Lausanne “League of Nations” III Congress. Thanks to it, the Congress organized by the Entente States turned against them, especially Russia and England. The speeches of the speakers became the indictment acts. Particularly impressive was the speech by Mikhako Tsereteli, who described all


ლი ეროვნული კომიტეტი არსებობდა - პოლონელების (პილსუდსკის ლეგიონი), ფინელების, უკრაინელების, ბელორუსების, ინდოელების, ეგვიპტელებისა და ა.შ. აზერბაიჯანელებსა და ჩრდილოკავკასიელებს (მთიელები) თავისი კომიტეტები არ ჰქონდათ და ქართულთან ერთად მუშაობდნენ. ბალტიისპირელი ბარონ ფონ დერ როპის ინიციატივით, კომიტეტებმა დაწვრილებით აღწერეს რუსეთის მიერ დაჩაგრული ყველა ერის მდგომარეობა, ტრაგედია და გამოიცა დიდი წიგნი „იცნობთ თქვენ რუსეთს?“ გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. საგარეო საქმეთა სამინისტროს რჩევით, 1916 წლის ივლისში, ყველა დაჩაგრული ერის წარმომადგენელი ლონზანში დაესწრო „ერთა კავშირის“ III კონგრესს. ამის წყალობით, ანტანტის სახელმწიფოთა მიერ ორგანიზებული კონგრესი მათ წინააღმდეგ, განსაკუთრებით, რუსეთისა და ინგლისის წინააღმდეგ შეტრიალდა. გამომსვლელთა სიტყვები საბრალდებო აქტებად იქცა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მიხაკო წერეთლის გამოსვლა, რომელმაც აღწერა რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ ჩადენილი ყველა დანაშაული დანყებული ვახტანგ VI-დან.

ტყვეთა ბანაკებში თავმოყრილ ქართველ ტყვეებში ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდის მიზნით ჯერ ხელნაწერი გაზეთი „კავკასია“ ვრცელდებოდა, 1916 წელს კი კომიტეტმა ბერლინში დააარსა ბეჭდური ორგანო „ქართული გაზეთი“, რომელიც გიორგი კერესელიძის რედაქტორობით 1918 წლამდე გამოიცემოდა და უფასოდ ეგზავნებოდა ქართველ ტყვეებს.



მიხაკო წერეთელი
Mikhako Tsereteli

ქართული გაზეთი



გაზეთი „ქართული გაზეთი“
Newspaper “Georgian newspaper”

crimes committed in Georgia by Russia starting from the times of King Vakhtang VI.

In order to promote the idea of national independence among the hostages gathered in war camps there was distributed a handwritten newspaper “The Caucasus”, in 1916 in Berlin the committee founded a newspaper “Kartuli Gazeti” with Giorgi Kereselidze as the editor-in-chief, which was published until 1918 and was sent to the captives free.

განთავისუფლების კომიტეტის დავალების შესაბამისად, გიორგი მაჩაბელი რამდენჯერმე ესტუმრა საქართველოს. საარქივო მასალებით ირკვევა, რომ მისი პირველი ვიზიტი თბილისში 1914 წლის შემოდგომაზე შედგა. ოსმალეთიდან კავკასიისაკენ მომავალი ეროვნული მოღვაწე ჯერ ოდესას ეწვია, სადაც ნოვოროსიის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა წარმომადგენლებს შეხვდა და კომიტეტის გეგმები გააცნო. მანვე ქართულ სათვისტომოს სხვა უნივერსიტეტებში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობასთან დასაკავშირებლად თანხა დაუტოვა და სამშობლოსაკენ გამოემართა.

გიორგი დაუკავშირდა საქართველოში ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჯგუფს და სოციალ-დემოკრატთა ნაწილს ნოე ჟორდანიას მეთაურობით.

იმავე წლის ნოემბერში გ. მაჩაბელი განთავისუფლების კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ვენაში ჩავიდა და ავსტრო-უნგრეთის ხელისუფლებასთან გერმანიაში დადებული შეთანხმების ანალოგიური დოკუმენტის გაფორმება შეძლო.

1915 წელს გიორგი მაჩაბელმა საქართველოში ჩამოიტანა გერმანიის, ავსტრო-უნგრეთისა და ოსმალეთის მთავრობებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც ქუთაისში, საიდუმლო თათბირზე სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატების ლიდერებს გააცნო. გიორგი მაჩაბელს აინტერესებდა შეეტყო, თუ როგორ უყურებდნენ მსოფლიო კონფლიქტს ქართველი პოლიტიკური წრეები,

According to the Liberation Committee's order Giorgi Matchabelli paid several visits to Georgia. From the archival materials it becomes clear that his first visit took place in the fall of 1914. This national figure on his way from Ottoman Empire to the Caucasus first visited Odessa, where he met with the representatives of Georgian students at the University of Novorossiysk and shared to them the committee plans. He also gave money to Georgian community to get in touch with the students of other universities and only after headed towards the homeland.

In Georgia Giorgi contacted a group of National-Democratic direction and part of the Social Democrats, led by Noe Jordania. In November of the same year Giorgi Matchabelli together with the representatives of the Liberation Committee, arrived in Vienna and managed to conclude a similar to German agreement document with the Austro-Hungarian authorities.

In 1915, Giorgi Matchabelli brought to Georgia agreements signed by the German, Austro-Hungarian and the Ottoman governments, which were introduced in a secret meeting in Kutaisi to the leaders of the Social-Democrats, Socialists- Federalists and NDP. Giorgi Matchabelli was interested to learn about the vision of the Georgian political circles about the world conflict, their views and goals of the future.

The issue of independence of Georgia found support with them, agreements with Germany and Austria-Hun-

რა შეხედულებანი და მიზნები ჰქონდათ მათ საქართველოს მომავალზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხმა მხარდაჭერა ჰპოვა, მოინონეს გერმანიასთან და ავსტრო-უნგრეთთან დადებული შეთანხმებებიც, ხოლო ოსმალეთთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მიუღებლად მიიჩნიეს მუხლი საქართველოში აჯანყების მოწყობის შესახებ. ნ. ჟორდანიამ განაცხადა: მართალია, ჩვენში გერმანოფილური აზროვნება სჭარბობს, მაგრამ რუსეთის ორგულობას ვერ გამოვიჩინთ. ჩვენი გზაა არა აჯანყება, არამედ რუსეთის შინაგანი რევოლუცია და დასძინა: ქართულმა კომიტეტმა იმუშაოს საზღვარგარეთ, შეიძლება ეს ხაზიც გამოგვადგესო.

გიორგი მაჩაბლის უშუალო მონაწილეობით თბილისში დაარსდა განთავისუფლების კომიტეტის ფილიალი (დავით ვაჩნაძე, სპირიდონ კედია, რევაზ გაბაშვილი, შალვა ქარუმიძე), რომელსაც ერის კონსოლიდაცია და ემიგრანტებთან კონტაქტი ევალებოდა. კომიტეტი ასევე დაუკავშირდა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებისა და აზერბაიჯანის ეროვნულ ძალებს.

გიორგი მაჩაბელი შედიოდა კავკასიის კომიტეტშიც, რომელსაც სათავეში ოსმალეთის მარშალი, წარმომოხებით ჩერქეზი, ფუად ფაშა ედგა და აერთიანებდა ჩრდილოეთ კავკასიის (ჩერქეზების, დაღესტნელების, ლეკების), აზერბაიჯანისა და საქართველოს წარმომადგენლებს. ეს გაერთიანება კავკასიის კონფედერაციის იდეას ეყრდნობოდა.

საზღვარგარეთ და საქართველოში მოღვაწე კომიტეტის წევრებს შორის საქმიანობის კოორდინაციისათვის



გიორგი კერესელიძე
Giorgi Kereselidze



ნოე ჟორდანია
Noe Jordania

gary were welcome, but article in the agreement with Ottoman Empire about organizing a rebellion in Georgia was unacceptable. Noe Jordania said: It is true that the Germanophylic thinking prevails with us, but we cannot be unfaithful to Russia. Our way is not rebellion, but an internal revolution in Russia and added: Let Georgian Committee work abroad, it may be a useful direction for us.

By direct participation of Giorgi Matchabelli a branch of the Committee was established in Tbilisi (David Vachnadze, Spiridon Kedia, Revaz Gabashvili, Shalva



დავით ვაჩნაძე
Davit Vachnadze



სპირიდონ კედია
Spiridon Kedia



რევაზ გაბაშვილი
Revaz Gabashvili



შალვა ქარუმიძე
Shalva Karumidze

საჭირო იყო რეგულარული ურთიერთობა. შეხვედრების ადგილად სტოკჰოლმი აირჩიეს, კავშირის გზად - გერმანული წყალქვეშა ნაგები.

შემუშავდა საქართველოს ტერიტორიაზე იარაღის საიდუმლოდ შემოტანისა და დაბინავების გეგმა, რის შემდეგაც გიორგი მაჩაბელი გერმანიაში დაბრუნდა. რევაზ გაბაშვილი მოგვითხრობს ამ მოგზაურობის ერთ შემთხვევას, როცა კავკასის სასტუმროში პრისტავმა გიორგის პასპორტი და პოლიციაში წაყოლა მოსთხოვა, რასაც მისი ჩავარდნა მოჰყვებოდა. გიორგიმ 25 მანეთი გაუნოდა და უარის შემდეგ, რადიკალურ, მაგრამ „უტყუარ ზომას“

Karumidze), which was in charge of the nation's consolidation and contacts with the emigrants. The Committee also contacted the mountainous people of the North Caucasus and national forces in Azerbaijan.

Giorgi Matchabelli was also a member of the Caucasus Committee, headed by Marshal of the Ottoman Empire Fuad Pasha, of Circassian origin and which united representatives of the North Caucasus (Circassians, Dagestanians, Avars), Azerbaijan and Georgia. This union was based on the idea of the Confederation of the Caucasus.

მიმართა: „ან 25 მანეთი, ან ეხლავე გაგათავებთო და რე-
ვოლვერი დაუმიზნა“. ამ მეთოდმა გაჭრა, ბოქაულმა ფული
აიღო და წავიდა“. გიორგიმ კომიტეტის დამხმარე ორგანი-
ზაცია პეტროგრაღშიც დააარსა და სათავეში თავისი ძმა
ნიკო ჩაუყენა. ბერლინში ჩასვლის შემდეგ, მან გერმანი-
ის საზღვაო და სამხედრო შტაბებთან მოაგვარა საქმე და
საქართველოსთან სტამბოლიდან წყალქვეშა ნაევებით კავ-
შირი გააბა.

გიორგი მაჩაბლის ხასიათის თვისებებს შესანიშნავად
ახასიათებს რევაზ გაბაშვილის კიდევ ერთი მონათხრობი
1916 წლის მეორე ექსპედიციაზე, როცა თბილისში საიდუმ-
ლოდ ჩამოსული გიორგი მაჩაბელი მასთან ორი კვირა
იმალებოდა. „გიორგი მოუსვენარი და გაბედული აღმოჩნ-
და: ხან სიონში წავიდა სალოცავად, ხან სარაჯიშვილებთან
- მამიდის სანახავად. ხან ჩამოყვანილ ამაშუკელთან, რო-
მელიც სადღაც თბილისის სადგურთან „ნათესავ მზარეუ-
ლთან“ იმალებოდა და სხ. და სხ“. თბილისში ასე თამამად
სიარული არ იკმარა რუსეთის კონტრდაზვერვის მიერ
„გერმანიის აგენტად“ შერაცხულმა გიორგიმ და სოფელში
ძმასაც ჩააკითხა. ყველა საქმე რომ მოაგვარა, ბაქოს გზით
მოინდომა წასვლა „რამდენიმე კაცმა შორი-ახლოდან გა-
ვაცილეთ და სანამ მატარებელი არ დაიძრა გული გულის
ალაგას არ ჩაგვდგომია...“

გიორგი მაჩაბელი ყოველთვის ყველაზე სახიფათო
და რთულ დავალებებს კისრულობდა, მათი შესრულების
დროს კი არაჩვეულებრივ ნიჭსა და უნარს იჩენდა. თამა-
მად გადადიოდა ერთი ქვეყნიდან მეორეში. მოლაპარაკე-
ბებს მართავდა ხან მთავრობებთან და ხან რევოლუციო-

A regular relationship was required for coordination
of the activities among the members of the Committee
abroad and in Georgia. As a meeting place there was
chosen Stockholm, as a means of connection - German
submarines.

There was developed a plan of secret importing of the
arms and their storage on the territory of Georgia, after
which Giorgi Matchabelli returned to Germany. Revaz
Gabashvili tells one case of the story about this journey,
when in the Hotel Kavkasia a police officer asked Giorgi
to show his passport and demanded him to follow to the
police station, that would be followed by the failure of
the conspiracy. Giorgi stretched out 25 rubles, but be-
ing refused he took a radical but a “true measure”, he
told the officer: “take 25 rubles, or I will kill you on spot
and pointed a revolver at him”. This method worked the
executive took the money and left. Giorgi also founded
a Committee support organization in Petrograd and put
his brother Niko in charge of it. After arriving in Berlin,
Germany, he settled the case with the naval and military
headquarters and organized the connection from Istan-
bul to Georgia by submarines.

Another record by Revaz Gabashvili gives a wonder-
ful description of qualities of character of Giorgi Match-
abelli and about the second expedition in 1916, when
Giorgi Matchabelli arrived in secret in Tbilisi and was
hiding for two weeks in his house. “It turned out that Gi-
orgi was, restless and daring: sometimes he went to pray

ნერებთან და ყველას ხიბლავდა გარეგნობით, დახვეწილი მანერებით, განათლებით, გონებამახვილობით, მგზნებარებით. თავზებელაღებულობის მიუხედავად, გიორგი ახერხებდა გრძნობის გონებისათვის დამორჩილებას, რაშიც კარგი განათლება ეხმარებოდა. შემთხვევითი არ არის, რომ მიხაკო წერეთელმა იგი ასე დაახასიათა: „ძველი ქართველი არისტოკრატი და განათლებული ევროპელი“. გიორგი კერესელიძე კი მის შესახებ წერდა: „გიორგი ჭკუით, ნიჭით, ენერგიით და ცოცხალი ინიციატივით იყო ბუნებისაგან აღჭურვილი, ამასთან გამბედავი და დიდი მამულიშვილი“.

სტოკჰოლმში, გიორგი მაჩაბლისა და რუსეთის სამხედრო მინისტრის სუხომლინოვის თანაშემწის, ვასილ დუმბაძის შეხვედრისას, ჩაეყარა საფუძველი ერთ გახმაურებულ საქმესაც, რომლის დეტალები ამ საქმეზე საგანგებოდ მოწყობილ სასამართლოსთვისაც კი უცნობი დარჩა.

ომის დროს რუსეთის არმია აღჭურვილობისა და ყუმბარების ნაკლებობას განიცდიდა. სამხედრო უწყებამ გადანიშნა, ჭურვები ამერიკის შეერთებული შტატებისათვის შეეკვეთა და ამ მიზნით 15 მილიონი ოქროს მანეთი გამოჰყო. შეკვეთის ოფიციალური რწმუნებულება ვასილ დუმბაძეს გადაეცა. ხსენებული თანხა, გ. მაჩაბლის გეგმის თანახმად, ნაცვლად ამერიკისა, გერმანიაში აღმოჩნდა, დუმბაძემ თავის მინისტრს კი ყალბი საბუთები ჩააბარა. სამი თვის შემდგომ რუსეთმა „შეკვეთილი“ ჭურვები მიიღო, მაგრამ სხვა კალიბრის, რომლებიც არ მოერგო რუსულ ქვემეხებს და ფაქტობრივად, გამოუსადეგარი

in Sioni Cathedral, sometimes he visited the Sarajishvilis - to see his aunt. Other times he went to see Amashukeli, who was hiding somewhere close to Tbilisi Station in the family of his relative chef and so on and so forth.” This man declared by the Russian counter-intelligence as a “German spy” dared to walk free in the streets of Tbilisi and managed to visit his brother in the village. “He arranged all the things and decided to leave via Baku, some of us watching him go with agitation from a safe distance and could not wait until the train left”.

Giorgi Matchabelli always took the most dangerous and difficult missions and during their performance demonstrated extraordinary talent and abilities. He moved from one country to another. Arranged talks with governments and revolutionaries of the time, and everyone was fascinated by his appearance, refined manners, education, smartness and passion. Despite the ruthlessness, Giorgi managed to subdue emotions to reason, which was conditioned by his good education. It is no accident that Mikhako Tsereteli described, him as an old Georgian aristocrat and educated European”. Giorgi Kereselidze wrote about him: “Giorgi with his brains, talent, energy and fresh initiative was equipped by nature itself, a brave and a great patriot at the same time”.

In Stockholm, while the meeting between Giorgi Matchabelli and Vasil Dumbadze, Assistant of the Russian Minister of Defense Sukhomlinov there was laid a foundation for a high-profile case, details of which re-

დარჩა. რუსეთის არმია გენერალური შეტევის წინ ჭურვე-
ბის გარეშე დარჩა და კატასტროფული უკანდახევა დაი-
წყო (ეს ნამდვილი ამბავი მხატვრულად არის გარდასა-
ული მიხეილ ჯავახიშვილის ცნობილ ნაწარმოებში „კვაჭი
კვაჭანტირაძე“). როგორც რევაზ გაბაშვილი წერდა, ამ
„უდიდესმა ქართულმა პატრიოტულმა საქმემ“ – მთელს
იმპერიაში ფართო გამოძახილი ჰპოვა. სუხომლინოვი



სპირიდონ კედია და ვასილ დუმბაძე
Spiridon Kedia and Vasil Dumbadze

remained unknown even for a specially arranged for this
case Court.

During the war, the Russian army suffered from a
lack of ammunition and grenades. The Military Depart-
ment decided to order shells to the United States and
15 million gold rubles were allocated for this purpose.
Official authorization for the order was given to Vasil
Dumbadze. According to the plan of Giorgi Matchabelli
the abovementioned sum of money found itself in Ger-
many instead of the United States, Dumbadze turned
fake documents to his Minister. Three months later,
Russia received the “ordered” shells, but of another cal-
iber, which did not match the Russian cannons, and in
fact, were useless. Before the general strike Russian was
left without shells and started a catastrophic retreat (this
is a true story artistically reproduced in the novel by a
famous writer Mikheil Javakhishvili “Kvachi Kvachan-
tiradze”). As Revaz Gabashvili wrote, “this greatest pa-
triotic case”- was echoed across the whole vast empire.
Sukhomlinov was dismissed, V. Dumbadze was deport-
ed to Siberia.

It should also be mentioned here that at the end
of 1917 in Copenhagen, was held another meeting with
Georgian Patriots. Giorgi Matchabelli and Spiridon Ke-
dia participated in the meeting.

In order to get in touch with the Committee for Ide-
pendence S. Kedia, Chairman of the National Demo-

თანამდებობიდან გადააყენეს, ვ. დუმბაძე კი ციმბირში გადაასახლეს.

აქვე უნდა ვახსენოთ 1917 წლის ბოლოს კოპენჰაგენში გამართული ქართველ პატრიოტთა კიდევ ერთი შეხვედრა. მასში გიორგი მაჩაბლი და სპირიდონ კედია მონაწილეობდნენ.

განთავისუფლების კომიტეტთან დასაკავშირებლად ევროპაში საგანგებოდ გამგზავრებულმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ს. კედიამ უცხოეთში მყოფ თანამემამულეს ახალი, მეტად სასიამოვნო ამბავი ჩაუტანა. სახელდობრ, გააცნო თბილისში მიმდინარე სამზადისი ეროვნული ყრილობის მოსაწვევად, რომელიც სანიშანსვეტო მოვლენა უნდა გამხდარიყო საქართველოს თავისუფლების გზაზე. ფაქტმა მაჩაბელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ქართულ პოლიტიკურ პარტიათა და მიმდინარეობათა გაერთიანება მან საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოახლოებად მიიჩნია. გ. მაჩაბელი კმაყოფილებით შეხვდა ქართველი თავადაზნაურობის განზრახვას საკუთარი ქონების მთელი ერისათვის გადაცემის შესახებ. გიორგის მაძიებელ გონებაში მაშინვე დაიბადა ახალი გაბედული გეგმა. კერძოდ, განთავისუფლების კომიტეტს, ხსენებული ქონების გარანტიით, გერმანიის მთავრობისათვის უნდა ეთხოვა სესხი, რომელიც ქართული სახელმწიფოს დაფუძნებას მოხმარდებოდა. „თუ საქართველოს ხელისუფლება ამაზე უარს იტყვის, არ ავიღებთ, მზად კი გვექნებაო“. გიორგი მაჩაბელსა და გიორგი კერესელიძეს ამ საკითხზე

cratic Party of Georgia was sent to Europe to give his compatriots a new, and a very pleasant information.. In particular, he gave information about ongoing preparations for the convocation of a national congress, which was to become the event of paramount importance on the Georgia's road to freedom. Matchabelli was greatly impressed by this fact. Union of Georgian political parties and movements he considered as a sigh of imminent restoration of Statehood of Georgia. G. Matchabelli met the intention of Georgian nobility regarding transferring of their property to the nation with great satisfaction. In Giorgi's seeking mind immediately was born a new daring plan. In particular, the Liberation Committee, with the property guarantees, was take a loan from the German government which would be consumed for the establishment of Georgian State. "If the Georgian government refuses to talk about it, we will not do it, but will the ready". Giorgi Matchabelli and Giorgi Kereselidze really had negotiations about this matter with the German Ministry of Foreign Affairs, where they were promised the help.

World War I went by the variable success of the opponent sides. During a certain time period connection to Georgia by the submarines was faltered. For a long time nothing was heard either from Giorgi Machabeli. By the "assignment" of David Vachnadze, member of the Committee of Independence of Georgia, a young officer

მართლაც ჰქონდათ მოლაპარაკება გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც დახმარება აღუთქვეს.

პირველი მსოფლიო ომი მოწინააღმდეგე მხარეთა ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა. ერთი პერიოდი წყალქვეშა ნაგებობით საქართველოსთან კავშირი შეფერხდა. კარგა ხანს არაფერი ისმოდა გიორგი მაჩაბლისაგანაც. საქართველოში მყოფი დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრის, დავით ვაჩნაძის „დავალებით“, ახალგაზრდა ოფიცერი ლადო მძინარიშვილი ფრონტზე წავიდა, ტყვედ ჩავარდა და მოძებნა გიორგი მაჩაბელი, რომელმაც იგი, სხვებთან ერთად, წყალქვეშა ნავით გამოგზავნა საქართველოში.

რამდენიმე თვის შემდეგ ამავე გზით სამშობლოში ჩამოვიდა თვით გიორგი მაჩაბელიც. მან თბილისის კომიტეტი ხელახლა დააკავშირა საზღვარგარეთს, კომიტეტის წევრებს კი დაავალა გერმანული წყალქვეშა ნაგებობის დახვედრა შავი ზღვის სანაპიროზე იარაღის მისაღებად.

1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა. გიორგი მაჩაბელმა და მიხაკო წერეთელმა კვლავ მიაკითხეს გერმანიის ხელისუფლებას, დადგინდა წყალქვეშა ნავით ახალი ექსპედიციების მოწყობა სტამბოლიდან საქართველოში.

1917 წელს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები ოსმალეთიდან გერმანული წყალქვეშა ნაგებობით სამჯერ შემოვიდნენ საქართველოში და იარაღი შემოიტანეს. ადგილი სანაპიროზე მდინარე ჭურიასთან თბილისშივე იქნა

Lado Mdzinarashvili was sent to the front, after he was captured there and found Giorgi Matchabelli who sent him with the others, by a submarine to Georgia. A few months later, Matchabelli himself arrived to his homeland by the same way. He re-connected the Committee to the branches abroad and instructed the committee members to meet the transfers of the weapons by the German submarines on the Black Sea coast.

After the Russian revolution, February 1917, the issue of Georgian independence became even more urgent. Giorgi Matchabelli and Mikhako Tsereteli again visited the German government, it was agreed to equip



გერმანული წყალქვეშა ნავი U-38
German submarine U-38

შეთანხმებული. პირველ ექსპედიციის შესახებ მ. წერეთელი წერდა: „ჯერ სხვები ჩავიდნენ ნავში რიგრიგობით და საკმაოდ კარგი, წყნარი განწყობილებით. მეტნაკლებად ოდნავი ღელვა ყველას ეტყობოდა. არ ღელავდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც გამოცდილი ჰქონდთ ამგვარი მოგზაურობა. ბოლოს ჩავიდა ქარცივაძე. დავრჩი მარტო მე.“



პ. სურგულაძე და გ. მაჩაბელი წყალქვეშა ნავში ჩასხდომის წინ
Surguladze and Machabeli before boarding the submarine

new submarine expeditions from Istanbul to Georgia. In 1917, members of the Independence Committee entered into Georgia three times on German submarines from Ottoman Empire and brought in weapons. The place of meeting at the river Churia was agreed in advance in Tbilisi. M. Tsereteli wrote about the first expedition: “First others went into the boat in turns one by one in a good and quiet disposition. More or less everyone showed signs of anxiety. Only those who had experienced this kind of a trip were not worried. The last to go was Kartsivadze. I was left alone. Unexpectedly sudden fear overtook me, I stepped back and said no, intending to leave. At this time, Giorgi Matchabelli pulled out a revolver and with a distorted face and unknown to me before voice said to me: Go. Or I will kill you on spot! It was said with such determination that I was sure he was



გერმანული წყალქვეშა ნავი UB - 14
German submarine U-14

უცებ ამიტანა მოულოდნელმა შიშმა და უკან დავინიე და უარი ვთქვი, ისე, რომ დავაპირე წასვლა. ამ დროს სახ-ეშეცვლილმა გიორგი მაჩაბელმა დაადრო რევოლვერი და ჩემთვის სრულიად უცნობი მანამდე განუცდელი ხმით მითხრა: ჩადი თორემ აქვე დაგანვენ! ეს ისეთი მტკიცე გადანყვეტილებით იყო ნათქვამი, ის ნამდვილად მომკლავდა. მე სწრაფად ჩავირბინე და შევეურთდი სხვებს“.

ოპერაციის წარმატებით დამთავრების შემდეგ მ. წერეთელი და ნ. ქარცივაძე თბილისში წამოვიდნენ. დ. ვაჩნაძესა და შ. ქარუმიძეს გადასცეს ფული, შემდეგ კი დავით ვაჩნაძის ბინაზე ჩატარებულ შეხვედრაზე ნოე ჟორდანიას მონაწილეობით, შეთანხმდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე. ამის შემდეგ, წერეთელი და ქარცივაძე ოხარკალში დაბრუნდნენ, რათა ახალ ექსპედიციას დახვედროდნენ, მათგან იარაღი მიეღოთ და იმავე ნავით ჯერ სტამბოლში ჩასულიყვნენ და იქიდან - ბერლინში, მაგრამ მესამე ექსპედიცია წარუმატებლად დამთავრდა: წყალქვეშა ნავის მზვერავები სანაპიროსთან რუსების საგუშაგოს გადააწყდნენ. ატყდა სროლა. სროლის ხმამ ოხარკალს მიაღწია. წერეთელი და ქარცივაძე მიხვდნენ, რაც მოხდა, მისცეს სიგნალები და წყალქვეშა ნავი უკან გააბრუნეს. ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ პეტრე სურგულაძე და შალვა ვარდიძე, დაბრუნდა სტამბოლში და უკან წაიღო გერმანიის მთავრობისაგან გამოტანებული ფული და იარაღი.

რუსმა გუშაგებმა დაიჭირეს ორი გერმანელი და ორი ქართველი და გადასცეს ადგილობრივ რევოლუციურ კომიტეტს, რომელმაც ისინი ბათუმის ციხეში გაგზავნა.

going to kill me. I quickly ran down the trap and joined the others”.

After a successful completion of the operation M.Tsereteli and N. Kartsivadze left for Tbilisi. They handed over the money to D. Vachnadze and Sh. Karumidze, and then at the meeting held in the house of David Vachnadze with the participation of Noe Jordania, agreed on the issue of independence of Georgia. After that, Tsereteli and Kartsivadze returned to Okharkal to meet a new expedition, receive weapons from them and travel in the same boat to Istanbul and from there - to Berlin, but the expedition failed. Spies of the submarine came across a Russian checkpoint off the coast. The shooting started. The noise reached Okharkal. Tsereteli and Kartsivadze realized what had happened, gave a signal and sent the submarine back. The expedition, led by Petre Surguladze and Shalva Vardidze, returned to Istanbul and took back the money and weapons supplied by the German government. Russian guards caught two Germans and two Georgians and passed them to the local revolutionary committee, which sent them to prison in Batumi. David Vachnadze informed Giorgi Mazniashvili and Evgeni Gegechkori about this happening who sent his people a message and arranged a prison rebellion, the two Germans were hidden after the escape and thus saved them from death.

Giorgi Matchabelli gathered necessary information, conveniently turned away from the police, who heard

ეს ამბავი დ. ვაჩნაძემ აცნობა გიორგი მაზნიაშვილსა და ევგენი გეგეჭკორს, რომელმაც თავისი ხალხი გაგზავნა, მონაწიობა აჯანყება ციხეში, ის ორი გერმანელი გაქცევ-ის შემდეგ გადაამალინა და ამით გადაარჩინა დალუპვას.

გიორგი მაზნიაშვილმა შეკრიბა საჭირო ცნობები, მოხერხებულად დაუძვრა პოლიციას, რომელმაც საქართველოში მისი ჩამოსვლა გაიგო და პეტროგრადიდან ციმბირისა და იაპონიის გავლით ჩავიდა ამერიკაში. ამერიკის მიერ გერმანიისათვის ომის გამოცხადების შემდეგ კი იქიდან ბერლინში ამერიკის ელჩთან, გრაფ ბერნსტორფთან ერთად დაბრუნდა.

ამ ექსპედიციის ტრაგიკულ ფინალზე მოგვითხრობს რევაზ გაბაშვილი: „ომი გრძელდებოდა (1914-18 წლისა), წყალქვეშები თითქმის რეგულარულად მიდი-მოდოდა, მაგრამ ყოველთვის ერთნაირი შანსით არა. ერთმა მათგანმა, რომელსაც არავინ დახვდა და იძულებული იყო გაბრუნებულიყო, თვალი მოჰკრა გემ „პორტუგალიას“, - ეს იყო „გემი-ჰოსპიტალი“, რომელიც მოდიოდა ბათუმისკენ და „ტროსით“ (მავთულის ღვედი) გამობმული დიდი ნავი მოსდევდა, იარაღით დატვირთული. წყალქვეშამ ნაღმით ჩასძირა ორივენი;

და შეიძლება არც ღირებულებული „მსოფლიო“ ომის ასეთ მცირე მოვლენაზე ლაპარაკი, რომ ამ გემ-ჰოსპიტალზედაც და ამ წყალქვეშაშიაც ქართველები არა ყოფილყვნენ. გემთან ერთად დაილუპა ქართველი მონაწილეების და ანეტა ანდრონიკაშვილი და წყალქვეშაში, გერმანელებთან ისხდნენ შალვა ვ-ძე და სხვა ქართველები“.



რევაზ გაბაშვილი
Revaz Gabashvili



ევგენი გეგეჭკორი
Evgeni Gegechkori

about his arrival in Georgia, and went from Petrograd via Siberia and Japan to America. After America's declaration of war against Germany from there he returned to Berlin together with the Ambassador of Germany in the US, Count Bernstorff.

Revaz Gabashvili tells about the tragic final of this expedition: “The war continued (1914-18), the submarines were almost regularly going in and out, but not always with the same luck. One of them not met, was forced to returned back, it caught a sight of a ship “Portugal”, - it was a “ship-hospital”, which was coming to Batumi and towed by “ropes” (Wire belt) a boat, loaded with weapons. The submarine drowned both of them; And may by it is not worth wile to mention this small


წყალქვეშა ნავეებით ჩატარებულ ოპერაციებზე ქართველ მოღვაწეთა - მიხაკო წერეთლის, რევაზ გაბაშვილის, დავით ვაჩნაძის, სპირიდონ კედიას, შალვა ქარუმიძის, კალისტრატე სალიას, გივი კობახიძის, ვალიკო ტოგონიძის ცნობებს ავსებენ გერმანელი ავტორები - მკვლევარი ვოლფდეიტერ ბილი, სახაზო გემის კაპიტანი გერმანელი ჰერმან ლორეი, გერმანული წყალქვეშა ნავის კაპიტანი ობერლეიტენანტი კურტ შვარცი, გერმანელი ოფიცერი



ანეტა ანდრონიკაშვილი
Annetta Andronikashvili

episode of the “world war” if there were no Georgians on board of both of these vessels, the submarine and the ship-hospital. Together with the ship was drowned a nurse Aneta Andronikashvili and on the submarines along with Germans, Shalva V. other Georgians. “

The information about the operations conducted by the submarines given by Georgian public figures - Mikhako Tsereteli, Revaz Gabashvili, David Vachnadze, Spiridon Kedia, Shalva Karumidze, Kalistrate Salia, Givi Kobakhidze, Valiko Ms. E. was completed by the German authors - researchers Wolpdieter Billy, Captain of the Liner German Hermann Loren, German submarine



გემი-ჰოსპიტალი „პორტუგალი“
Ship-hospital “Portugal”

რიჰარდ ადელტი. ამ ცნობათა შეჯერებით, 1916-1917 წლებში წყალქვეშა ნავებით ჩატარებული 5 ექსპედიცია, 2 - 1916 წელს და 3 - 1917 წელს, ასე გამოიყურება:

1916 წლის 31 მაისი-3 ივნისი: წყალქვეშა ნავი U-33, მეთაური კაპიტან-ლეიტენანტი ჰანსენი, ექსპედიციის წევრები - ვლადიმერ მძინარიშვილი, კერესელიძე, შამილი ანუ ლეიტენანტი ახალკაცი და ჩეჩენი ჰაზავათი. ჩამოიტანეს ფული - 203.750 მარკა. 26 ივნისი-13 ივლისი: წყალქვეშა ნავი U-38, მეთაური კაპიტან-ლეიტენანტი ვალენტინერი, ექსპედიციის წევრები - გიორგი მაჩაბელი და ამაშუკელი. ჩამოიტანეს ფული და იარაღი.

1917 წლის 30 მაისი-4 ივნისი: წყალქვეშა ნავი UB-14, მეთაური ობერლეიტენანტი ერნსტ-ულრიხ ბრულერი, ექსპედიციის წევრები - გიორგი მაჩაბელი, მიხაკო წერეთელი, ვლადიმერ მძინარიშვილი, ჩეჩენი ჰაზავათი, აზერბაიჯნელი სელიმ ბეი ბებუთოვი, პლატონ ქორქია, ალექსანდრე ბერძენი, რამდენიმე ქართველი ოფიცერი და ლეგიონის უნტერ-ოფიცერი. ჩამოიტანეს თანხა - 370.000 მანეთი, 100 ინფანტერიის თოფი, 28.700 ვაზნა, 100 ხელყუმბარა. 4-8 ოქტომბერი: წყალქვეშა ნავი UB-42, მეთაური ობერლეიტენანტი კურტ შვარცი. ექსპედიციის წევრები - მიხაკო წერეთელი, მელიტონ ქარცივაძე, გვიშიანი, კერჩი და ერთი აზერბაიჯანელი. შემოიტანეს 500 რუსული თოფი, 500 მაუზერი, ამუნიცია, ტყვია-წამალი და დიდი თანხა. 13-16 ნოემბერი: წყალქვეშა ნავი UB-42, მეთაური ობერლეიტენანტი კურტ შვარცი.

ექსპედიციის წევრები - პეტრე სურგულაძე, შალვა ვარდიძე, სულეიმან ირემაძე, ვლადიმერ სიამაშვილი და

Captain Oberleutenant Kurt Schwartz, a german officer Richard Adelt. By the juxtaposition of the data, five expeditions on submarines in the 1916-1917, and 2 - 3 and 1916 - 1917 correspondingly, were as follows:

Submarine U-33, the commander Captain-Lieutenant Hansen, members of the expedition - Vladimir Mdzinarashvili, Kereselidze, Shamil-Lieutenant Akhalkatsi and Chechen Hazavat. Brought money - 203,750 Marks. 26 June -13 July: submarine U-38, Commander Captain-Lieutenant Valentiner, members of the expedition - Giorgi Matchabelli and Amashukeli. Brought money and weapons.

1917, May 30 - June 4: submarine UB-14, Commander Oberleutenant Ernst-Ulrich Bruler, members of the expedition - Giorgi Matchabelli, Mikhako Tsereteli, Vladimir Mdzinarashvili, Chechen Hazavat, Azerbaijan Selim Bey Bebutov, Platon Korkia, Alexander Berdzeni, several Georgian officers and a an Unter-Officer of the Legion. Brought money - 370,000 rubles, 100 infantry guns, 28,700 cartridges, 100 hand grenades. October 4-8: submarine UB-42, the commander Oberleutenant Kurt Schwartz. Members of the expedition - Mikhako Tsereteli, Melton Kartsivadze, Gvishiani, Kerch and one Azerbaijanian. Brought 500 Russian rifles, 500 Mausers, ammunition and a large sum of money. November 13-16: submarine UB-42, the Commander Oberleutenant Kurt Schwartz. Members of the expedition - Petre Surguladze, Shalva Vardidze, Suleiman Iremadze, Vladimir

კიდევ ერთი ქართველი. გერმანელი მეზღვაურები - ვე-
ბერი და დამანსკი. მოჰქონდათ 470 მაუზერი, 100 ხელყუმ-
ბარა, დიდი თანხა 730.00 მანეთი.

ასე დამთავრდა დამოუკიდებლობის კომიტეტისა და
გერმანული წყალქვეშა ნაგების ეპოპეა, „დაიგვიანა ჩვენ-
მა დამოუკიდებლობამ ექვსი თვით, რადგან ველარ მოვას-
ნარით იმდენი იარაღის (რუსული თოფების, ყუმბარების,
ტყვიამფრქვეველების) შემოტანა, რაკი რეგულიარობა
წყალქვეშა მიმოსვლისა მერე ველარ ავანყეთ და მათი
მოტანილი იარაღი საკმაო არ აღმოჩნდა დიდი რაზმე-
ბის შესაიარაღებლად“, - წერდა რ. გაბაშვილი. მიუხედა-
ვად ამისა, ეს ეპიზოდი ქართულ-გერმანულ თანამშრომ-
ლობაში მეტად საინტერესო და საგულისხმო ისტორიად
რჩება, გიორგი მაჩაბლის მიერ მოწყობილი გერმანული
წყალქვეშა ნაგების ეპოპეა კი მის ბიოგრაფიასა და საქა-
რთველო-გერმანიის ურთიერთობებში ერთ-ერთ ყველაზე
მომხიბვლელ თავგადასავლად. „უშიშარი რაინდი - გი-
ორგი მაჩაბელი, მისი მოკლე, მაგრამ გასაოცარი ღირსე-
ბებით დაჯილდოებული სიცოცხლე მტკიცედაა ჩაქსო-
ვილი საქართველოს განთავისუფლებასთან, - წერდა
ეროვნულ-დემოკრატიკა ემიგრანტული ჟურნალი „სამშ-
ობლო“ - „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტე-
ტი“, განთავისუფლებული საქართველო და მომავალი
თაობანიც იამაყებენ იმ თავგადასავლით, რომლითაც
ძვირფასმა გიორგიმ დაამშვენა ერთ-ერთი ულამაზესი,
უსამიშროესი და უღრმესი განცდებით სავსე ფურცელი
ჩვენი ახალი ისტორიისა“.

Siamashvili and one more Georgian. German sailors -
Weber and Damansky. brought 470 Mausers, 100 hand
grenades, a large amount of 730.00 rubles.

This is how the Independence Committee and the
German submarine epic ended, “our independence was
six months late, as we couldnot bring enough amount of
arms (Russian guns, grenades, machineguns), as regu-
larity of underwater movement was not set up and weap-
ons were not enough to arm big military units” - wrote
R. Gabashvili. Nevertheless, this episode of the Geor-
gian-German cooperation remains to be the most inter-
esting and important story, arranged by Giorgi Matcha-
belli German submarine epic is one of the most lucrative
adventures in his biography and Georgian-German rela-
tions. “Fearless knight - Giorgi Matchabelli, his short but
gifted with remarkable properties life is firmly knitted
with the fight for Freedom of Georgia, - wrote the em-
igrant newspaper of National Democrats “Samshoblo”
- “the Liberation Committee”, Free Georgia and future
generations will be proud of this adventure, by which
our precious Giorgi beautified one of the most exciting
and deeply sensitive pages of our new history”.

Meanwhile, the issue of reconciliation between Rus-
sia and Germany ripened. The Brest-Litovsk peace talks
were underway. Giorgi Matchabelli specially arrived in
Brest-Litovsk, but failed to influence the course of ne-
gotiations without having a mandate. In this regard,

ამასობაში რუსეთსა და გერმანიას შორის დაზავების საკითხი მომნიჭდა. სამშვიდობო მოლაპარაკებები ბრესტ-ლიტოვსკში მიმდინარეობდა. გიორგი მაჩაბელი საგანგებოდ ჩავიდა ბრესტ-ლიტოვსკში, მაგრამ უმანდატოდ მოლაპარაკების მსვლელობაზე გავლენა ვერ მოახდინა. ამ მხრივ დიდად საყურადღებოა მისი ერთი წერილი აკაკი ჩხენკელისადმი, რომელიც დათარიღებულია 1918 წლის 29 აპრილით. გ. მაჩაბელი გადმოგვცემს: „...რუსეთთან ზავი არ სრულდება და თურქები ცდილობდნენ ჩვენთან მაინც შეეკრათ ზავი და არაფერზე დაეას არ გვიხდენდნენ. ...სამწუხაროდ, არ მქონდა არაფერი ოფიციალური მინდობილობა ჩვენი მთავრობის, თორემ დღეს ზავი თურქებთან და ცენტრალურ სახელმწიფოებთან მზად იქნებოდა და არაფერი საჩხუბი და სადაო თურქებთან არ გვექნებოდა“.

განთავისუფლების კომიტეტის საქმიანობა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დიდ ხანს აღარ გაგრძელებულა. კომიტეტმა წარმატებით განახორციელა თავისი ერთ-ერთი ბოლო ღონისძიებაც ქართველი ტყვეების სამშობლოში დაბრუნების სახით, მიზანი მიღწეულად ჩათვალა და 1918 წლის ივლისში თავი დაშლილად გამოაცხადა.

საქართველოს თავისუფლების საქმეში შეტანილი წვლილისათვის გიორგი მაჩაბელს მინიჭებული ჰქონდა დამოუკიდებლობის კომიტეტის ჯილდო „თამარ მეფის“ ორდენი.

კომიტეტის საქმიანობაში გიორგი მაჩაბლის განსაკუთრებულ ღვაწლს აღნიშნავდა მიხაკო წერეთელი: „მაშინ-

much attention should be paid to his letter to Akaki Chkhenkeli, dated to April 29, 1918. G. Matchabelli says: “truce with Russia is not being fulfilled and the Turks were trying to tie up truce at least with us and did not argue about anything... Unfortunately, I did not have any official authorization from the government, or the truce with the Turks and the central states would be ready without having anything controversial or disputable with the Turks”.

Activities of the Liberation Committee did not continue long after the restoration of the State independence of Georgia. The Committee successfully carried out one of his last events of returning of Georgian prisoners of war to their homeland, the goal was achieved and in July 1918 the committee announced himself dismissed.

For his contribution in Liberation of Georgia, Giorgi Matchabelli was given the order of “QueenTamar” by the Committee of Independence On the special contribution of Giorgi Matchabelli in the work of the Committee Mikhako Tsereteli stated: “then-active work



თამარ მეფის ორდენი
Order of King Tamar

დელი აქტიური საქმიანობა გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისათვის განუყრელია გიორგის სახელთან“. ზურაბ ავალიშვილი კი წერდა, რომ საქართველოს საკითხის დასმა მაშინ, როცა „ეს ქართველების დიდ უმრავლესობას შეუძლებლად, ნაადრევად, თითქმის წარმოუდგენლად მიაჩნდათ და ეჭვის გარეშეა, რომ ეს ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი აქტიური წევრთაგანი გიორგი იყო. წინამორბედათ ჩაითვლება იმ პოლიტიკურ მკვდრეთით აღდგომისა, რომელიც მოხდა 26 მაისს 1918 წელს“.

by Germany for recognition of independence of Georgia is inextricably bound up with the name of Giorgi”. Zurab Avalishvili wrote that putting forward the Georgian issue “when the vast majority of Georgians found it impossible, premature, and almost unimaginable, no doubt, this group, one of the active members of which was Giorgi can be considered to be the predecessor of the political resurrection of Georgia which happened on May 26, 1918”.



გიორგი მაჩაბელი დიპლომატიურ ასპარეზზე

გიორგი მაჩაბლის პორტრეტს საგულისხმო შტრიხებს სძენს მისი საქმიანობა დიპლომატიურ ასპარეზზე. ცნობილია, რომ მან პირველი ნათლობა ამ სფეროში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მიიღო. გიორგი ჩართეს საქართველოს იმ ოფიციალურ დელეგაციაში, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის მეთაურობით 1918 წლის ივნისის დამდეგს ბერლინში ჩავიდა გერმანიის ხელისუფლებათან მოლაპარაკების მიზნით.

ცოტა მოგვიანებით კი გიორგი მაჩაბელი საელჩოს პირველი მდივნის რანგში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი იყო იტალიის სამეფოში.

საქართველოს პოლიტიკური თანამშრომლობა იტალიასთან 1920 წლის გაზაფხულზე დაიწყო, როდესაც იტალიის მთავრობამ სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკური სააგენტო ჩამოაყალიბა. რამდენიმე თვის შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიულად აღიარებასთან დაკავშირებით, სააგენტო დიპლომატიურ წარმომადგენლობად-საელჩოდ გარდაიქმნა.

საპასუხოდ, საქართველოს ხელისუფლებამაც რომში საელჩოს გახსნის გადაწყვეტილება მიიღო. 1921 წლის იანვრის ბოლოს იტალიაში საგანგებო დესპანად საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კონსტანტინე საბახტარ-

Giorgi Matchabelli on the diplomatic arena

The portrait of Giorgi Matchabelli can be significantly enriched by the traits of his activities on the diplomatic arena. It is known that the first baptism in this field he received immediately after the declaration of Georgia as an independent country. Giorgi was included in the official delegation, which headed by Foreign Minister Akaki Chkhenkeli arrived in Berlin at the beginning of June 1918 for negotiations with the German government. Later Giorgi Matchabelli became the first secretary of the Embassy of the Democratic Republic of Georgia in Italy.

Political cooperation of Georgia with Italy started in the spring of 1920, when the Italian government established a political agency in the South Caucasus. A few months later, regarding the legal recognition of the Democratic Republic of Georgia the agency was transformed into a diplomatic Mission-Embassy.

In response, the government of Georgia took a decision to open the embassy in Rome. At the end of January 1921, Deputy Foreign Minister Constantin Sabakhtarishvili was sent to Italy as a Special Envoy. Functions of the first secretary of the Embassy were given to Giorgi Matchabelli, Giorgi Abkhazi was appointed as a consul of Georgia.

აშვილი მიავლინეს. საელჩოს პირველი მდივნობა გიორგი მაჩაბელს დაეკისრა, ხოლო კონსულად გიორგი აფხაზი დაინიშნა.

ამ ამბებიდან მოკლე დროში საქართველო ბოლშევიკური რუსეთის ძალმომრეობის მსხვერპლი გახდა. დამხობილი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ოკუპირებული სამშობლო იტალიური გემით დატოვა და საფრანგეთში გაიხიზნა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრირებული მთავრობა საკუთარ ქვეყანაზე იურისდიქციას ვეღარ ახორციელებდა, მაგრამ მის დიპლომატიურ უწყებას საქმიანობა არ შეუწყვეტია. მუშაობას განაგრძობდნენ საქართველოს ოფიციალური წარმომადგენლობები, თუმცა მათი სტრუქტურა და პერსონალური შემადგენლობა რამდენადმე შეიცვალა. გადაისინჯა დიპლომატიური მისიების სტატუსიც, ზოგან საელჩო ლეგაციად ან საკონსულოდ გადაკეთდა, ზოგიერთ ქვეყანაში კი სულაც მთავრობის რწმუნებულის თანამდებობა დაწესდა.

ქართული დიპლომატიური სამსახურის ერთ-ერთ მთავარ ფიგურად რჩებოდა სრულუფლებიანი ელჩი პარიზში აკაკი ჩხენკელი, რომელსაც რწმუნების სიგელები საფრანგეთის გარდა, ინგლისისა და იტალიისათვისაც მიეცა. მასვე მინდობილი ჰქონდა დიპლომატიური საქმიანობის ხელმძღვანელობა ევროპის სხვა სახელმწიფოებშიც (შვედეთი, ესპანეთი, ბელგია, რუმინეთი, პორტუგალია, ნორვეგია, დანია, ჩეხოსლოვაკია, სერბია-ხორვატია-სლოვენიის ფედერაცია).



აკაკი ჩხენკელი
Akaki Chkhenkeli

Soon after these events Georgia became a victim of the violence of the Bolshevik Russia. The overthrown government of the Democratic Republic of Georgia left the occupied homeland on an Italian ship and fled to France.

The emigrated government of the Democratic Republic of Georgia could not exercise the jurisdiction in its country, but the diplomatic missions did not stop their activities. Official representations of Georgia continued to work, although their structure and staff changed to some extent. There was also revised the sta-

რაკი აკაკი ჩხენკელი ძირითადად პარიზში იმყოფებოდა, სხვა ევროპულ დედაქალაქებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებს მისი შემცვლელი უძღვებოდნენ. ასე იყო იტალიაშიც, სადაც ელჩის ფუნქციები რეალურად გიორგი მაჩაბელს ებარა. იგი ამ მალალ საპასუხისმგებლო მოვალეობას 1924 წლის ბოლომდე ასრულებდა.

მართალია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობის გამო, გიორგი მაჩაბელმა რწმუნების სიგელების გადაცემა ვერც მოასწრო და საელჩო ფორმალურად არსებობდა, მაგრამ მაჩაბლის დიდი დამსახურება იყო, რომ მას არა მარტო სამთავრობო წრეები, არამედ ოპოზიციაც ისევე უწევდა ანგარიშს, როგორც თავისუფალი ქვეყნის ელჩს. როგორც გ. მაჩაბლის ნეკროლოგში წერდნენ: „ქუჩაში ნაბიჯსაც ვერ გადადგამდით, მისი მეგობარი, საქართველოს მეგობარი რომ არ შეგხვედროდათ“.

გიორგი მაჩაბლის იტალიაში მოღვაწეობის პერიოდში ქვეყანაში რამდენჯერმე შეიცვალა ხელისუფლება (ჯოვანი ჯოლიტის, ივანოე ბონომის, ლუიჯი ფაქტას და ბენიტო მუსოლინის კაბინეტები). თითოეული მათგანის დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და მისი წარმომადგენლობისადმი განსხვავებული იყო. ჯოლიტისა და ბონომის დროს იტალიურ-ქართული სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები შეზღუდული ფორმით ჯერ კიდევ წარმოებდა. ამ პერიოდში იტალიაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმო-

tus of diplomatic missions, in some countries embassies were transformed in representations or consulates, in others even the post a government representative was introduced.

One of the key figures of Georgian Foreign Service was plenipotentiary ambassador of Georgia in Paris Akaki Chkhenkeli, who in addition to France, was given credentials in England, and Italy. He had been entrusted with the leadership of the European diplomatic activities in other countries as well (Sweden, Spain, Belgium, Romania, Portugal, Norway, Denmark, Czechoslovakia, Federation of Serbia-Croatia-Slovenia).

Since Akaki Chkhenkeli was mainly in Paris, in other European capitals diplomatic missions were led by his substitutes. It was so in Italy, where the functions of the Ambassador were actually given to Giorgi Matchabelli. He performed these highly responsible duties to the end of 1924.

It is true that due to the fall of the Democratic Republic of Georgia Giorgi Matchabelli could not receive authorization credentials and the embassy existed formally, but it was Matchabelli's great merit that he got the support not only from the governmental circles, but of the opposition as well, as to the ambassador of a free country. According to the obituary of Giorgi Matchabelli: "You could not walk in the street without meeting his friends, friends of Georgia."

მადგენლობას გულისხმობდა ეპყრობოდნენ. 1921 წლის აპრილში რომში ჩასულ აკაკი ჩხენკელს საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯორჯიო სფორცამ უმასპინძლა. გ. მაჩაბლის ძალისხმევით, ელჩი კერძო აუდიენციაზე იტალიის მეფე ვიტორიო-ემანუილ III-მაც მიიღო.

იმავე წლის ზაფხულში იტალიას ევგენი გეგეჭკორი და სვიმონ მდივანი ეწვივნენ. ისინი შეხვდნენ ადგილობრივ სოციალისტთა ლიდერებს, რომელთაც საქართველოს მდგომარეობა გააცნეს და მის დეოკუპაციაში თანადგომა თხოვეს.

ფაქტას პრემიერ-მინისტრობის დროიდან იტალიის მმართველ პოლიტიკურ წრეებს საქართველოს მიმართ გულგრილობა დაეტყო. ჩვენი ქვეყნისადმი დიდი ინტერესი არც მუსოლინის კაბინეტს გამოუჩენია, თუმცა იტალიის როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორში საქართველოს წარმომადგენლებს ბევრი მეგობარი და მხარდამჭერი ჰყავდათ, რაშიც განსაკუთრებული ღვაწლი გიორგი მაჩაბელს მიუძღოდა. თავისი გარეგნობით, დახვეწილი მანერებით, განათლებით, გონებამახვილობითა და მგზნებარებით იგი ყველას მოხიბვლას ახერხებდა.

დევენილი მთავრობის დიპლომატიურ წარმომადგენლობებს საფრანგეთის გარდა სხვა ქვეყნებში სრული უფლებამოსილება აღარ გააჩნდათ. ამის გამო, 1921 წლიდან, საქართველოს ინტერესების დაცვა მათ არაორდინალურ პირობებში უწევდათ. მაგალითად, გიორგი მაჩაბლის საქმიანობის ერთი მიმართულება საპორტესტო ნოტებისა და განცხადებების მეშვეობითი საქართველო-

During Giorgi Matchabelli's activities in Italy the government changed several times (Giovanni Jolitti, Ivanoe Bonomi, Luigi Facta and Benito Mussolini cabinets). The attitude to the democratic republic of Georgia and its representatives by each of them was different. During Jolitti and Bonomi times Italian-Georgian trade and economic relations were still conducted in a limited



ქართული დელეგაცია ბერლინში. სხედან - ნიკო ნიკოლაძე, აკაკი ჩხენკელი, ზურაბ ავალიშვილი. დგანან - სპირიდონ კედია, გიორგი მაჩაბელი, მიხაკო წერეთელი

Georgian Delegation in Berlin. Sitting - Niko Nikoladze, Akaki Chkhenkeli, Zurab Avalishvili. Standing - Spiridon Kedia, Giorgi Matchabelli, Mikhako Tsereteli

ში ბოლშევიკური რეჟიმის მხილება, საბჭოური სინამდვილის შესახები იტალიის მესვეურთა სისტემატური ინფორმირება იყო.

ქართველი დიპლომატი ყურადღებით ადევნებდა თვალს იტალიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ძირითადი მოვალეობის პარალელურად, იგი საკონსულოს ფუნქციებსაც ასრულებდა – საქართველოს მოქალაქეებს აძლევდა ვიზებს, პასპორტებს, ეხმარებოდა ერთი სახელმწიფოდან მეორეში გადასვლაში და სხვ.

1922 წლის გაზაფხულზე იტალიის ქალაქ გენუაში ევროპის ეკონომიკური აღორძინების საკითხთა განსახილ-

ველად საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. მასზე დასასწრებად იტალიაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციაც ჩავიდა. გიორგი მაჩაბელმა ყველაფერი იღონა, რომ ქართული დელეგაციის წევრები კონფერენციაზე დაემვათ, მაგრამ ეს მის ძალებს აღემატებოდა.

ცნობილია, რომ გენუის კონფერენციას გაეგზავნა საქარ-

way. In Italy during this period, representatives of the Democratic Republic of Georgia were treated thoughtfully. In April, 1921, Akaki Chkhenkeli who was visiting Italy was hosted by the Foreign Minister, Carlo Sforza. By the efforts of Giorgi Matchabelli, the Ambassador was given a private audience by the Italian King Vittorio Emanuele III.

In the summer of the same year Evgeni Gegechkori and Svimon Mdivani visited Italy. They met with the leaders of the local Socialists, informed them about the situation in Georgia and asked their support in the deoccupation of the country.

From the time of the Prime Minister of Italy Luigi Facta ruling political circles of Italy reflected indifferent attitude to Georgia. Neither Mussolini Cabinet showed great interest to our country, though thanks to Giorgi Matchabelli representatives of Georgia had many friends and supporters both in Italian governmental and non-governmental sectors, Giorgi with his appearance, refined manners, education, wit and zeal managed to charm everyone.

Diplomatic missions of emigrated government in exile did not have full authority in European countries with exemption of France. For this reason, since 1921, they had to advocate interests of Georgia in extraordinary conditions. For example, one strand of Giorgi Matchabelli's activity was disclosure of the Bolshevik regime in



ვიტორიო-ემანუილ III
Vittorio-Emmanuel III

თველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას მიმართვა.

ერის სულიერი მოძღვარი განათლებულ კაცობრიობას საქართველოში შექმნილ უმძიმეს ვითარებას აღუწერდა და ქვეყნიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანას მოითხოვდა. ეს მიმართვა 1922 წლის 25 მაისს იტალიურ გაზეთში „კაფარო“ გამოქვეყნდა (გაზეთი ჯერ კიდევ 1875 წელს გენუაში იტალიელმა მწერალმა ანტონიო გიულიო ბარილიმ დააარსა).

არ მოიპოვება პირდაპირი ცნობები, მაგრამ გიორგი მაჩაბლის მონაწილეობა ამ საქმეში სავსებით დასაშვებია, რადგან მას მჭიდრო ურთიერთობა გააჩნდა ქვეყნის გავლენიანი გაზეთების რედაქციებთან და იტალიურ პერიოდულ პრესაში თვითონაც არაერთი პუბლიკაცია დაუბეჭდავს საქართველოს საკითხზე.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ გ. მაჩაბელი დიდად აფასებდა ქართველი მღვდელმთავრის გაბედულ ნაბიჯს. წერდა: „კათალიკოსმა თავისი გმირული საქციელით არამარტო ქართული ეკლესიის ავტორიტეტი ასწია კიდევ უფრო მაღლა, არამედ მთელი ქართველი ერის პრესტიჟიც“.

იმ დროისათვის იტალიაში რამდენიმე მრავალტირაჟიანი გაზეთი გამოიცემოდა, მათ შორის პერიოდული ორგანოები გააჩნდათ იტალიის წამყვან პოლიტიკურ ძალებსაც. მიუხედავად მრავალი სირთულისა, გიორგი მაჩაბელმა შეძლო ფაშისტური, ეროვნული და დემოკრატიული მიმართულების პერიოდულ გამოცემებთან საერთო ენის გამონახვა და მათში სტატიების გამოქვეყნებას შეუდგა.

Georgia and giving systematical information to Italian authorities about the Soviet reality by means of protest political notes and applications.

Georgian diplomat closely followed the political processes taking place in Italy. In parallel to his major task, he also realized consular functions – giving visas and passports to citizens of Georgia, helping them to move from one country to another etc.

In the spring of 1922 in the Italian city of Genoa was held an International conference for discussion of the issues of economical revival of Europe. A delegation from the Democratic Republic of Georgia also arrived in Italy to participate in the conference. Giorgi Matchabelli did all he could to receive a permission for the members of the Georgian delegation to be allowed to the conference for participation, but it was beyond his capacity.

It is known that an appeal of the Catholicos Patriarch of Georgia Ambrosi Khelaia was sent to Genoa Conference.

The spiritual leader of Georgia described grave situation in Georgia to the enlightened mankind and demanded the immediate withdrawal of Russian occupational troops from the country. This appeal was published in the Italian newspaper, “Kafaro” on May 25, 1922 (Photo. Newspaper “Kafaro”) (The Newspaper was founded in 1875 in Genoa, by an Italian writer Anton Giulio Barrili). We do not have direct information but involvement of Giorgi Matchabelli in this is quite probable, because he had a close relation-

„ჩემი ჩამოსვლისთანავე აქ იტალიაში დავინწყე მუშაობა ჩვენი საკითხის გამო. ... ჩავიგდე ხელში სამი გაზეთი ყველა მიმართულებისა: ფაშისტური, ნაციონალური (დიდი დღიური - როგორც ლა პელისა პაისო) და ოპოზიციური დემოკრატიული (ნიტისა). სოციალისტებისთვის განგებ არ მიმიმართავს. უკვე ორ გაზეთში იყო დაბეჭდილი გრძელი წერილები, ერთში ჩემის ხელმოწერით ბოლშევიკების წინააღმდეგ, მეორეში როგორც დეპეშა, თუ რა ხდება საქართველოში და ხვალ დაინწყება მთელი რიგი წერილებისა ფაშისტურ გაზეთში. ... პრესსა ავალაპარაკე ჩვენი საკითხის შესახებ“, - წერდა გიორგი მაჩაბელი თავის მეგობარ სპირიდონ კედიას რომიდან პარიზში გაგზავნილ, 1923 წლის 12 ოქტომბრით დათარიღებულ ერთ კერძო წერილში.

თავის საგაზეთო პუბლიკაციებში გიორგი მაჩაბელი ყურადღებას ამახვილებდა თუ რა ზარალი მოუვიდა იტალიას ბოლშევიკების დამკვიდრებით საქართველოში, რა მნიშვნელობა ჰქონდა იტალიისათვის ჩვენ ქვეყანას და როგორ უნდა გამოსწორებულიყო საქართველო-იტალიის ურთიერთობის საკითხი.

ქართველი დიპლომატი ცდილობდა დაერწმუნებინა იტალიის შესაბამისი წრეები, რომ დამოუკიდებელ საქართველოს შეეძლო იტალიისათვის უპრობლემოდ, ურთიერთხელსაყრელი პირობებით მიეცა კონცესიები და ამით ესარგებლა. თავის მხრივ, იტალიური კაპიტალი დაეხმარებოდა საქართველოს და ხელს შეუწყობდა მის ეკონომიკურ აღორძინებას.



კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია
Catholicos-Patriarch Ambrosi Khelaisi



გიორგი მახაბელი
Giorgi Matchabelli

ship with the country's most influential newspapers and had published in Italian periodicals a number of publications on Georgian issues. It is also important that Giorgi Matchabelli highly valued a bold step of the Archbishop. He wrote: "The Catholicos with his heroic deeds raised, not only the authority of Georgian Church even higher, but also the prestige of the entire nation".

At that time, several large-circulation newspapers were published in Italy, among them periodicals of leading Italian political forces. Despite of many difficulties, Giorgi Matchabelli was able to find a common language with Fascists, National and Democratic periodicals and started publishing his articles on their pages.

Immediately after my arrival here in Italy I started to work on our issues. ... I obtained newspapers of all three directions: Fascist, National (great blog - as La pelisa paio) and oppositional Democratic (Nitisa). I have not applied to Socialists deliberately. Already in two newspapers they have printed long letters, one by my signature against the Bolsheviks, and the second in a form of a telegram, concerning the events in Georgia and tomorrow will begin a series of letters in the fascist newspaper. ... The Press started to speak about our issue ", - wrote Giorgi Matchabelli to his friend Spiridon Kedia in a private letter sent from Rome to Paris, on 12 October 1923.

In his newspaper articles Giorgi Matchabelli drew attention to what kind of loss had happened to Italy by

ერთ-ერთს სტატიაში გიორგი მაჩაბელი იტალიის ხელისუფლებას მიმართავდა, არ ეცნოთ საბჭოთა კავშირი უპირობოდ და მისთვის იურიდიული აღიარების წინაპირობად საქართველოსა და კავკასიის საკითხის გამორკვევა დაესვათ. „მოსთხოვეთ, გაიყვანონ ჯარები, ჩაატარონ თქვენი ზედამხედველობით რეფერენდუმი და მთელი კავკასიის და ცენტრალურ აზიის ხალხების თვალში თქვენი პრესტიჟი ცამდის აინვეს“, - ურჩევდა მაჩაბელი იტალიელებს.

გიორგი მაჩაბელმა შეძლო კავშირის დამყარება მუსოლინის თანამოაზრეებთან და დურჩეს პოლიტიკურ მეგობრებთან, რომელთაც საქართველოს განთავისუფლებაში დახმარების სანაცვლოდ ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს კონცესიის განახლება აღუთქვა. გიორგი მაჩაბლის შეთავაზებაში ხაზი ესმებოდა ასევე, საქართველოს ტყის კონცესიით, ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებით იტალიის დაინტერესებას, იტალიისათვის აზერბაიჯანული ნავთობით სარგებლობაში ხელშეწყობას, რასაც მუსოლინის ყურადღება გამოუწვევია. იდეა მოეწონათ. „მოლაპარაკება სერიოზული მუსოლინთან, ალბათ ამ დღეებში მე თვითონ მიმინვევს და გამაგებინებს თავის აზრს“, - აღნიშნულია 1923 წლის 20 ოქტომბრით დათარიღებულ გ. მაჩაბელის ერთ კერძო წერილში.

საქმე, რომელსაც გიორგი მაჩაბელი იტალიაში აკეთებდა, რამდენიმე კაცის ძალისხმევას მოითხოვდა, საქართველოს წარმომადგენელი კი არსებითად მარტო იყო. მაგრამ, როგორც თვითონ აცხადებდა, „იმედი, რომ მართლაც შეიძლება რამე გამოვიდეს, რომ ერთ მშვენიერ



იტალიური გაზეთები „კაფარო“, „პოპოლო“ და „ავანტი“ Italian newspapers „Caffaro“, „Popolo“, „Avanti“

დღეს მუსოლინს შეუძლიან დაარტყას მუშტი მაგიდას და შეუთვალოს ბოლშევიკებს, რას ჩადიხართ საქართველოშიო, აი ეს იმედი მაძლევს ძალას, ... ამოდენა ზედმეტ საქმეებს გაეფუძვე და მოვუარო“.

იტალიაში მყოფ გიორგი მაჩაბელს კიდევ ერთი დიპლომატიური მისიის შესრულება დაევალა. პარიზში მყოფმა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ ის მიაგვლინა ლოზანის კონფერენციაზე (1922 წლის ნოემბერი-1923 წლის ივლისი). დასავლეთის მოკავშირეებმა სრუტეების საკითხის განსახილველად კონფერენციაზე საერთაშორისო კომისიაში ადგილი გამოუყვეს საქართველოს ემიგრირებული მთავრობის წარმომადგენელს და უარი უთხრეს ქართველ ბოლშევიკებს კონფერენციას დასწრებოდნენ, როგორც საქართველოს კანონიერი წარმომადგენლები. კონფერენციაზე ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას ანტანტის სახელმწიფოებსა და ქემალისტურ თურქეთს შორის. ემიგრანტულ მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ ხელშეკრულება გამოინვევდა ანტანტისა და თურქეთის დაახლოებას, თურქეთი კი მხარს დაუჭერდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. გიორგი მაჩაბლის გაგზავნა თურქეთის წარმომადგენლებთან სასაუბროდ გადაწყდა იმიტომ, რომ მას ჯერ კიდევ 1914 წელს ჰქონდა ახლო ურთიერთობა იმ პირებთან, რომლებსაც 1922 წლისათვის მნიშვნელოვანი სახელმწიფო თანამდებობები ეკავათ. ხელშეკრულებამ ვერ გადაჭრა წინააღმდეგობა თურქეთსა და ანტანტის სახელმწიფოებს შორის, თან თურქეთი ინარჩუნებდა

establishing the Bolsheviks in Georgia, what was the significance of our country for Italy and how to improve relations between Georgia and Italy.

Georgian diplomat tried to convince corresponding Italian groups, that independent Georgia could give Italy concessions by mutually beneficial conditions without problems. On its part, the Italian capital will help Georgia and contribute to its economical revival.

In one of his articles Giorgi Matchabelli addressed the Italian government, not to recognize the Soviet Union unconditionally and give it a precondition for legal recognition to study the issues of Georgia and the Caucasus. Demand the withdrawal of their troops, and realize the referendum under your supervision as this will rise your prestige to the sky in the eyes of the peoples of the whole Caucasus and Central Asia” - advised Matchabelli Italians.

Giorgi Matchabelli established ties with Mussolini's associates and Duche's political friends, whom in exchange for the liberation promised upgrading of Tkvarcheli coal concession. In Giorgi Matchabelli's offer there were emphasized also moments of the Forest concession, attracting Italy's interest to Batumi and Poti ports, promotion of the use of the Azerbaijanian oil by Italy, which attracted Mussolini's attention. They liked the idea. “Serious talks will be with Mussolini, perhaps these days he will invite me and tell me his opinion,” -

ნეიტრალიტეტს საბჭოთა რუსეთის მიმართ, რაც გამორიცხავდა მისი მხრიდან ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მხარდაჭერას. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, რომ დასავლეთის ქვეყნების მესვეურები საქართველოს დასახმარებლად განენწყვნენ, საქართველოს ემიგრირებულიმა მთავრობამ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში რეალური მოკავშირე ვერ იპოვა.

მისიის წარუმატებლობამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა გიორგი, რომ საჭირო იყო ბრძოლოს ტაქტიკის შეცვლა. 1923 წლის ნოემბრის დამლევს იტალიიდან პარიზში ჩასული გიორგი მაჩაბელი სპირიდონ კედიასთან შეხვედრისას განიხილავდა საკითხს „თუ პოლიტიკური მუშაობისათვის როგორ იშოვონ ფული“. შეთანხმებულან, რომ თუ რაიმეს წამოიწყებდნენ, ეს უნდა ყოფილიყო კომერციული საქმიანობა. „ჩვენი ქართული საქმე და ეროვნული მიზანი მაშინ შეგვიძლია დავაყენოთ მტკიცე საფუძველზე, როცა მოვახერხებთ ფინანსური საძირკვლის ჩაყრას, თორემ მარტო მემორანდუმების წერით ბევრი არაფერი გამოდის. როცა ნივთიერი საყრდენი გვექნება, მაშინ მემორანდუმებსაც საჭირო ძალა შეემატება და იმოქმედებსო“.

გიორგი მაჩაბელმა თავისი მეუღლის დახმარებით, იშოვა სამუშაო ნიუ-იორკში, როგორც ერთი იტალიური საზოგადოების წარმომადგენელმა, მაგრამ გამგზავრებას არ ჩქარობდა: „უკანასკნელი სიტყვა არ მიმიცია, ...რადგან ჯერ მინდა მოვუცადო, თუ პოლიტიკურ ნაბიჯისაგან რა შედეგს დავინახავთ. ეჭვს გარეშეა, რომ თუ აქ ჩვენი საქმე ამოდრავდა, ამერიკას თავს დავანებებ და აქ დავრჩები. ან ერთი ან მეორე“, უზიარებდა აზრს გიორგი სპირიდონ კედიას.

wrote G. Matchabelli in a private letter dated October 20, 1923.

The mission, which Giorgi Matchabelli was doing in Italy required efforts of several men, but the representative of Georgia was actually alone, as he claimed “the hope, that one day Mussolini can struck his fist on the table and ask the Bolsheviks, what is it you are doing in Georgia, gives me strength... to manage and take care of so many extra things”.

In Italy another diplomatic mission was entrusted to Giorgi Matchabelli. Government of Independent Georgia in Paris, delegated him to the Lausanne Conference (November, 1922 - July, 1923). Western allies gave place to a representative of Emigrated Georgian Government in the international committee on the issues of the straits at the conference and refused the Bolsheviks to attend the conference, as the legal representatives of Georgia. At the Conference, they signed a peace agreement between the Entente Alliance States and Kemalist Turkey. Emigrant government hoped that the agreement would lead to closer relations between Entente States and Turkey, and Turkey would support the restoration of independence in Georgia. It was decided to send Giorgi Matchabelli for discussions with the representatives of Turkey because he already in 1914 had a close relationship with those people, who in 1922 occupied important state positions. The agreement failed to resolve contradictions between Turkey and the Entente States, besides Turkey



სოფიო და სპირიდონ კედია
Sophio and Spiridon Kedia

remained neutral towards Soviet Russia, which excluded its support of Georgian political emigration. Despite the efforts of emigrated Georgian Government to evoke sympathy of the leaders of the Western countries, it could not find a real ally in its fight for independence.

Failure of the mission assured Giorgi once more that it was necessary to change the battle tactics. At the end of November 1923, Giorgi Matchabelli having arrived from Italy to Paris, when meeting Spiridon Kedia discussed the issues about “finding money for their political activities”. They agreed that if they decided to start any kind of work, it had to be a commercial activity. “We can put up our Georgian and national goal firmly only when we manage to build a financial foundation otherwise by writing only the memoranda we will achieve nothing. When we get material support, then the memoranda will acquire required power and they will work”.

Giorgi Matchabelli by the help of his wife, found a job in New York, as a representative of an Italian society, but was not in a hurry to depart: “I have not given the last word... as I want to wait, and see what the outcome of our political steps will be. There is no doubt that if we activate our business here, I will leave the United States and stay here. One or the other”, shared he his ideas to Spiridon Kedia.

There was no reason for Giorgi Matchabelli to stay in Italy any longer. He left the diplomatic arena and moved

გიორგი მაჩაბლის იტალიაში დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. მან დატოვა დიპლომატიური ასპარეზი და ბედის საძიებლად ამერიკაში გადაინაცვლა. საქართველოს თავისუფლებისათვის ამ დაუღალავი მებრძოლის მიზანი ამერიკაშიც ის იყო, რომ ქართული ეროვნული ძალები მზადმყოფნი შეხვედროდნენ „მომენტს, რომელიც ერთხელ მაინც უნდა დადგეს და რომელიც არც ისე შორს უნდა იყვეს“.

საგულისხმოა, რომ გიორგი მაჩაბელი ამერიკაში წასვლას ვერ კიდევ 1919 წლის შემოდგომაზე ცდილობდა, სადაც მას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლობისტ, კონგრესმენ მარიო ჩენდლერის მხარდამხარ უნდა ემუშავა. იმხანად ეს ვერ მოხერხდა: მაჩაბელი მსოფლიო ომის დროს ცნობილი იყო თავისი მკვეთრად გამოხატული პროგერმანული პოზიციით, რის გამოც აშშ-ის ადმინისტრაციამ მას ქვეყანაში შესვლის ნება არ დართო.

to America in search of fortune. The goal of this tireless fighter for the freedom of Georgia in the United States was to prepare Georgian national forces ready to meet – “the moment, which should come in at least once and that seems to be not so far away”.

It should be noted that Giorgi Matchabelli tried to move to America in the autumn of 1919, where he was to work alongside the lobbyist of the Democratic Republic of Georgia, Congressman Mario Chandler. At that time, it was not possible: During World War II Matchabelli was known for his pronounced pro-German position, which is why the US Administration did not allow him to enter the country.



ნორინა ჯილი და გიორგი მაჩაბელი
Norina Gilli and Giorgi Matchabelli

ამერიკაში
ანტიკვარი და პარფიუმერი

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ იტალიაში უსახსროდ დარჩენილი გიორგი მაჩაბლის ოჯახის ფეხზე დასაყენებლად ნორინა სცენას დაუბრუნდა. ამერიკელმა რეჟისორმა მორის გესტმა იგი ნიუ-იორკში მიიწვია, სადაც ხელახლა განხორციელდა „სასწაულის“ დადგმა. წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ სპექტაკლი ათასჯერ წარმოადგინეს.

ნორინა პოპულარობის პიკზე იყო, მაგრამ გიორგის არც უფიქრია ცოლის შემოსავლით დაკმაყოფილება. 1923 წლის ბოლოს ამერიკაში გადასახლდა გიორგი მაჩაბელიც. ცოლ-ქმარმა ბინა თავდაპირველად ნიუ-იორკში, Park Ave 471-ში დაიდო, მოგვიანებით კი 320 East 57th Street-ზე აპარტამენტში გადაინაცვლა.

„გაჭირვებული და მშვიერი უცხოეთში ვერც ღირსებას შეინახავს და ვერც ქვეყნისთვის იმუშავეს პოლიტიკურად, - უთქვამს გ. მაჩაბელს მიხაკო წერეთლისათვის, - ამიტომ მთელ ჩემ ენერგიას დავხარჯავ, რომ ამერიკაში სიმდიდრე შევიძინო და ეს ბოლოს გამოგვადგება დამოუკიდებელი საქმიანობისათვის“. ამერიკაშიც ახალ-ახალ გეგმებს აწყობდა საქართველოს გასათავისუფლებლად და მომავალი სახელმწიფო მოწყობის ტიპის შესარჩევად. ძველ მეგობრებთან გიორგი მაჩაბლის მიმონერაში დიდ ადგილს იჭერს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული

In America
Antiquarian and Perfumer

To support Giorgi Matchabelli's family living in Italy, having no income after the occupation of Georgia, Norina returned to the stage. American director Maurice Gests invited her to New York, where a remake of "The Miracle" was staged. The success was so great that it was performed a thousand times.

Norina was at the peak of popularity, but Giorgi never thought to depend on the income of his wife. By the end of 1923 Giorgi Matchabelli also moved to America. Couple's first apartment in New York City was in 471, Park Ave. Later he moved to the apartment at 320 East 57th Street.

"A poor and hungry one abroad can maintain neither the dignity nor fulfil political activities for one's country, - said Giorgi Matchabelli to Mikhako Tsereteli, - thus I will spend all my energy in the United States to earn fortune which eventually will be useful for our independence activities". In America, he made new plans for liberation of Georgia and selection of a future type of State arrangement. In Giorgi's correspondence with his old friends a great place is given to the analysis of mistakes in the policy of the Social-Democratic Government of Georgia, National Democrats and his own, reasons of

მთავრობის პოლიტიკის, ეროვნულ დემოკრატია თუ სა-
კუთარი შეცდომების, ქვეყნის ოკუპაციის მიზეზების ან-
ალიზი, მომავალი ბრძოლის ტაქტიკასა და სტრატეგიაზე
საუბარი.

1924 წელს გიორგი მაჩაბელმა ნიუ-იორკში, მედისონ
ავენიუს 545-ში, კომპანია „Douglas L. Elliman & Co“-სა-



ნორინა ჯილი
Norina Gilli

the occupation and tactics and strategy of future fights
for liberation.

In 1924, Giorgi Matchabelli leased space from the
company, “Douglas L. Elliman & Co” at 545, Madison Av-
enue, New York and opened an antique shop, which he
named “Red and Black” (Rouge en Noir) after the novel
by his favorite writer, Stendhal. In addition to the an-
tiques in the shop there were exhibited pieces of art, cig-
arettes, luxury items, perfumes. Giorgi contacted other
stores for the wholesale trade, as well as one of the Paris
fashion houses, which opened credit for supplying him
with linen. In letters sent by him to Giorgi Kereselidze in
July 1924, he described his shop, and asked his friend,
to send from Berlin samples of fashionable and high de-
mand subjects. I am opening a dukhan (or a shop), where
I will have everything for sale (here such type shops are
still very common). I will have everything for home (pic-
tures, furniture, carpets), just beautiful different small
items (cigarette and other boxes and cases, pendants
with stones, different decorative items: -silver, gold, or
anything else. Women dressing equipages, perfumes and
other. In addition, I will have models from Paris (one of
the Paris Houses opened my credit) and linen. I offer you
to become my Berlin correspondent. Besides in my shop,
I will have the overall wholesale division, and I have
made contacts with other different stores.

The following things are required: 1) all kinds of new
fashion women portmanteaus (hand held); - leather or

გან იჯარით აიღო ფართი და გახსნა ანტიკვარული მაღაზია, რომელსაც საყვარელი მწერლის, სტენდალის რომანის მიხედვით „ნითელი და შავი“ (Rouge en Noir) უწოდა.

ანტიკვარიატის გარდა მაღაზიაში გამოფენილი იყო ხელოვნების ნიმუშები, სიგარეტები, ფუფუნების საგნები, პარფიუმერია. გიორგი დაუკავშირდა სხვა მაღაზიებს საბითუმო ვაჭრობისათვის, ასევე პარიზის ერთ-ერთ სამოდელო სახლს, რომელმაც გაუხსნა კრედიტი თეთრეულის მისაწოდებლად. 1924 წლის ივლისში გიორგი კერესელიძისადმი გაგზავნილ წერილებში იგი აღწერს თავის მაღაზიას და სთხოვს მეგობარს, ბერლინიდან მოდური და მოთხოვნადი საგნების ნიმუშების გაგზავნას. „ვხსნი დუქანს (ანუ მაღაზიას), სადაც მექნება ყველაფერი გასაყიდათ (აქ მაინც ამისთანა ტიპი მაღაზიებისა ძალიან გახშირებულა). მექნება როგორც მთელი ბინის მოწყობილობა (სურათები, ავეჯი, ხალიჩები), ისე ლამაზი სხვა და სხვა პატარა ნივთები (პაპიროზის და სხვა ყუთები ფუტლიარი, ხელზედ ჩამოსაკიდი ქვები, სხვა და სხვა დამამშვენებელი ნივთები: – ვერცხლისა, ოქროსი თუ სხვა რამის. ქალების ნესესერები, დუხები და სხვა. გარდა ამისა აგრეთვე პარიზის მოდელები (უკვე ერთმა პარიზის სახლმა გამიხსნა კრედიტი) და თეთრეული. მოდი შენ ჩემი ბერლინის კორესპონდენტი გახდი“. ჩემი მაღაზიის გარდა მექნება საერთო ბითუმად გაყიდვის განყოფილება და უკვე მაქვს სხვა და სხვა მაღაზიებთან კავშირი.

შემდეგი საგნებია საჭირო: 1) ყოველინაირი ახალი მოდის ქალების პორტმანები (ხელში დასაჭერი); – ტყავის თუ

Prince G. Matchabelli's
"Rouge et Noir"
EXHIBITION
OF
Persian Rugs, Italian, Spanish
Brocades and Antique Jewels.
AT
AMBASSADOR HOTEL
Friday, January 30th, and Saturday,
January 31st

მაღაზია „ნითელი და შავი“ 1925
Shop "Red and Black", 1925

silk. 2) chains for neck pendants from different stones; - original. Now very popular here 3) Different enamel boxes; - Cigarette-cases, matches, Bonn-Bonnet and more. 4) Different table deco items. 5) Christmas gifts: small, original, fancy articles (безделушки) “.

In his letter dated to September Giorgi informed his friend: I describe the Dukhan (shop) to you. I took a small room in a very good street (Madison Ave, 545) the best ever place, around which there are wonderful shops. I put the name of the shop Rouge et Noir (red and black) in large letters and a small inscription below it: Antiquities, objects d'art, cigarettes, perfumes, therefore old and new items (artistic works), cigarettes and perfumes. The primary focus will be on, of course, the first two objects. Cigarettes make an attractive material.

აბრეშუმის. 2) ყელზედ ჩამოსაკიდი სხვა და სხვა ქვების ძენკვები; – ორიგინალური. ეხლა აქ ძალიან გახშირებულია. 3) სხვა და სხვა ემალის კოლოფები; – პორტსიგარები, წუმწუმის, ბონბონეტის და სხვა. 4) სხვა და სხვა მაგიდაზე დამამშვენებელი ნივთები. 5) საშობაო საჩუქრები: წერილმანი, ორიგინალური, სახუმრო ნივთები (безделушки)“.

სექტემბერით დათარიღებულ წერილში გიორგი მეგობარს აცნობებდა: „ავინერ თვით დუქანს (მაღაზიას). ავიღე პატარა ოთახი ძალიან კარგ ქუჩაზედ (Madison Ave, 545) საუკეთესო ალაგას, სადაც ირგვლივ მშვენიერი მაღაზიებია. დუქანს დავარქვი დიდი ასოებით Rouge et Noir (წითელი და შავი) და ძირს პატარა ასოებით: Antiquités, objets d'art, cigarettes, parfumes (ანტიკვარი, ხელოვნების საგნები, სიგარეტები, პარფიუმერია) მაშასადამე ძველი ნივთები, ახალი ნივთები (მხატვრული ნამუშევარი), პაპიროსები და პარფიუმი. უმთავრესი ყურადღება ექნება მიქცეული, რასაკვირველია, ორ პირველ საგანს. პაპიროსები არის მიმზიდველი მასალა. მთელი ოთახი იქნება გამართული როგორც ლამაზი პატარა სალონი, კოსტა მაგიდებით და „კომფორტაბილი“ სკამებით და საჯდომებით, სადაც ყველა სტუმარს შეეთავაზება პაპიროსი მოსანევად (უფულოდ). ყველა ჩემ ნაცნობებს და არა ნაცნობებს გაეგზავნებათ ამ გვარი დაპატიჟების ბარათები, რომ მათ სეირნობის Shopping-ის (ე.ი. როდესაც დადიან საყიდლად) დროს შეეძლებათ დაისვენონ ჩემს დუქანში და მოსწიონ პაპიროსი. ეს აქ საშინლად უყვართ, ე.ი. მონევა და ამ გვარი ალაგი კი ჯერ მთელ ნიუ-იორკში არ არის. მერე ამორჩეული ალაგ-

The whole room will be held as a nice little salon, with elegant tables and “comfortable” chairs and seats, where all the guests will be welcome with a cigarette (free of charge). All my acquaintances and non-acquaintances will be sent inviting cards, that while shopping (i.e., when they go to buy) they can take a rest at my Dukhan and smoke a cigarette. They like this terribly, i.e. smoking, and there is no place like this in whole New York. Also the place I found is in the heart of the shops, where rich Americans, especially women go from one store to another. So if God helps me, the business would go not too badly. I need gifts: cigarette-cases, boxes (for cigarette, or any other things, powder, sweets and more). Original tobacco boxes, various entertainment items, as well as small pouches for beautiful women to carry, both of leather and silk. Also leather accessories, but all of these of a new shape and type”.

Giorgi's marketing move was interesting - short rest brake in a comfortable salon with free cigarettes for women while shopping. Despite this novelty, Matchabelli store did not became popular among buyers which made Giorgi upset. Norina noticed this and asked her friends, New York elite representatives to drop in the store as if accidentally, examine and buy something there. This would cheer Giorgi up and make his life easier.

A writer, Mercedes de Acosta with her friends - Greta Garbo and Cecil Beaton visited Giorgi. The women were

იც სწორედ შუა გულშია იმ მაღაზიების, სადაც მდიდარი ამერიკელები, მეტადრე მანდილოსნები დადიან ერთი მაღაზიიდან მეორეში. ასე რომ თუ ღმერთი დამეხმარა, საქმე არ უნდა წავიდეს ცუდად. მჭირდება საჩუქრები: პორტსიგარები, ყუთები (პაპიროსისთვის, ან სხვა რაიმე ნივთებისათვის, როგორც პუდრის, ტკბილეულობის და სხვა. ეს ორიგინალური სათუთუნეები, სხვადასხვანაირი გასართობი ნივთები, აგრეთვე ლამაზი ქალების ხელში დასაჭერი პატარა პარკები, როგორც ტყავისა, ისე აბრე-შუმისა. აგრეთვე ტყავის ნივთები, მაგრამ ყველა ეს ახალი ტიპის და ახალი ფორმის“.

საინტერესო იყო გ. მაჩაბლის მარკეტინგული სვლა - სავაჭროდ გამოსულ ქალბატონებისათვის მისი მაღაზიის პატარა კომფორტულ სალონში დასვენება და სიგარეტის უფასო შეთავაზება. მიუხედავად ამ სიახლისა, მაჩაბელის მაღაზიას მუშტარი არ წყალობდა და გიორგიმაც მოიწყინა. ნორინამ ეს შეამჩნია და თავის მეგობრებს, ნიუ-იორკის ელიტის წარმომადგენლებს სთხოვა დროდადრო შეეველოთ მაღაზიაში, ვითომდა შემთხვევით, დაეთვალიერებინათ და შეეძინათ კიდევ რაიმე ნივთი. გიორგი გახალისდებოდა და უფრო ადვილად შეეგუებოდა ახალ ცხოვრებას.

მწერალი მერსედეს დ'აკოსტა თავის მეგობრებთან - გრეტა გარბოსთან და სესილ ბიტონთან ერთად ესტუმრა გიორგის.

მაღაზიაზე მეტად ქალები გიორგის მომხიბვლელობამ მიიზიდა და მეგობრებმა საკუთარი სურვილითი დაიწყეს მასთან ვიზიტი. გიორგისთან მათი მეგობრობა დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაღრმავდა.



გრეტა გარბო
Gretta Garbo



სესილ ბიტონი
Cecil Beaton



მერსედეს დ'აკოსტა
Mercedes de Acosta

გიორგიმ მალე მოიხვეჭა სახელი, როგორც საქმოსან-მა, თუმცა არ ივინყებდა თავის ძველ გატაცებას - სუნამოების შეზავებას. მან პირველივე შეხვედრაზე შენიშნა, რომ მათ გულზე გულსაბნევივით ჰქონდათ დამაგრებული ცოცხალი ყვავილების პატარა თაიგულები, საიდანაც ძლიერი სუნი მოდიოდა, მიხვდა რომ, ამ ქალებს სუნამო სჭირდებათ ისევე, როგორც პომადა და პუდრი. „სუნამოს შემზაპუნება, საკუთარი კვალის დატოვება – აი, რა აკლიათ და რა უნდათ ამ ქალებს“. გიორგი პარიზში ცხოვრების

attracted more by Giorgi's charm than his shop and the friends started visiting him by their own desire. Their friendship with Giorgi deepened over time.

Giorgi soon made a name as a businessman, but did not forget his long fascination - the art of perfumery. At their very first meeting he noticed that they had attached small bouquets of living flowers on the chest, from which was coming a strong smell and he realized that, women needed perfumes as lipstick and powder. "Spraying of a perfume, leaving their own footprints - that's what these women lack and want". While living in Paris, Giorgi worked at a lab of a special perfume shop of a famous French perfumer Francois Coty at Fountain Avenue. Coty made more than 130 varieties of perfume products, some of them listed among the most popular and aromatic fragrances of the twentieth century. Francois Coty had shops in London, Moscow, Mexico, Argentina and Brazil already from the 1910s, but his perfumes had not entered the United States by then.

Like art, perfumes of that time were marked with extravagance, novelty seeking, a variety of stylistic directions. Paris was the center, where evolved and developed avant-garde ideas. Namely in Paris, after gaining experience in Francois Coty laboratory and after in New York, Giorgi started and continued in the kitchen of his antiques shop blending fragrance oils to create a formula his own perfume.

პერიოდში ფონტენის ავენიუზე პარფიუმერიის სპეციალიზებულ მაღაზიაში, ცნობილი ფრანგი პარფიუმერის ფრანსუა კოტის ლაბორატორიაში მუშაობდა. კოტიმ 130-ზე მეტი დასახელების პარფიუმერული ნაწარმი შექმნა, რომელთაგან რამდენიმე XX საუკუნის ყველაზე პოპულარულ და არომატულ სუნამოთა ჩამონათვალშია შესული. ფრანსუა კოტის უკვე 1910-იანი წლებიდან თავისი მაღაზიები ჰქონდა ლონდონში, მოსკოვში, მექსიკაში, არგენტინა და ბრაზილიაში, მაგრამ მის პარფიუმერიას ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერაც არ შეეღწია.

ხელოვნების მსგავსად, იმ პერიოდის პარფიუმერიაც ექსტრავაგანტურობით, სიახლის ძიებით, მრავალფეროვანი სტილური მიმართულებით გამოირჩეოდა. პარიზი იყო ცენტრი, სადაც ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ავანგარდისტული იდეები. სწორედ პარიზში, ფრანსუა კოტის ლაბორატორიაში მიღებული გამოცდილების შემდეგ, ნიუ-იორკშიც, თავისი ანტიკვარული მაღაზიის სამზარეულოში გიორგიმ განაგრძო ზეთების შერევა საკუთარი სუნამოს ფორმულის შესაქმნელად.

ერთ დღეს, როდესაც ქალები ჩვეულებრივ ეწვივნენ მაღაზიას, გიორგი მათ მოულოდნელი სიურპრიზით, ახალი სუნამოთი დახვდა. ქალებმა მიიღეს და შეიყვარეს ეს უჩვეულო სუნამო. გიორგიმ მალე აღმოაჩინა, რომ მის მუშტრებს სუნამოები უფრო აინტერესებდათ, ვიდრე ანტიკვარიატი.


ქალებისაგან სუნამოს აღიარებამ ქართველი თავადი და ანტიკვარი პარფიუმერად აქცია. გიორგის აღმოაჩნდა იშვიათი პარფიუმერული ნიჭი, მის მგრძნობიარე „ცხვირს“

One day, when the women visited the store as usual, Giorgi met them with an unexpected surprise, a new fragrance. Women accepted and fell in love with this unusual fragrance. Giorgi soon found that his clients were more interested in perfumes than in antiques.

The recognition of the perfume turned a Georgian prince and antiquarian into a perfumer. Giorgi showed



ფრანსუა კოტი
François Coty



Prince Matchabelli at Research in His Laboratory.

His perfumes were awarded the Grand Prix with gold medal at the exhibitions in Paris and Liege of 1928 for their quality and originality.

The Lawton Company
Cincinnati's French Shop


extends a cordial invitation to hear

PRINCE MATCHABELLI
noted Russian nobleman and creator of exquisite perfumes

LECTURE ON PERFUMES
HOTEL SINTON
Mezzanine

FRIDAY, NOVEMBER 30th
AT TWO O'CLOCK

Prince Matchabelli's perfumes are blended from the choicest of French extracts under the Prince's own supervision . . . "Ave Maria" . . . "Queen of Georgia" . . . "Princess Norina" . . . three fascinating fragrances imprisoned in lovely bottles, shaped like an imperial coronet . . . sold exclusively at Lawton's.



შეძლო შეეგრძნო ის, რაც გავლენას იქონიებდა ადამიანის გემოვნებაზე. მისმა უნიკალურმა ოლფაქტურმა ანუ ყნოსვითმა მახსოვრობამ გაუსწრო მოდის ტენდენციას. გიორგის მთავარი მიზანი გახდა - სურნელით გამოეხატა ემოცია.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ფრანგულ და ევროპულ ინდუსტრიაში თავისი ადგილის დამკვიდრება დაიწყო პარფიუმერია. როდესაც ომის მერე ამერიკის შეერთებული შტატების არმიებმა ევროპა დატოვეს და სამშობლოში ბრუნდებოდნენ, ჯარისკაცებმა საჩუქრებად და სუვენირებად თან წაიღეს სხვადასხვა ფუფუნების ნივთები, რაც ჯერ კიდევ უცხო იყო ამერიკისათვის. ეს იყო, პირველ რიგში, საფრანგეთში ასე ტრადიციული სუნამოები და პარფიუმერიის საგნები. ამის შედეგად ფრანგული ლუქსი შეიჭრა ამერიკელთა ყოფაში, განსაკუთრებით ძვირფასი ფრანგული პარფიუმერია, რომელსაც ყოველთვის გამორჩეული ადგილი ეჭირა ფრანგულ კულტურაში. ასე აღმოჩნდა ფრანგული სიმბოლოები ამერ-

a rare gift of a perfumer, his sensitive "nose" could intensify the sense that would affect a person's taste. His unique olfactory or a smell memory was ahead of the fashion trends. Expressing emotions by flavors became Giorgi's main goal.

After the First World War, perfumery started to take its place in French and European industry. When after the war the United States Army left for its homeland, soldiers brought as gifts and souvenirs a variety of luxury items, which were then unknown in America. These were, first of all traditional to France perfumes and cosmetics. As a result, French luxury penetrated into American life, especially French expensive perfumes which always took a distinctive place in French culture. Thus, French symbols broke into the American market, they were completely new and very promising fields of the local commerce.

In the 1920s, the United States did not yet have its own production of perfumery. What was sold were poor imitations of French fragrances, but still very expensive. That is why it came into vogue to wear a little flower bouquet on the chest, which maintained sprinkled fragrance flavors throughout the day. Later Giorgi highlighted the perfumery and abandoned a business of antiques. Antique shop "Rouge et Noir" was altered into a perfume shop, though he maintained the salon where he received clients and by help of Cecil Beaton, renovated its design.

იკულ ბაზარზე, რაც ადგილობრივი კომერციისათვის სრულიად ახალი და ძალზე პერსპექტიული დარგი გამოდგა.

1920-იან წლებში ამერიკას ჯერ კიდევ არ გააჩნდა თავისი საკუთარი საპარფიუმერიო წარმოება. რაც იყიდებოდა, ფრანგული სუნამოების ცუდი ასლები იყო, თუმცა მაინც ძალიან ძვირი. ამიტომაც შემოვიდა მოდაში მკერდზე ყვავილების პატარა თაიგულების დამაგრება, რომლებიც მთელი დღე ინარჩუნებდნენ დაპკურებული სუნამოების არომატს. ამის შემდეგ გიორგიმ წინა პლანზე წამონია პარფიუმერია და ანტიკვარზე მთლიანად აიღო ხელი. ანტიკვარული მაღაზია „Rouge et Noir“ სუნამოს მაღაზიად გადააკეთა, სალონი, სადაც კლიენტებს იღებდა, დატოვა და სესილი ბეატონის დახმარებით, მისი დიზაინი განაახლა. მაღაზიის მეორე ნაწილში ლაბორატორია მოაწყო, აქ ზეთებს აზავებდა და ახალ სურნელს იღებდა. პარალელურად პროფესიულ ცოდნასაც იმაღლებდა. ორი წლის განმავლობაში გ. მაჩაბელი ნიუ-იორკში ესწრებოდა კოლუმბიის უნივერსიტეტის ფარმაცევტული კოლეჯის პროფესორ ვიმერის საღამოს კურსებს პარფიუმერიასა და კოსმეტიკაში.

1926 წელს გიორგი მაჩაბელმა გახსნა საკუთარი კომპანია „პრინცი მაჩაბელი“ („Prince Matchabelli Perfume Company“), რომელიც 4 წელი ფართოდებოდა და პრესტიჟული ხდებოდა. 1927 წელს მან შექმნა თავისი პირველი პარფიუმერული პროდუქტი - მეუღლისადმი მიძღვნილი სუნამო - „პრინცესა ნორინა“ (Princess Norina), რომელმაც სათავე დაუდო ორ ათეულზე მეტ სუნამოს, ოდეკოლონსა და ახალ სურნელს.

In the second part of the shop he organized a lab where he blended oils and received new fragrances. Simultaneously he increased his professional awareness. During two years Giorgi Matchabelli attended evening classes in perfumery and cosmetics of Professor Wimmer at the College of Pharmacy of Columbia University in New York.

Giorgi opened his own company - Prince Matchabelli Perfume Company in 1926, which expanded and garnered prestige during four years. In 1927 he created his first perfume product – a perfume dedicated to his wife - “Princess Norina”, which triggered more than two dozen perfumes, au de colognes and new fragrances. The company was slowly expanding. From 1927 Matchabelli Perfumes appeared at a more prestigious Bergdorf-Goodman’s, 754, Fifth Avenue, soon after a new lab was arranged at East 60th Street, and then at the addresses – 686, Lexington Avenue and 56, East 60th were launched perfume shop-saloons.

In 1928 Giorgi Matchabelli offered to the public a novelty-bath oil, which he called “Abano”. The following year it was joined by the perfume of the same name. It was Matchabelli’s first masterpiece, which transformed the process of bathing into a beautiful and wonderful moment of indulgence. It was an oriental perfume warmed up with an exotic scent. This was a new concept. Two years after Giorgi Matchabelli’s death, in 1937, the Paris-based magazine “Vogue” published a special article dedicated to the new trend in American Beauty - Bath Oil.

კომპანია ნელ-ნელა ფართოვდებოდა. 1927 წლიდან მაჩაბლის სუნამოები ჯერ უფრო პრესტიჟულ მეხუთე ავენიუს Bergdorf-Goodman-ის 754-ში გამოჩნდა, მალევე East 60th ქუჩაზე ახალი ლაბორატორია განთავსდა, მერე კი მისამართებზე - Lexington Avenue 686-სა და East 60th-ის 56-ში პარფიუმერიის ფართო მალაზია-სალონები ამოქმედდა.

გიორგი მაჩაბელმა 1928 წელს საზოგადოებას შესთავაზა სიახლე - სააბაზანო ზეთი, რომელსაც „აბანო“ უწოდა.

მომდევნო წელს მას შეუერთდა სუნამო იგივე სახელით. ეს იყო მაჩაბლის პირველი შედეგრი, რომელიც აბაზანის პროცესს გარდაქმნიდა მშვენიერი ლუქისა და ნებივრობის მომენტად. სუნამო აღმოსავლურია და ეგზოტიკური სუნელებითაა გამთბარი. ეს იყო ახალი კონცეფცია. გიორგი მაჩაბლის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ, 1937 წელს პარიზულმა ჟურნალმა „Vogue“ გამოაქვეყნა სპეციალურ სტატია, მიძღვნილი ამერიკულ პარფიუმერიაში ახალი ტენდენციის - სააბაზანო ზეთისადმი. ამ სიახლის შეტანას პარფიუმერიაში და აბაზანისათვის სურნელოვანი ზეთის პოპულარობას მოგვიანებით მოჰყვა სუნამოს, დეზოდორისა და პუდრი „აბანოს“ დამზადება.

ამერიკულ გაზეთებში იბეჭდებოდა მაჩაბლის რეკლამები: „პრინცი მაჩაბლის“ ზეთი, მცირე რაოდენობით ჩასხმული სასიამოვნოდ თბილ წყალში მოგცემთ არაჩვეულებრივი სიამოვნების მიღების საშუალებას. ორგანიზმის მიერ თანდათანობით შეწოვის შემდეგ, თქვენ რამდენიმე საათით ჩაიძირებით ამ აღმოსავლურ არომატში. გამოძებნეთ დრო - ისიამოვნოთ ამ ფუფუნებით. ის აგიმალღებთ



სუნამო „პრინცესა ნორინა“
Perfume “Princess Norina”



სააბაზანო ზეთი „აბანო“
Bath oil “Abano”

Matchabelli advertisements were published in American newspapers: “Prince Matchabelli” oil, added in small quantities to pleasantly warm water will give you a chance to feel extraordinary pleasure. After it is gradually absorbed by the body you will sink in this oriental flavor for a few hours. Find some time - enjoy this luxury. It will raise your mood, relieve fatigue, and will pamper and cuddle you. When you go out in the evening for a long time, thanks to it you will be surrounded by a magical aura (\$ 1.50). “Prince Matchabelli” perfume



სუნამო, პუდრი და დეზოდორი „აბანო“
Perfume, powder and deodorant “Abano”




განწყობას, მოგიხსნით დაღლილობას, გაგანებიერებთ და მოგესიყვარულებათ. როცა საღამოს ხანგრძლივი დროით სადმე ნაბრძანდებით, მისი წყალობით გარშემორტყმული იქნებით ჯადოსნური აურით (\$1.50)“; „ოქროს შემოდგომა“ „პრინცი მაჩაბლის“ სუნამო - ეს არის თანამედროვე, ექსტრა თბილი იმბირის სურნელის მქონე ძალზე გამორჩეული და აღმაფრთოვანებელი სუნამო. თუ გსურთ იყოთ მისი სახელის მსგავსად საუკეთესო,



სააბაზანო ზეთის „აბანოს“ რეკლამები
Advertisements for Bath oil “Abano”

“Golden Autumn” - is a modern, very distinctive and exciting extra warm ginger-scented perfume. If you want to be the best, like its name is, apply it proudly and happily. It will be a prerequisite for everything unusual. Put



იხმარეთ ამაყად და სიამოვნებით. ის იქნება საწინდარი ყოველივე არაჩვეულებრივისა. დაიწვეთეთ რამდენიმე ნვეთი მაჯებზე, იდაყვებზე, ყელთან, ყურების უკან. ეს არის სუნამოს ხმარების ყველაზე სწორი წესი, რათა სუნი კარგად იგრძნობოდეს (\$4.00)“; „ქარის სიმღერა“ „პრინცი მაჩაბლის“ ოდეკოლონი - აბაზანის შემდეგ უნდა შეისხურთ კისერზე, მკლავებზე, შუბლზე. ეს მოგანიჭებთ სასიამოვნო სიგრილის შეგრძნებას მთელი დღის განმავლობაში. დაისხით ხშირად. მას აქვს ყვავილებისა და ტყის შესანიშნავი ნაზი სურნელი, რომელიც თქვენც და თქვენს გარშემო მყოფთ კარგ განწყობას შეგიქმნით (\$ 0.75)“.


ფასები, რომლებიც მითითებულია რეკლამებში, არ განირჩევა სხვა სარეკლამო განცხადებათა ფასებისაგან, მაგრამ ტექსტი დახვეწილობითა და პოეტურობით აშკარად გამოირჩევა სხვა რეკლამებისგან და ისინი მისი თეორიების დადასტურებაცაა. რეკლამებში (მათ შორის სატელევიზიო) გიორგი მაჩაბელი უთითებს თუ სად და როგორ უნდა დაისხა, ან მიიპყურო სუნამო, რომ სუნი კარგად მოდიოდეს. ადგილები და შესხურების ტექნიკა დღემდე მიღებული ნორმაა, ხოლო მისი დევიზი: „მუშაობა, ხარისხი და კარგი გემოვნება“, სიახლე იყო მისი თეორიები სურნელოვანი ნყლების შესახებ, რომ ერთი და იგივე სურნელის ხშირი გამოყენება იწვევს სურნელისა და პიროვნების გაიგივებას, „განუყოფელ იდენტურობა-იგივეობას თქვენსა და სურნელს შორის. ეს პრინციპი მოქმედებს, როგორც ჯადო“, - სხვა კომპანიებმაც აითვისეს. გიორგი თვითონვე ქმნიდა, ამზადებდა, აფორმებდა სუნამოებს და რეკლამასაც თვითონ უკეთებდა.



„პრინცი მაჩაბლის“ პროდუქციის რეკლამები Advertisements for “Prince Matchabelli” production

a few drops on your wrists, elbows, neck, behind the ears. This is the right thing to do when using a fragrance to feel its smell best (\$ 4.00)”, “Wind Song” “Prince Matchabelli” Cologne - sprinkle it on your neck, arms and forehead after taking the bath. This will give you a pleasant sensation of coolness throughout the day. Take it frequently. It has a wonderful delicate fragrance of flowers and a forest that will create a good mood for you and those around you (\$ 0.75)”.

Prices, which are referred to in the advertisement, were not distinguishable from other promotional statement prices, but a refined and poetic text was clearly distinguished from other advertisements and they made



მაჩაბლების საგვარეულო გერბი და გ. მაჩაბლის ფლაკონების დიზაინი
Machabeli family coat of arms and Giorgi Matchabelli perfume bottles design

ყველაზე მეტი წარმატება ფირმას მოუტანა მაჩაბლების საგვარეულო გერბზე გამოსახული სამეფო ოქროსვარაყიანი გვირგვინის გამოყენებამ გაფორმებაში.

სახელგანთქმულმა სუნამომ „საქართველოს დედოფალმა“ ჯვრიანი ოქროს გვირგვინის ფორმის ფლაკონით ამერიკული საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია. სუნამო მან არშემდგარ საქართველოს დედოფალს, მარინე მაჩაბელს მიუძღვნა.

a splendid evidence of his theories. In advertisements (including TV) Giorgi Matchabelli indicates where and how to apply or spray a perfume to make the smell open better. Spots and spray technology is still an accepted norm, but its motto: “work, quality and good taste”, was a breakthrough in the theories about fragrant waters, that a frequent use of one and the same scent causes identification of the flavor and an individual, “makes an integral identity-sameness between you and the scent. And that the principle works as the magic”, - was also adopted by other companies. Giorgi created, prepared, decorated and advertised fragrances himself.

The greatest success to the company was brought by application as a design of a royal crown decorated in gold depicted on the Matchabelli family coat of arms. Renowned fragrance “The Queen of Georgia” in a golden crown-shaped bottle with a cross caused excitement in the American Society. The perfume he dedicated to the failed queen, Marine Machabeli. Initially the bottles were made from German porcelain, after in the Glass Products Company of a working in America another Georgian entrepreneur, George Kobi (Grigol Kobakhidze) were made transparent glass bottles, which, as the encyclopedia notes, “are considered the finest examples of handcrafted glass vials”. They were produced by a semi-automatic method, but gold plating, gilding and strip production was still manual as in old times. Soon it was followed by other per-



სუნამო „საქართველოს დედოფალი“ - ფაიფურის და მინის ფლაკონები
Perfume “Queen of Georgia” - china and glass bottles

თავდაპირველად ფლაკონები გერმანული ფაიფური-საგან იქმნებოდა, შემდეგ ამერიკაში მოღვაწე ასევე ქართველი მენარმის, ჯორჯ კობის (გრიგოლ კობახიძე) მინის კომპანიაში (Coby Glass Products Company) დაამზადეს გამჭვირვალე მინის ფლაკონი, რომელიც, როგორც ენციკლოპედიური ცნობარი აღნიშნავდა: „ითვლება მინის ფლაკონის ერთ-ერთ უმშვენიერეს ხელნაკეთ ნიმუშად“.

იგი მზადდებოდა ნახევრად ავტომატური მეთოდით, მაგრამ ოქროთი მოვარაყება, ოქროსფერი ზარნიშისა და ზონრის დამზადება ძველებურად ხელით ხდებოდა.


მაღე მას მოჰყვა სხვა სუნამოები და ოდეკოლონები, დაპრესილი პუდრი და პომადა. მათ ასევე ამშვენებდა „პრინცი მაჩაბლის“ გვირგვინი - მისი საფირმო ნიშანი.

fumes, Colognes, compact powder and lipsticks. They also were decorated with a “Prince Matchabelli” crown - his trademark.

According to a Georgian expert of arts and perfumer, Irina Asatiani `Broadway bohemian air gives to this away from home prince a chance. to express his concern and at the same time respect his revered country, and make its name known world wide – Sakartvelo. That is why Giorgi Matchabelli fragrance names “Queen of Georgia”, “Abano” express deep affection for his homeland. Discovered forms, the crowns are sophisticatedly designed and make fine pieces of art”.

In a short time Matchabelli fragrances conquered all of America, reached Japan and gained a great interest there also. Surprisingly sophisticated and technically complex shape bottles had individual names and contained different fragrances. His findings in this area turned out to be the most avant-garde, because even today, XXI century, in perfume trends there dominates a single design, the same shape bottles used for different types of perfumes.

Production of “Prince Matchabelli” successfully overcome the crisis of the 1930s, and soon stood in the lines of the foremost products. Giorgi hoped that he could cover the whole Earth with his “crowns and other bottles of perfume”, because he could see that “the prestige of his perfumes was advancing higher and higher in great pace”.



გრიგოლ კობახიძე - ჯორჯ კობი და მისი კომპანიის ბლანკი
Grogol Kobakhidze -George Coby and title page of his company

ქართველი ხელოვნებათმცოდნე და პარფიუმერის, ირინა ასათიანის სიტყვით, „ბროდვეის ბოჰემური ჰაერი სამშობლოსაგან დაშორებულ თავადს ძალას აძლევს, გამოხატოს საკუთარი გულისტკივილი, ამავე დროს პატივი სცეს თავის სათაყვანებელ ქვეყანას და მსფლიოსთვის ცნობილი გახადოს მისი სახელი – საქართველო. ამიტომაც გიორგი მაჩაბელის სუნამოების სახელები „Queen of Georgia“, „Abano“ სამშობლოსადმი მის დიდ სიყვარულს გამოხატავს. მიღებული ფორმები, გვირგვინები კი ნატიფი გემოვნებით არის შესრულებული და ხელოვნების ნიმუშს განეკუთვნებიან“.



ჯორჯ კობის მინის ფლაკონი სხვა ფლაკონების ფონზე
George Coby bottle on the background of other perfume bottles

In the mid 20's Prince Giorgi Matchabelli developed his concept of an individualized, characterized by its own properties well known fragrance (Prince Matchabelli). Born in Georgia, but educated in Europe, Prince Matchabelli came to America after the Russian Revolution, in 1919. In 1930, he began to position himself, as one of the primary driving forces, initiative organizer and author of American perfume creators in the avant-garde of the industry. Although the impact was really French, all of his celebrated flavors, aromas, scents and perfumes were created here, in America”, - noted cosmetics directory.

მოკლე დროში მაჩაბლის სუნამოებმა მთელი ამერიკა დაიპყრეს, იაპონიაშიც ჩააღნიეს და იქაც დიდი მოწონება დაიმსახურეს. საოცრად დახვეწილი და ტექნიკურად ურთულესი ფორმის ყველა ფლაკონი თავის სახელს ატარებდა და განსხვავებულ სუნამოს შეიცავდა. მისი მიგნება სწორედ ამ სფეროში აღმოჩნდა ყველაზე ავანგარდული, რადგან დღესაც, XXI საუკუნეში, პარფიუმერიის მიმართულებაში დომინირებს ერთიანი დიზაინი, ერთი ფორმის ბოთლის გამოყენება სხვადასხვა ხასიათის სუნამოებისათვის.

„პრინცი მაჩაბლის“ წარმოებამ წარმატებით გადალახა 1930-იანი წლების კრიზისი და მალე მოწინავეთა რიგებში ჩადგა. გიორგი იმედოვნებდა, რომ თავის „გვირგვინებსა და სხვა ფლაკონებს მთელი დედამიწის ზურგზედ მოჰფენდა“, რადგან ხედავდა, რომ „მისი პარფიუმერიის პრესტიჟი ჩქარის ნაბჯით მიიწვედა მაღლა და მაღლა“.

„20-იან წლების შუახანებში პრინცმა ჯორჯ მაჩაბელმა განავითარა თავისი კონცეფცია ინდივიდუალიზებული, საკუთარი თვისებების მქონე ცნობილი სუნამოსათვის (Prince Matchabelli). დაბადებული საქართველოში, მაგრამ განათლებამიღებული ევროპაში, პრინცი მაჩაბელი გადმოვიდა ამერიკაში რუსეთის რევოლუციის შემდეგ, 1919 წელს. 1930 წელს მან იწყო წარმოჩენა, როგორც ერთ-ერთმა უპირველესმა მამოძრავებელმა ძალამ, ინიციატივიანმა მოთავემ და ავტორმა ამერიკული პარფიუმერიის შემქმნელთა მოწინავე ავანგარდში. მიუხედავად იმისა, რომ გავლენა ნამდვილად ფრანგული იყო, ყველა მისი სახელგანთქმული არომატი, სურნელება, ინანათი, სუნამო შექმნილი იყო



„პრინცი მაჩაბლის“ ფლაკონები
Bottles for “Prince Matchabelli”



გიორგი მაჩაბლის საფირმო ნიშანი - გვირგვინი პუდრზე, პომდასა და ტუშზე
Giorgi Matchabelli brand mark - a crown on powder, lipstick and mascara



აქ, ამერიკაში“, - აღნიშნავდა კოსმეტიკური ცნობარი.

კომპანიის პირველი მუშეები მისი მეგობრები იყვნენ - მასსავით ლტოლვილი არისტოკრატები, მათი ცოლები და ქალიშვილები, ამიტომ ფირმის თანამშრომლებმა შეადგინეს ყველაზე დიდგვაროვანი, თავაზიანი და ზრდილობიანი მომსახურე პერსონალი მთელ ამერიკაში. ისინი თვითონვე რთავდნენ, ფუთავდნენ და მიჰქონდათ კლიენტებთან. რაც მთავარია, თვითონ გი-



„პრინცი მაჩაბლის“ ნაწარმის რეკლამა
Advertisements for “Prince Matchabelli” production



The company’s first workers were his friends - displaced aristocrats like him, their wives and daughters, so the staff drew up the most noble, courteous and polite personnel throughout America. They decorated, packed and delivered the products to the clients themselves. Most importantly, Giorgi himself was the best advertisement of his products. His flawless appearance, refined manners, style of speech attracted customers, especially women, like a magnet. “Always trying to please people at



სხვადასხვა ზომისა და ფორმის ფლაკონები
Perfume bottles of different sizes and shapes


ორგი იყო თავისი ნაწარმის საუკეთესო რეკლამა. მისი უნაკლო გარეგნობა, დახვეწილი მანერები, საუბრის სტილი ანდამატივით იზიდავდა დამკვეთებს, განსაკუთრებით კი ქალებს. „ყველა თვალებში შესცივინებდა პრესკონფერენციებზე, თუ უბრალო შეკრებებზე და მიღებებზე“, - აღნიშნული იყო საცნობარო წიგნში „კოსმეტიკა“.

გიორგი მაჩაბლის ერთი ძველი მეგობარი კირილ გურჯი გახდა მისი კომპანიის მთავარი პარფიუმერ-ქიმიკოსი, ხოლო მისი კიდევ ერთი მეგობარი თავადი ალექსანდრე

the press conferences, simple meetings and receptions” - a reference from the directory of “Cosmetics”.

One of his lifelong friends, Cyril Gurge, became a chief perfume chemist for the company, while another friend, Prince Alexander Tarsaidze became an acting head and treasurer of the company around 1935. Paul Petrovitch Wrangell, Baron von Ludenho was an official representative of the company.

“Prince Matchabelli”, production was consumed by all social classes, races and ethnicities. In addition, due to business calculations, Giorgi Matchabelli’s priority was a high quality which would have clients despite the high price. He used to say: I want to become the most



„პრინცი მაჩაბელი“ კარიკატურა და საფირმო ნიშანი
“Prince Matchabelli”, caricature and brand mark



კირილ გურჯი
Cyril Gurji

ტარსაიძე, კომპანიის მოქმედი ხელმძღვანელი და ხაზინადარი იყო 1935 წლის განმავლობაში.

„პრინცი მაჩაბლის“ პროდუქციას ყველა სოციალური კლასის, რასისა და ეთნიკური წარმომავლობის ადამიანი მოიხმარდა. ამასთან, ბიზნესგათვლებიდან გამომდინარე, გიორგი მაჩაბელი ამჯობინებდა, მისი ნაწარმი ხარისხით გამორჩეულიყო, რომელსაც მაღალი ფასის გამო მყიდველი არ მოაკლდებოდა. აცხადებდა: „მე მინდა გავხდე ყველაზე ძვირი პარფიუმერი და ამიტომ მთელი ჩემი ენერჯია არის მიმართული, რომ რაც შეიძლება ლამაზი და საუკეთესო საქონელი მქონდეს. ...ცოტა დრო გვჭირია

expensive perfumer and so all my energy is directed to creation of the most beautiful and best products. ... We need a little bit of time to gain the prestige and after that we should not be afraid of prices”.

The company was intensively preparing for the holidays. For example, as a gift for Valentine’s Day they created a congratulatory Cologne of lilac and exotic fresh flowers, which was packed in paper with red hearts. For Christmas greetings he decorated perfumes with Christmas bells, red, white and golden ribbons, prepared presents with unique and fascinating flavored mixtures. According to his opinion “skin color and texture has nothing to do with the election of fragrance; The blonds, brunettes and auburns, above all, are human beings – individuality makes the world go round”. The perfumes helped women to demonstrate their individuality, tenderness, femininity, spiritual aura.

“Once upon a time there was a prince. He mixed a wonderful perfume for his beloved princess and they lived a happy life after and forever ... these words sound like a fairy tale, but it is not a fairy tale at all. This is a true story of Prince Matchabelli and a great perfumery soci-




ალექსანდრე ტარსაიძე
Aleksandre Tarsaidze

პრესტიჟი დავიმსახუროთ და მერე ფასებისა არ უნდა გვეშინოდეს“.

კომპანია განსაკუთრებულად ემზადებოდა დღესასწაულებისათვის. მაგალითად, ვალენტინობის დღის მისალოც საჩუქრად ქმნიდა იასამნით დახუნძლულ, ეგზოტიკურსა და ქორფა ყვავილების ოდეკოლონებს, რომლებიც შეფუთული იყო ნითელგულებიან ქაღალდში. შობის მისალოცად აფორმებდა საშობაო ზარებით, ნითელი, თეთრი და ოქროსფერი ლენტებით, ამზადებდა საჩუქრებს უნიკალური და მომხიბლავი არომატიზებული ნარევით. გიორგი მაჩაბლის აზრით „კანის ფაქტურასა და ფერს სუნამოს არჩევასთან არანაირი კავშირი არ აქვს; ქერები, შავგვრემნები და ჟღალთმიანები, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები არიან - დედამიწას ინდივიდუალურობა ატრიალებს“. მისი სუნამოები კი ქალბატონებს ეხმარებოდა გამოემჟღავნებინათ ინდივიდუალურობის, სინაზის, ქალურობის, სულერების აურა.

„იყო და არა იყო რა! იყო ერთი პრინცი. მან თავისი სატრფო პრინცესასათვის შესანიშნავი სუნამო შეაზავა და ამის შემდეგ ისინი ბედნიერად ცხოვრობდნენ... ეს სიტყვები ჟღერენ, როგორც ზღაპარი, მაგრამ ეს სრულიადაც არ გახლავთ ზღაპარი. ესაა ნამდვილი ამბავი პრინცი მაჩაბლის და დიდი პარფიუმერიული საზოგადოებისა, რომელიც მან დააარსა აქ, შეერთებულ შტატებში 1920-იან წლების დასაწყისში“, - ასე იწყებოდა სტატია ერთ-ერთ ამერიკულ ქალთა ჟურნალში. ამის შემდეგ ჟურნალი მკითხველს აცნობდა პრინცის წარმომავლობას. „პრინცი გიორგი მაჩაბელი იყო უფროსი ვაჟი ერთი კეთილი



„პრინცი მაჩაბლის“ ნაწარმის რეკლამები
Advertisements for “Prince Matchabelli” production

Matchabelli company had stores in European cities: Cannes, Nice, Basel, Lucerne and others. From the perfumes created by Giorgi Matchabelli especially noteworthy are:

Violetta de la Reine (1924), Ambre Royal (1927), Imperial Violet (1927), Princess Norina (1927), Queen of Georgia (1927), Queen of Nile (1928), Queen of Egypt (1928), Queen of Babylon (1928), Abano (1928), Ave



MATCHABELLI
PARIS



მაჩაბლის მაღაზია პარიზში 1930
Machabeli shop in Paris, 1930

და წარჩინებული ოჯახისა საქართველოში, კავკასიის მაღალ მთებში, რადგან ეს სათავადო სახლი იყო მდიდარი და ჰქონდა ფართო ადგილ-მამული, პრინცი გიორგი განათლების მისაღებად გაგზავნეს ბერლინის სამეფო აკადემიაში, რათა შეესწავლა სამთამადნო საქმე... სტუდენტობის დროს ერთ-ერთი მისი თავშესაქცევი ჰობი სუნამოების შეზავება იყო, ამ გასართობმა კი მას დიდი სიმდიდრე შესძინა“.

კომპანიის ფილიალი მან პარიზშიც გახსნა, რომელსაც სათავეში ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი სპირიდონ კედია ჩაუყენა და თავისი პროდუქცია პარიზსა და ლონდონშიც გაავრცელა (ლონდონის სა-



სუნამოების შეფუთვა
Perfume packaging

გენტოს ემიგრანტი თავადი სუმბათ-აშვილი ხელმძღვანელობდა). სანარმო პარიზთან ახლო სოფელ კლამარში მდებარეობდა, სარკეებით მორთული პატარა მაღაზია კი, რომლებშიც არეკლილი ოქროს-გვირგვინიანი ფლაკონები ულამაზეს სანახაობას ქმნიდა, პარიზში ყველაზე მდიდრული და სახელგანთქმული „შანელის“ საპარფიუმერო მაღაზიის წინ გახსნა.



გიორგი მაჩაბელი სუნამოებით
Giorgi Matchabelli with perfumes

როცა ჰკითხეს - ასე რატომ მოიქეცი, ნუთუ გჯერა, რომ შენი პროდუქცია კონკურენციას გაუძლებსო, გიორგიმ უპასუხა: „ხალხი იფიქრებს, რომ სწორედ ჩემი პროდუქციაა იმ ფირმის კონკურენტი და ინტერესის გამო მაინც შემოხსნის ჩემი პატარა, მაგრამ ბრჭყვიალა მაღაზიის კარსო“. ამ ფსიქოლოგიურმა მანევრმა მართლაც იმოქმედა და დიდი მოგება მოუტანა.

მაჩაბლის ფირმას თავისი მაღაზიები გააჩნდა ევროპულ ქალაქებში: კანი, ნიცა, ბაზელი, ლუცერნი და სხვ.



მაჩაბლის სუნამოები მაღაზიაში
Machabelli in the perfume shop

Maria (1928), Princess Maria (1928), Duchess of York (1934), Stradivari (1935), Wing song (1935), Muguet (1935), Lilac (1935), Honeysuckle (1935), Cazanation (1935), Beloved (1935), Opaline Noir (1935), Opaline Blanche (1935), Opaline Reuge (1935), Cidden Autumn (1935), Infanta (1935), Added Attraction (1935).



სუნამოები „პრინცესა ნორინა“ და „რუსული შროშანი“
Perfumes “Princess Norina” and “ Russian Lily”



სუნამოები „საცვარელი“, „ავე მარია“, „მიმზიდველობის მიმატება“
Perfumes “Lover”, “Ave Maria”, “Added Attraction”

გიორგი მაჩაბელის შექმნილი სუნამოებიდან განსაკუთრებით საინტერესოა: Violetta de la Reine (1924), Ambre Royal (1927), Imperial Violet (1927), Princess Norina (1927), Queen of Georgia (1927), Queen of Nile (1928), Queen of Egypt (1928), Queen of Babilon (1928), Abano (1928), Ave Maria

It should be noted that Giorgi Matchabelli company made nominative “perfumes for prominent” representatives of the American elite. Among them we can list: Gloria Swanson called “The Goddess of the Silent Screen”, Dolores Costello, a wife of a well-known American media magnate William Randolph Hearst, famous philanthropist Mrs. WR Hearst, philanthropist Polly Lauder Tunney - a wife of an American professional boxer, world champion Gene Tunney and others.

Giorgi Matchabelli dedicated special perfumes to members of various royal families, including: Duchess of York Elizabeth, whose husband, Albert, in 1936 became the monarch of UK by the name of George VI;



სუნამოები „ნილოსის დედოფალი“ და „ჩრდილოეთის დედოფალი“
Perfumes “Queen of the Nile” and “Queen of the North”



გლორია სვენსონი
Gloria Swenson



მილისენტ ჰერსტი
Millicent Herst



დოლორეს კოსტელო
Dolores Costello



ჯინ ტუნეი და პოლი ლაუდერი
Gene Tunney and Paul Lauder

Queen Marie of Romania, as well as to Anna Eleanor Roosevelt, a wife of US President Franklin D. Roosevelt.

During a 1929-1933 economic crisis, the so-called “Great Depression” a lot of companies went bankrupt, not one of the bankrupt millionaires committed suicide. Grigol Kobakhidze also went

bankrupt, but was still able to help struggling Georgians. In such a situation Matchabelli production successfully overcome the crisis and found its place among the lines of the most advanced, “only Matchabelli company develops trade nonstop in the years of this scary depression, - wrote Spiridon Kedia. 10 years Giorgi Matchabelli created a million-dollar business from a simple hobby and become an innovator -He filled a void that existed in American perfumery industry.

In June 1935, at 711, Fifth Avenue, New York, on the 11th floor of the former building of national broadcasting opened a new demonstration hall, “Prince Matcha-

(1928). Princess Maria (1928), Duchess of York (1934), Stravidari (1935), Wing song (1935), Muguet (1935), Lilac (1935), Honeysuchky (1935), Caznation (1935), Beloved (1935), Opaline Noir (1935), Opaline Blanche (1935), Opaline Reuge (1935), Cidden Autumn (1935), Injanta (1935), Added Attraction (1935).



ჰერცოგინია ელისაბედი
Duchess Elizabeth

აღსანიშნავია, რომ გიორგი მაჩაბლის პარფიუმერული კომპანია ამზადებდა „სახელობით“ სუნამოებს ამერიკული ელიტის თვალსაჩინო წარმომადგენლებისათვის. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: კინოვარსკვლავი გლორია სვენსონი, „მუნჯი კინოს ღვთაებად“ წოდებული დოლორეს კოსტელო, ამერიკელი მედიამაგნატის უილიამ ჰერსტის მეუღლე, ცნობილი ქველმოქმედი მილისენტ ჰერსტი, ამერიკელი პროფესიონალი მოკრივის, მსოფლიო ჩემპიონ ჯინ ტუნეის მეუღლე, ფილანტროპი პოლი ლაუდერი და სხვ.

გიორგი მაჩაბელმა სპეციალური სუნამოები მიუძღვნა სხვადასხვა ქვეყნის სამეფო ოჯახებსაც, კერძოდ: იორკის ჰერცოგინია ელისაბედს, რომლის მეუღლე ალბერტი 1936 წელს დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს მონარქი გახდა ჯორჯ VI-ის სახელწოდებით; რუმინეთის დედოფალ მარიას, ასევე აშშ პრეზიდენტის ფრანკლინ დელანო რუზველტის მეუღლეს ელეონორა რუზველტს.

belli“. It covered nearly 1,700 square meters of space for the office, factory and exhibition. Modernist interior of the hall with Victorian and Russian decorative elements was designed by Cecile Beaton. Unfortunately, Giorgi Matchabelli was already dead at the time.

Cosmetics produced by Giorgi Matchabelli company, which was mainly of bath and makeup type is worthwhile mentioning. His lipsticks, mascara, eye shadows, etc



რუმინეთის დედოფალი მარია
Maria, Queen of Romania

were very successful. Special attention was paid to the product packaging and advertisements, which also attracted wide circles of buyers.




ელეონორა რუზველტი
Eleonora Roosevelt



„პრინცი მაჩაბლის“ პროდუქცია
“Prince Matchabelli” production

1929-1933 წლების დიდი ეკონომიკური კრიზისის, ე.წ. „დიდი დეპრესიის“ დროს ბევრი გაკოტრდა, გაკოტრებულ მილიონერთაგან არა ერთმა დაასრულა სიცოცხლე თვით-მკვლელობით. გაკოტრდა გრიგოლ კობახიძეც, თუმცა იმდენი შეძლება მაინც დარჩა, რომ გაჭირვებულ ქართველებს დახმარებოდა. ასეთ ვითარებაში მაჩაბლის წარმოებამ წარმატებით გადალახა კრიზისი და მალე მოწინავეთა რიგებში ჩადგა, „მარტო მაჩაბლის ფირმა ამ საშინელი დეპრესიის წლებში თავის ალებ-მიცემობას შეუჩერებლივ რომ აწვითარებს“, - წერდა სპირიდონ კედიანი. 10 წელიწადში გიორგი მაჩაბელმა შექმნა მილიონი დოლარის ბიზნესი უბრალო ჰობისგან და გახდა ნოვატორიც - მან შეავსო ის

After Giorgi Matchabelli's death in 1936 Norina sold, Prince Matchabelli “for \$ 250,000. The new owner - Saun Ganz, the company “ D. Lizner & Co” - resold “Prince Matchabelli” to a well-known chemical company, “Vicks Chemical” in 1941. In coming years, Giorgi Matchabelli company changed several owners. In 1958, it was bought by “Chesebrough-Pond’s”, in 1987 by “Unile-



„პრინცი მაჩაბლის“ პროდუქციის რეკლამები
Advertisements for “Prince Matchabelli” production

სიცარიელე, რაც იმ დროს არსებობდა ამერიკულ საპარფიუმერიო წარმოებაში.

1935 წლის ივნისში, ნიუ-იორკში, მეხუთე ავენიუს 711-ში, ყოფილი ეროვნული მაუწყებლობის შენობის მე-11 სართულზე, გაიხსნა „Prience Matchabelli“-ის ახალი სადემონსტრაციო დარბაზი. იგი ოფისის, საწარმოსა და გამოფენებისათვის თითქმის 1700 კვადრატულ მეტრ ფართობს შეიცავდა. დარბაზის ინტერიერი მოდერნისტული, ვიქტორიანული და რუსული დეკორატიული ელემენტებით კვლავ სესილი ბეატონმა გააფორმა. სამწუხაროდ, გიორგი მაჩაბელი ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო.

ცალკე უნდა აღინიშნოს გ. მაჩაბლის კომპანიის მიერ წარმოებული კოსმეტიკა, რომელიც უმთავრესად სააბაზანო და მაკიაჟის ტიპისა იყო. წარმატებით სარგებლობდა მისი პომადა, წამწამების ტუში, თვალის ჩრდილები, ლოსიონი და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პროდუქციის შეფუთვის, გაფორმებასა და რეკლამას, რომელიც ასევე ფართოდ იზიდავდა მყიდველს.

გიორგი მაჩაბლის გარდაცვალების შემდეგ, 1936 წელს ნორინამ „Prience Matchabelli“ გაყიდა 250000 ამერიკულ დოლარად. ახალმა მფლობელმა - კომპანია „D. Lizner & Co“-ს მეპატრონე საუნ განზმა 1941 წელს „Prience Matchabelli“ გადაყიდა ცნობილ ქიმიურ ფირმაზე „Vicks Chiminal Company“. მომდევნო წლების განმავლობაში გიორგი მაჩაბლის კომპანიამ კიდევ რამდენჯერმე გამოიცვალა მფლობელი, 1958 წელს იგი „Chesebrough-Pond’s“-მა შეიძინა, 1987 წელს - „Unilever“-მა, ხოლო 1993 წლიდან კი ამერიკული პარფიუმერიის ჯგუფის „Parfums de Coeur“-ის საკუთრებაშია.




ნიუ-იორკი, „პრინცი მაჩაბლის“ სადემონსტრაციო დარბაზი და სალონი New-York, showroom and saloon of “Prince Matchabelli”



გიორგი მაჩაბელი, 1929
Giorgi Matchabelli, 1929

ver” and from 1993 it became a property of an American cosmetics group “Perfumes De Coeur “.



„პრინცი მაჩაბლის“ პროდუქციის შეფუთვა და გაფორმება
Packaging and design of “Prince Matchabelli” production

გიორგი მაჩაბლის საზოგადოებრივი საქმიანობა ამერიკაში

ბიზნესს გიორგი მაჩაბელი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის არ ჩამოუშორებია. იყო ამერიკაში პატარა ქართული დიასპორის აქტიური წევრი. ეხმარებოდა და ხელს უშარბოდა ამერიკაში ჩასულ ქართველებს. დაინტერესებული იყო, თანამემამულე ახალგაზრდობაში სამშობლოს ერთგულების გაღრმავებითა და გაძლიერებით. წერდა: „უნდა აღვზარდოთ მომავალი მებრძოლნი საქართველოს თავისუფლებისა, მისი დამოუკიდებლობისა“.

1930-იანი წლების დასაწყისში ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ქართველთა რიცხვი იმდენად თვალსაჩინო გახდა, რომ სათვისტომოს დაარსების იდეა გაჩნდა. იდეა პავლე და თამარ კვარაცხელიებისაგან მოდიოდა. თამარ კვარაცხელია-ჯორჯიკიას ოჯახი ამერიკაში ხარბინიდან იყო გადასახლებული, ასევე ხარბინიდან იყვნენ ასლან ყრუაშვილი, კოსტა ხუნწარია და სხვები. მათ კარგად იცოდნენ, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სათვისტომოს ახალ მინაზე ლტოლვილების დასამკვიდრებლად. 1908 წელს ხარბინში დაარსებული სათვისტომო ივლიანე ხაინდრავას ხელმძღვანელობით მეორე მსოფლიო ომამდე ყველაზე ძლიერი და მდიდარი იყო ქართული სათვისტომოთა შორის. შეძლებული ხარბინელები სამშობლოში ოჯახებს და ნათესავებსაც ეხმარებოდნენ და ქართულ კულტურულ დაწესებულებებ-

Public activities of Giorgi Matchabelli in America

Business did not interfere with public activities of Giorgi Matchabelli. He was an active member of a small Georgian Diaspora. He helped and supported Georgian emigrants in America. He was interested in deepening and strengthening of devotion of the young people to their homeland. He wrote: “we should bring up future fighters for liberation of Georgia, its independence”.

At the beginning of the 1930s the number of Georgians living on the East Coast of the USA became so evident that there was born an idea of establishment of a Georgian community. The idea came from Pavle and Tamar Kvaratskhelia. The family of Tamar Kvaratskhelia-Jorjikia was exiled to America from Harbin, as well as Aslan Kruashvili, Costa Khuntsaria and others. They knew perfectly well the importance of a community for settlement of refugees in a new land. Georgian community founded in Harbin in 1908 under the leadership of Ivliane Khaindrava was the biggest and wealthiest among other Georgian communities before World War II. Wealthy Georgian emigrants from Harbin supported their families and relatives in their home country and also helped Georgian cultural institutions. After the Bolshevik occupation of Georgia, the community supported

საც. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ სათვისტომო მხარში ედგა ემიგრირებული მთავრობის ლეგაციას, ქართველ ლტოლვილებსა და სათვისტომოებს ევროპაში. ურთიერთდამხმარე სალარო, რომელიც წევრთა ყოველწლიური შესატანით (12 მანეთი) და შეწირულობებით არსებობდა, ახლანდელს მოწყობასა და სამსახურის შოვნაში ეხმარებოდა, ინახავდა მოხუც და დავრდომილ ქართველებს. სათვისტომოს ჰქონდა ბიბლიოთეკა, ქართული სკოლა, დგამდნენ სპექტაკლებს, „ცოცხალ სურათებს“. ხარბინელი ქართველები ერთად აღნიშნავდნენ შობა-ახალ წელს, ნინობას, აღდგომას, თამარობას, ეროვნულ დღესასწაულებს, ღირსშესანიშნავ თარიღებს, გლოვის დღეებს.

ინციციატივას მხარი აუბეს გიორგი მაჩაბელმა, ვასო დუმბაძემ, ვანო კობახიძემ და 1931 წლის 28 ნოემბერს გამგეობის პირველი კრება ნიუ-იორკში, რესტორან „სარჯველაძის სარდაფში“ ჩაატარეს. წესდების შემდგენი კომისიის წევრმა ვანო კობახიძემ დახატა ქართული გერბი, რომელიც დიდხანს ამშვენებდა ქართული საზოგადოების ბლანკებსა და საბუთებს. 1 დეკემბერს კი ქართული სათვისტომო დაარსდა. სამი თვის შემდეგ, 1932 წლის 31 იანვარს, ნიუ-იორკის მახლობლად, იანკერსში, კვარაცხელიების სახლში სათვისტომო საზეიმოდ აკურთხეს.

მიიწვიეს 54 სტუმარი. ქართული დროშებით იყო მორთული არა მარტო კვარაცხელიების ქუჩა, არამედ მთელი გზანიუ-იორკიდან იანკერსამდე. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ვასო დუმბაძე – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ამერიკაში, მოსე



თამარ და პავლე კვარაცხელიები
Tamar and Pavle Kvaratskhelia

the legation of the emigrated government, Georgian refugees and the communities in Europe. A cash register of mutual aid which operated on annual membership fees (12 rubles) and donations helped the new comers in finding accommodation and jobs, took care of elderly and disabled Georgians. Community had a library and a Georgian school, they gave performances and “live picture” shows. Harbin Georgians celebrated Christmas and New Year, St. Nino’s Day, Easter, Tamar’s Day, national holidays, significant dates, and days of mourning together.



ქართული სათვისტომოს წევრები
Members of the Georgian community

შანიძე (აკადემიკოს აკაკი შანიძის უფროსი ძმა), რომლის ლოტბარობით გუნდმა „დიდება“ და რამდენიმე ქართული სიმღერა შეასრულა და სხვ. როგორც პავლე კვარაცხელია შენიშნავდა, მისი მეზობელი ამერიკელები მოიხიბლნენ ქართული ლხინით. ბევრმა ამერიკელმა კი სწორედ დროშების წყალობით გაიგო საქართველოს არსებობა.

მეორე დღეს დაინტერესებულ პირთათვის ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნდა ცნობა სათვისტომოს დაარსების ზეიმთან დაკავშირებით და ინფორმაცია საქართველოს შესახებ.

1932 წლის აპრილში სათვისტომომ მიიღო ოფიციალური ქარტია და Georgian Assotiation in the USA, რის შემდეგაც ლეგალურად განაგრძო არსებობა.

24 აპრილს გაიმართა სათვისტომოს პირველი კრება, რომელზეც აირჩიეს გამგეობა და მისი წევრები. თავმჯდომარედ პავლე კვარაცხელია დაასახელეს. მომდევნო ორი წლის განმავლობაში ამ პოსტზე ორჯერ აირჩიეს

The initiative was supported by Giorgi Matchabelli, Vaso Dumbadze and Vano Kobakhidze and on November 28, 1931 the first meeting of the Board was held in New York, at the restaurant, “Sarjveladze Cellar“. A member of the Statute commission Vano Kobakhidze designed a Georgian coat of arms, which decorated Georgian community letterheads and documents for a long time. Georgian community was founded on the 1st of December. Three months later, on January 31, 1932, in Iankers near New York, the community was solemnly consecrated at the Kvaratskhelia home. There were invited 54 guests. Georgian flags were flying not only in the street where the Kvaratskhelia lived, but all the way from New York to Iankers. Welcome speeches were made by Vaso Dumbadze - the first representative of the Democratic Republic of Georgia in the United States, Mose Shanidze (academician Akaki Shanidze’s elder brother), who conducted a choir which sang the Georgian anthem “Dideba” (Glo-

ry), several Georgian songs and so forth. As Pavle Kvaratskhelia pointed out, their American neighbors were fascinated by the Georgian Feast. Many of the Americans heard about Georgia only thanks to the flags. The next day, the Iankers newspaper published a notice for those interested about the celebration



ქართული სათვისტომოს გერბი
The Coat of arms of Georgian community

გიორგი მაჩაბელი. თავმჯდომარეობიდან გადადგომის შემდეგ იგი ხაზინადრად დარჩა და პუნქტუალურად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

პარფიუმერული კომპანიის საქმეებით დატვირთული გიორგი მაჩაბელი ქმედითად ველარ მონაწილეობდა ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში, მაგრამ დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა არა მარტო სათვისტომოს, არამედ ყველა გაჭირვებულ ქართველს.

მართალია, გიორგი მაჩაბელი ისეთ აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ამერიკაში აღარ ეწეოდა, როგორც ევროპაში, მაგრამ მის მიმონერაში კარგად ჩანს რამდენს ფიქრობდა დამოუკიდებლობის დაკარგვის მიზეზებზე და როგორ ეძებდა გზებს დამონებული სამშობლოს გამოსახსნელად. საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხისათვის ამერიკის ადმინისტრაციის მხარდაჭერის მოსაპოვებლად აუცილებელი იყო რუსეთის მიერ გავრცელებული ცრუ აზრის დარღვევა, რომ საქართველოს რუსეთთან ნებაყოფილობით შეერთებული ქვეყანა იყო. ამერიკა მარტო რუსეთის მიერ დაპყრობილი პოლონეთის, ფინეთისა და სომხეთის დამოუკიდებლობას ცნობდა. საქართველოს ოკუპაციის საკითხით ამერიკის ადმინისტრაციის დაინტერესებაში დიდი როლი შეასრულა მორგანების ბანკის ფინანსისტმა ვასილ დუმბაძემ. ამერიკაში იგი 1924 წელს ჩავიდა. 1925 წელს, ნიუ-იორკში გამოცემულმა მისმა წიგნმა „კავკასიის რესპუბლიკები: პატარა დემოკრატიები, რომლებიც დაივიწყა მსოფლიომ“, ქართული ემიგრანტული წრეების ყურადღება მიიპყრო.


of the community establishment and information about Georgia.

In April 1932, the community received an official charter of Georgian Association in the USA, after which it continued to exist legally. April 24, was held the first meeting of the community, where there was elected the Board and its members. Paul Kvaratskhelia was voted as a Chairman.

During the next two years Giorgi Matchabelli was elected twice on this post. After his retirement from the chairmanship he continued as the secretary-treasurer fulfilling his duties punctually. Giorgi Matchabelli loaded with the deeds of his Perfume Company was no longer effectively involved in the cultural and educational activities of the Georgian community in New York, but he gave great financial assistance not only to the community, but to all Georgians in need.



გ. მაჩაბელი და ნორინა
Giorgi Matchabelli and Norina



ვ. დუმბაძის წიგნი
The book by V. Dumbadze

„ამერიკული საზოგადოება კავკასიისათვის“ და „საქართველოს უფლებების დაცვის კომიტეტი“, რომელთა მიზანიც იყო ამერიკის საზოგადოებისათვის კავკასიის რესპუბლიკების გაცნობა. ამ ორგანიზაციათა მცდელობით, სენატორმა ს. კოპლენდმა და დეპუტატმა რ. ვალტონ-მურმა სენატსა და წარმომადგენელთა პალატაში ორჯერ შეიტანეს რეზოლუცია, კონგრესმა კი საქართველოზე 361-გვერდიანი წიგნი გამოსცა, რომლის სახელწოდებაა: „საქართველოს ეროვნული რესპუბლიკა“ (მთავრობის საგამომცემლო ოფისი, ვაშინგტონი, 1926).

გიორგი მაჩაბელს განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა ძველი მეგობრის ვასო დუმბაძის პოლიტიკური აქტივობის მიმართ. თვლიდა, რომ საქართველოს საკითხ-


1926 წლის დასაწყისში, საფრანგეთში მყოფმა საქართველოს მთავრობამ ვ. დუმბაძე რწმუნებებით აღჭურვა და თავის წარმომადგენელად დანიშნა აშშ-ში. 1926 და 1929 წლებში ვ. დუმბაძის თაოსნობითა, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეებისა და დიპლომატების ჰენრი და ლეონ ვილსონების თავმჯდომარეობით დაარსდა ორგანიზაციები

Although in America Giorgi Matchabelli was no longer engaged political activities as much as in Europe, his correspondence clearly shows how much he thought about the reasons for the loss of independence and looked for the ways to rescue his enslaved homeland. In order to achieve the support of American Administration on the issue of the independence of Georgia it was necessary to eliminate false propaganda spread by Russia that Georgia was United to Russia voluntarily. (National Republic of Georgia, Government Printing Office, Washington, 1926) America recognized only the independence of occupied by Russia Poland, Finland and Armenia. In getting the USA Administration interested in the issues of occupation of Georgia great role was played by a financier of Morgan Bank Vasil Dumbadze. He arrived in America in 1924. In 1925, in New York, was published his book - “The Caucasian Republics: the little democracies the world forgot, F. Hubner & Co., New York, 1925) which attracted the interest of Georgian emigrant circles. At the beginning of 1926, the government of Georgia in France, authorised V. Dumbadze and appointed him as a representative of Georgia in the United States. In 1926 and 1929 by the leadership of V. Dumbadze, there were founded organizations “American Society of Caucasus” and “Committee of Protection of the Rights of Georgia”, chairmen of which were well-known political figures and diplomats Henry and Leon Wilsons, the aim was to introduce Caucasian republics to American public. By the ef-

ისათვის საბრძოლველად ჯობდა ჯერ მილიონები დაეგროვებინა. მიუხედავად ამისა, ამ საქმიანობაში გიორგი მას მხარში ედგა და ძალიან მაღალ შეფასებას აძლევდა ვასოს თავდადებას.

ვასო დუმბაძის კიდევ ერთ ინიციატივას აუბა მხარი გიორგი მაჩაბელმა დახმარებოდნენ ემიგრანტ ახალგაზრდებს უმაღლესი განათლების მიღებაში. მილიონერების, გრიგოლ კობახიძისა და ალექსი მდივნის მსგავსად, გიორგი მაჩაბელს სტიპენდიანტები ჰყავდა როგორც ევროპაში, ასევე ამერიკაში. 1930-იან წლებში, დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდა ევროპაში თელიკო კოკე-ნიკოლაძისა და ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ „სტუდენტთა დამხმარე კომიტეტს“. ამერიკულ უნივერსიტეტებში სტიპენდიითა და საცხოვრებლით უზრუნველყო ევროპიდან ჩამოსული რამდენიმე ქართველი ახალგაზრდა.


1929-1933 წლების დიდი ეკონომიკური კრიზისის, ე.წ. „დიდი დეპრესიის“ და ჩრდილოეთ ჩინეთის - მანჯურიის იაპონური ოკუპაციის დროს, ევროპაში და მანჯურიაში მცხოვრები ქართველ ემიგრანტებს ძალიან გაუჭირდათ. ამერიკაში დეპრესიის შედეგები ისეთი მძიმე არ იყო, როგორც ომგადახდილ ევროპაში, ამიტომ ბევრმა მიაშურა ამერიკას. სათვისტომოს თავმჯდომარე ვასო დუმბაძე მათ ამერიკის ადმინისტრაციასთან იურიდიულ პრობლემებს უგვარებდა, გიორგი მაჩაბელი და მინის მრეწველი გრიგოლ კობახიძე (ჯორჯ კობი) კი ფინანსურსა და სოციალურს.



ვასო დუმბაძე ამერიკაში (უკან მარჯვნივ)
Vasil Dumbadze in America (at the background, to the right)

forts of these organizations Senator R. Copland and MP. Walton passed twice a resolution to the Senate and the House of Representatives, and the Congress published a 361-page book about Georgia, which is titled: National Republic of Georgia” (National Republic of Georgia, Government Printing Office, Washington, 1926).

Giorgi Matchabelli had a different view about the political activism of his old friend Vaso Dumbadze. He believed that it would have been better first to accumulate millions for fighting about Georgian issue. Nevertheless, Giorgi was supportive to him in this activity and highly appreciated Vaso’s dedication.



გიორგი მაჩაბელი და ნორინა
ბავშვთა სახლში
Giorgi Matchabelli and Norina at
an orphanage



გიორგი მაჩაბელი, ჯორჯო სკაპინის ბიუსტი
Giorgi Matchabelli, sculpture by Giorgio Scapini

გიორგი სხვა მრავალ
სოციალურ და საქველმო-
ქმედო პროექტში მონაწი-
ლეობდა. ქართველების
გარდა ეხმარებოდა ჩვილ
ბავშვთა სახლებს და თავ-
შესაფრებს.

1933 წლის აგვისტო-
ში გიორგი მაჩაბელს სა-
ფრანგეთში დაარსებული
საქართველოს თავადაზ-
ნაურთა კავშირის (L'Union
de la noblesse géorgien en
France) კომიტეტის თავ-
მჯდომარეობა მიენდო.
კომიტეტის ერთ-ერთი
მთავარი მიზანი, ქველმო-
ქმედების პარალელურად,
ქართულ ემიგრანტულ
ორგანიზაციებისადმი მა-
ტერიალური დახმარების
განწევა იყო.

Giorgi Matchabelli supported Vaso Dumbadze's an-
other initiative –helping the emigrant young people
to obtain higher education. Like the millionaires, Grigol
Kobakhidze and Alexi Mdivani Giorgi Matchabelli had
fellows in Europe as well as America. In 1930, he gave
great financial assistance to Teliko Koke-Nikoladze in
Europe and the “Student Support Committee”. Under
the guidance of Ekvtime Takaishvili. He provided schol-
arships and accommodation to several young Georgians
who arrived from Europe to study at American univer-
sities.

During 1929-1933 great economic crisis, the so-called
“Great Depression” and Japanese occupation of the
North China - Manchuria, Georgian emigrants living
in Europe and Manchuria faced hard times. The results
of this severe depression in America were not as hard as
in Europe, so, many of them moved to the United States.
Chairman of the community Vaso Dumbadze solved legal
problems for them with the US Administration, Giorgi
Matchabelli and Grigol Kobakhidze (George Cobi) a glass
producer, gave them financial and social aid.

In August 1933, Giorgi Matchabelli was trusted a post
of the chairman of established in France Georgian Nobili-
ty Union (L'Union de la noblesse géorgien en France). One
of the main objectives of the committee, along with chari-
ty, was material aid for Georgian emigrant organizations.

ბარდაცვალება

1935 წლის ივნისისათვის ნიუ-იორკის მე-5 ავენიუზე გიორგი მაჩაბელს დაგეგმილი ჰქონდა ელეგანტური სადემონსტრაციო დარბაზის გახსნა. მიწვეული ჰყავდა საუკეთესო დეკორატორი, ბრიტანელი მხატვარი სესილ ბიტონი და ფოტოგრაფი პაველ ჩელიშჩევი, მაგრამ ვეღარ მოასწრო.

1935 წლის მარტში, ფილიალების გახსნის მიზნით, მან შანხაისა და კალიფორნიაში იმოგზაურა. დაბრუნდა ძლიერ გადაღლილი, სიცხიანი. გზაში გაცივდა და, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ უკვე წარმატებით მკურნალობდნენ პნევმონიას, ფილტვების ანთებით ერთ კვირაში გარდაიცვალა. ავადმყოფს სასთუმალთან ესხდნენ მეუღლე ნორინა და ძველი მეგობარი, რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის ნიკოლოზ მეორის ბიძაშვილი, დიდი მთავრინა მარია პავლეს ასული რომანოვა.

ძნელი დასაჯერებელი იყო ამ სიცოცხლით სავსე ადამიანის ასეთი მოულოდნელი გარდაცვალება. „კარგი ქართველი, თავდადებული მებრძოლი თავისი ქვეყნისათვის გრიპის - ანთების მსხვერპლი გახდა...“, - იუნყებოდა ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“, თუმცა ემიგრანტების ნაწილი მის სიკვდილს საბჭოთა სპეცსამსახურებს უკავშირებდა.

3 აპრილს უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი ეკლესიასთან. მათ შორის იყვნენ აშშ-ის ფოსტის მინისტრი ფარ-

Death

By June 1935, in New York's 5th Avenue Giorgi Matchabelli was planning to open an elegant demonstration hall. For the event he invited the best designer, a British artist Cecil Bettin and photographer Pavel Chelishchev, but he did not make it. In March 1935, with the purpose of opening branches he traveled to California and Shanghai. He returned back immensely tired, with high temperature. On the way home he caught a cold and, despite the fact that they successfully treated pneumonia at that time, he died of it in a week's time. At the patient's bedside, were sitting his wife Norina and his old friend, a cousin of the last Russian Emperor Nicholas II, Grand Duchess Maria Pavlovna Romanova.

It was hard to believe that this man, full of life would die such a sudden death. "good Georgian, devoted fighter for his country fell victim to the flu - ..." - reported the magazine "Independent Georgia", though one part of the immigrants connected his death to Soviet secret services.

April 3, lots of people came to the church. Among them were, Minister of the USA Post Farley, Senator Copland and others. In the Church under the Georgian flag lay Giorgi Matchabelli clad in Chokha akhalukhi.

Around the coffin were standing guards of honor, Georgians in national Chokhas. The service was con-

ლე, სენატორი კოპლენდი და სხვები. ეკლესიაში ქართული დროშის ქვეშ ესვენა ჩოხა-ახალუხში გამონწყობილი გიორგი მაჩაბელი.

კუბოს გარშემო საპატიო ყარაულში იდგნენ ჩოხოსანი ქართველები. ნირავდა ადგილობრივი მიტროპოლიტი. მოულოდნელად გაისმა ქართული ლოცვა, რომელსაც მაგალობელთა გუნდმა ზემოდან უპასუხა გალობით „უფალო შეგვიწყალებ“. ეს იყო დეკანოზი იასონ კაპანაძე, რომელიც საგანგებოდ ჩასულიყო კლივლენდიდან. „მთელი საყდარი თითქოს შეინძრა. მლოცველებმა ერთმანეთს გადახედეს. ქართველთა უმეტესობა, ვინც მანამდე გარეთ იდგა და ზოგი მათგანი უნინ საყდარსაც არ ეკარებოდა, ახლა ქართული წირვის გაგონებაზე ცრემლებს ველარ იკავებდა... ძლიერი იყო ქართველის დაკარგვა, მაგრამ უფრო ძლიერი იყო ერის ძალა და სასოება, რომელიც ამ მოულოდნელ ქართულ ლოცვაში გამოიხატა. იყვნენ ისეთი ქართველები, ვინც ქართული წირვა თავის სიცოცხლეში ეს იყო პირველჯერ მოისმინეს. ამ წუთებში ქართველებმა იგრძნეს სულიერი ამალღება, თავის ერის სიდიადე და მამა კაპანაძის უაღრესი პატივისცემა და მადლიერება... - წერდა პ. კვარაცხელია, - დიდი დანაკლისია სამშობლოსათვის ასეთი ადამიანის დაკარგვა... ჩვენს პატარა ერს მუდამ განსაცდელში მყოფს - ყოველი სალი ქართველი სათვალავში ჰყავს და სიკვდილის დროს მას ანგარიში მოეთხოვება. სიკვდილი ჩვენთვის არის ერთგვარი გამოცდა სამშობლოს წინაშე. ვინ რა გააკეთა, ვის როგორი სურვილი ჰქონდა. დიდს მეტი მოეთხოვება, უბრალოს თუნდაც კეთილი გული, კეთილი სურვილი თავისი სამშობლოსადმი. ვაი, იმ



სესილ ბიტონი
Cecil Beaton



პაველ ჩელიშჩევი
Pavel Chelishchev

ducted by the local Metropolitan. Suddenly, I heard Georgian prayer echoed from the top of the choir singing “Lord have mercy”. It was the Dean Iason Kapanadze, who specially arrived from Cleveland. It seemed that the whole church gave a shake. Prayers exchanged glances. Most of Georgians, who had been standing outside and some of them had never visited the church before, now hearing the Georgian liturgy could no longer hold back the tears... it was hard to see the loss of a Georgian, but harder was the nation’s strength and hope, expressed in this unexpected form of a prayer in Georgian. There were Georgians, for whom this was the first Georgian liturgy



ნორინა ჯილი
Norina Gilli



მარია რომანოვა
Maria Romanova

ქართველს, ვინც თავის სიცოცხლეში ქართველი არ იყო. მის სამარესთან ქართველს ენა გაეკმიდება. გიორგის საფლავზე კი ბევრი გრძნობიერი სიტყვა წარმოითქვა“.

წირვა 3 ენაზე - ქართულად, რუსულად და ინგლისურად ჩატარდა. უამრავმა ადამიანმა მიაცილა გიორგი მაჩაბელი ნიუ-იორკში ლონგ-აილენდის მაუნთ ოლივეტის სასაფლაოზე.

სპირიდონ კედია აღწერდა ახალგარდაცვლილი მეგობრის საფლავს და იმ სიყვარულს, რითაც გარემოცული იყო გიორგი სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც: „ყველას უყვარს. მოგონება ცოცხალია და მწვავეა მათ გულში... რამ შექმნა ეს საერთო გატაცება და სიყვარული? ყოველ

in their lifetime. At this moment the Georgians felt spiritual awareness, the nation's greatness and utmost respect and gratitude to Father Iason Kapanadze - wrote P. Kvaratskhelia, -the death of such a man is a great loss for the country ... our small nation has always been facing ordeals – every sound Georgian counts for our country and at the time of death it is required to report it. Death is a kind of test for USA before the country. Who did what, what were the desires we had. The great have more responsibilities, from common people we need only a kind heart and goodwill to its motherland. Woe, to that Georgian, who in his lifetime was not a Georgian. At the



მიცვალებული გიორგი მაჩაბელი
Deceased Giorgi Matchabelli



მცვალებული გიორგი მანაბელი
Deceased Giorgi Matchabelli



მაუნთ ოლივეტის სასაფლაო
Mount Olivet cemetery

ექვს გარეშეა - გიორგის უაღრესად ქართულმა იერმა. მასში გამოთქმული იყო მრავალი ტრადიციული თვისება ჩვენი ერისა. იგი იყო თბილი და ნაზი; გულადი და მტკიცე, ჩვილი და უშიშარი; სამშობლოს მოყვარული თავდადებამდე; მომხიბლავი, თავაზიანი და კეთილშობილი“.

grave of such a Georgian no word will be pronounced. As for Giorgi’s grave many emotional words will flow”.

The Mass was conducted in three languages - Georgian, Russian and English. Huge amount of people saw Giorgi Matchabelli to Long Island Mount Olivet cemetery in New York. Spiridon Kedia described the grave of his just died friend and the love, which Giorgi was surrounded in his life and death. “Everyone loves him. Memories of him are alive and painful in their hearts. What has created this common passion and love to him? No doubt it was Giorgi’s highly Georgian looks. He possessed many of traditional features of our nation. He was warm and gentle; courageous and strong, fearless and childish; devoted patriot of his homeland; charming, polite and generous”.

Giorgi Matchabelli had no children. He was concerned about it and wrote “from four brothers only two are alive, both of us childless”. After the death of Giorgi Matchabelli Norina Matchabelli opened a splendid demonstration salon where there was exhibited portrait of Giorgi in royal regals and continued her husband’s business. Norina died in 1957 in the USA, is buried in India, in Meherabad, Ahmadnagar, next to the temple built in the name of an Indian mystic and spiritual leader Meher Baba. Inscription on Norina Gilli grave reads: Princess Norina, Was, Is and Will Ever Remain Baba’s”.




გიორგი. მანაბლის საფლავი
Grave of Giorgi Matchabelli

გიორგი მაჩაბელს შვილები არ ჰყოლია. ნუხდა: „ოთხი ძმიდან ორნილა დავრჩით და ისიც უშვილონიო“. გიორგის გარდაცვალების შემდეგ ნორინა მაჩაბელმა გახსნა ბრწყინვალე სადემონსტრაციო სალონი, სადაც გამოფენილი იყო გიორგის პორტრეტი სამეფო რეგალიებით და გააგრძელა ქმრის საქმე. ნორინა გარდაიცვალა 1957 წელს აშშ-ში, დაკრძალულია ინდოეთში, ინდოელი მისტიკოსისა და სულიერი მოძღვრის მეჰერ ბაბას სახელზე აგებული ტაძრის გვერდით მეჰერაბადში, ახმადნაგარის მახლობლად. ნორინა ჯილის საფლავზე ასეთი წარწერაა: „Princess Norina, Was, Is and Will Ever Remain Baba’s“ („პრინცესა ნორინა – იყო და მუდამ იქნება ბაბასი“).

1957 წელს გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნ“ პრინცესა ნორინა მაჩაბლის ნეკროლოგში წერდა: „1920-იან წლებში დაფუძნებული მაჩაბლის პარფიუმერია მოიზარება, როგორც ერთ-ერთი ხუთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო კორპორაციიდან“.


რევაზ გაბაშვილი მოგვითხრობს მაჩაბლის ცხოვრების ეპიზოდებს და ასკვნის: „სტყუის ის, ვინც ამბობს, ან ფიქრობს უნიათოდ: რა შეგვიძლიან? არაფერს წარმოვადგენთ!.. ბუმბერაზების ჭიდილში, ბუმბერაზ მოვლენებში არარანი ვართ“-ო. აბა იფიქროს ყოველმა ქართველმა და იმოქმედოს, მიჰბადოს ასეთ გმირებს, თუ საქართველო კვლავ არ აღსდგეს ბრწყინვალედ“.



ნორინა ჯილის საფლავი და აკლდამა
Grave and vault of Norina Gilli

In 1957, the New York Herald Tribune wrote in the obituary of Princess Norina Matchabelli: “Matchabelli Perfume company founded in 1920s, is considered as one of the five most important international Corporations”.

Revaz Gabashvili tells the episodes of Matchabelli life story and concludes: “wrong is he who says or thinks miserably: What can we do? We are nothing! We are nonentities in the battle of Giants and titanic events”. Now if every Georgian thinks and acts, takes example of such heroes, Georgia will brilliantly revive again”.




**PRINCE
MATCHABELLI®**

As individual
as you are.



გიორგი მაჩაბლის სახელისა და ხსოვნის უკვდავყოფა

გიორგი მაჩაბლის გარდაცვალების შემდეგ მისი შექმნილი კომპანია არ დანგრეულა - ფირმა „Prince Matchabelli“ კონექტიკუტის შტატში დღესაც არსებობს.

პროდუქცია, რომელსაც იგი უშვებს, მისი დამფუძნებლის სახელითა და რეცეპტით გამოდის და, რაც მთავარია, საფირმო ნიშანიც იგივეა - გიორგი მაჩაბლის მიერ შექმნილი ემბლემა - ქართულჯვრიანი სამეფო ოქროს გვირგვინი.


გიორგი მაჩაბლის სახელი მხოლოდ ქართველთა ცნობიერებაში არ შემორჩა. ახალგაზრდა ამერიკისმცოდნე მარიამ ხატიასვილმა გამოარკვია, რომ 1971 წელს დაარსდა პრინცი მაჩაბლის ჯილდო Sun Shower Award ქალებისათვის „კარიერაში მიღწეული წარმატებისათვის“. პირველად ეს ჯილდო მიიღეს აფრო-ამერიკული პოეზიის პრინცესად ნოდებულმა ამერიკელმა მწერალმა ნიქი ჯიოვანმა, ქალაქ ნიუ-იორკის საბალეტო დასის პრიმა ბალერინა ქეი მაზომ და დიზაინერმა ბეთსი ჯონსონმა.

1972 წლის 25 იანვარს „ამერიკული ხელნაკეთი ნივთების საბჭოში“, ნიუ-იორკში, „პრინცი მაჩაბლის“ კომპანიის მიერ დაფინანსებულ წვეულებაზე სამ ქალბატონს ჯილდო გადასცა „პრინცი მაჩაბლის“ კომპანიის პრეზიდენტმა ფრენკ სტამბერგმა. 1988 წლიდან დაარსდა „პრინცი მაჩაბლის“ სახელობის ეროვნული გმირის ჯილდო (Prince Matchabelli National Hero Award) მამაკაცებისათვის, „პრინცი მაჩაბ-

Commemorating the name of Giorgi Matchabelli

After the death of Giorgi Matchabelli the company that he had created did not close down – the company-“Prince Matchabelli” is now based in Connecticut. Production which it produces, is made under the founder’s name and recipes and, most importantly, its logo is the same – it was created by Giorgi Matchabelli - a golden royal crown with a Georgian cross.

The name of Giorgi Matchabelli has remained not only in the memory of Georgians. Young expert of the USA Mariam Khatiashvili found out that in 1971 there was established an award of Prince Matchabelli for women, “Sun Shower Award” for career achievements. This award was first granted to: Nikki Giovanni, an American writer who was called a princess of Afro-American poetry, Kay Mazo- New York City Ballet prima ballerina and Betsey Johnson – a designer. January 25, 1972 at “the Council of American handicrafts”, in New York, three women were awarded at the “Prince Matchabelli” company-sponsored party by the company president Frank Stamberg. In 1988 there was founded Prince Matchabelli “National Hero Award” for men, Prince Matchabelli company presented to the consumers a new Au de cologne for men, “Hero”. The company cooperates with a nongovernmental organization “America’s



„პრინცი მაჩაბლის“ საწარმო. 1955 წ.
 “Prince Matchabelli” workshop, 1955

ლის“ კომპანიამ კი მომხმარებლებს წარუდგინა მამაკაცის ახალი ოდეკოლონი სახელად „გმირი“.

კომპანია თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციასთან „ამერიკის დიდი ძმები და დიდი დები“, რომელიც 1904 წელს დაარსდა ნიუ-იორკში. ორგანიზაცია მიზნად ისახავს დაეხმაროს ყველა ბავშვს, წარმოაჩინონ საკუთარი უნარი და შესაძლებლობები. იგი აჯილდოებს წამდვილ გმირებს, რომელთა სახელებს აცნობს ამერიკელ მოზარდებს, რათა ამ გზით ხელი შეუწყოს მათ სამომავლო კარიერის დაგეგმვაში. 1989 წელს პრინცი მაჩაბლის ეროვნული გმირის განსაკუთრებულ ჯილდოზე წარადგ-

big brothers and big sisters” which was founded in 1904 in New York. The organization aims to help every child to demonstrate their skills and abilities. It rewards real heroes, whose names are exposed to American adults in order to facilitate their future career planning this way. In 1989, Prince Matchabelli national hero special award was granted to one of the co-chairman of this non-governmental organization Peter Gaylord. In 1989 Prince Matchabelli national hero award in the field of art and pop activities were given to: a famous American actor and screenwriter Jim Hanson, McDonald’s “former director, a famous American philanthropist Edward Ren-



ნიქი ჯიოვანი, ბეთსი ჯონსონი და ქეი მაზო
 Nick Giovanni, Betsy Johnson and Key Mazo



ჯიმ ჰენსონი
Jim Henson



ედვარდ რენსი
Edward Ranzny

ინეს აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთი თანათავმჯდომარე პიტერ გეილორდი.

1989 წელს პრინცი მაჩაბელის სახელობის ეროვნული გმირის ჯილდო ხელოვნებისა და საესტრადო ღონისძიებების დარგში მიიღეს: ცნობილმა ამერიკელმა მსახიობმა, სცენარისტმა ჯიმ ჰენსონმა, „მაკდონალდის“ ყოფილმა დირექტორმა, სახელოვანმა ამერიკელმა ქველმოქმედმა ედვარდ რენსიმ, ხოლო 1990 წელს ეს ჯილდო მუსიკის დარგში ამერიკული ქანთრის, სამხრეთული როკისა და ბლუგრასის შემსრულებელ მუსიკალურ ჯგუფ „ალაბამას“ გადაეცა.

ჯილდოს მოსაპოვებლად წარდგენილ კანდიდატებს შორის იყო ამერიკის შეერთებული შტატების 41-ე



ჯგუფი „ალაბამა“
The Alabama Band

zy, and in 1990 the award was presented to the group, “Alabama” a performer in the field of American country music, Southern rock and Bluegrass music. Among the award candidates were the 41th President of the United States George Herbert Walker Bush, an American actor, dancer and singer Bob Hope, American baseball player Gary Carter and American comedian, writer and actor Jerry Lewis and others.

A XX century legend, “Prince Matchabelli” underwent some kind of mythologization and transformed in to a fabulous hero in the XXI century American literature. Most of the princes are invented by the writers as literary fictional characters, but there is one prince, who was one of the first to create fragrances and cosmetics business in America and




ოდეკოლონი „გმირი“
Eu de cologne “Hero”

პრეზიდენტი ჯორჯ ჰერბერტ უოლკერ ბუში, ამერიკელი მსახიობი, მოცეკვავე, მომღერალი ბობ ჰოუფი, ამერიკელი ბეისბოლისტი გარი კარტერი და ამერიკელი კომიკოსი, სცენარისტი, მსახიობი ჯერი ლუისი და სხვები.

XX საუკუნის ლეგენდამ, „პრინცმა მაჩაბელმა“ ერთგვარი მითოლოგიზება განიცადა და XXI საუკუნის ამერიკულ ლიტერატურაში გარდაიქმნა ზღაპრულ გმირად. პრინციების უმეტესობა მწერლის მიერ გამოგონილი ლიტერატურული პერსონაჟია, თუმცა არსებობს ერთი პრინცი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შეექმნა ამერიკაში სუნამოებისა და კოსმეტიკის ბიზნესი და რომელმაც „ქალების შესახებ მთელ მსოფლიოში ისწავლა და საკუთარი ცოდნა ფლაკონებში ესენციად გამოხატა“. მწერლის მიერ გამოგონილი პრინციებისაგან განსხვავებით, ამ, წარმოშობით ქართველმა პრინცმა, გიორგი მაჩაბელმა, ინანათების დახმარებით შეაბიჯა ლიტერატურულ სამყაროში და წიგნის ფურცლებზე გადაინაცვლა.

კანადელი მწერლის ქიმ ქრისველის რომანში „ანარეკლი“ ვხვდებით პრინც მაჩაბელს. პატარა გოგონა უითონი ოცნებობს, რომ როცა გაიზრდება, პრინც მაჩაბელზე დაქორწინდება და იცხოვრებს ლამაზ სასახლეში. 10 წლისამ აღმოაჩინა, რომ „პრინცი მაჩაბელი“ ნამდვილი პრინცი კი არ იყო, არამედ მხოლოდ ის კომპანია, რომელიც დედამისის საყვარელ სუნამოს ამზადებდა.

პრინცი მაჩაბლის სახელს, მისსავე შექმნილი სურნელის კონტექსტში, სხვა წიგნებშიც ვხვდებით, მათ შორის, დერეკ მაკკორმაკის „სურნელოვანი სანახაობა“, ფეთი



ჯორჯ ბუში
George Bush



გარი კარტერი
Garry Carter



ბობ ჰოუფი
Bob Hope



ჯერი ლუისი
Jerry Lewis

ქირქის „მოყვარული მორწმუნის აღსარება“, ქეთლინ ჰილსის „მონადირის ცეკვა“, დაიანა პრინცის „ფუტკრები ზამთარში: ლექსები“ და სხვა.

პოეზიიდან აღსანიშნავია ვილიამ თრეისის (წიგნი „ხსოვნის ნაპირი: განმეორებული“) ლექსი „გამოვლენილი მოგონება“. ავტორს წარსულ რომანტიკას პრინცი მაჩაბელის სუნამო „ქარის სურნელს“ ახსენებს, რომელსაც მისი საყვარელი ქალბატონი დიდი ხნის წინ იყენებდა. ახლა კი ავტორს მოულოდნელად ეწვია ეს გრძნობა, გვერდით ჩავლილი ქალისგან ნამოსულმა სუნამოს ნაზმა ღრუბელმა გამოუღვიძა წარსული სიყვარულის აღმაფრთოვანებული გრძნობა. ლექსის მიხედვით, რადენიმე წლის წინ ეს სუნამო პოეტმა საკუთარ მეუღლეს, ცოტა ხნის წინ კი საყვარელ ქალს შეუძინა. ინანათის ეფექტი მასზე იმდენად ძლიერია, რომ ლექსის ბოლოს ამბობს: „კვლავ შე-



დაიანა პრინცი
Diana P rince



ქეთლინ ჰილსი
Kathleen Hills



ვილიამ თრეისი
William Tracey



ქიმ ქრესველი
Kim Cresswel



დერეკ მაკკორმაკი
Derek McCormack

who expressed all his knowledge “about the women of the whole world by fragrances in bottles. Unlike the princes invented by writers, this Georgian-born prince, Giorgi Matchabelli, entered the literary world and found his place on the pages of books.

We meet Prince Matchabelli in the novel by a Canadian writer Kim Cresswel “Reflection”.

A little girl called Whitney dreams that when she grows up, she will marry Prince Matchabelli and live in a beautiful palace. At the age of 10 she found out that Prince Matchabelli, was not a true Prince, but only the company that produced her mother’s favorite perfume.

We find Prince Matchabelli’s name in other books too in the context of the perfume created by him, among others, in the books by Derek McCormack “The Show that Smeels”, Patty Kirk “Confessions of an Amateur believer’s”, Kathleen Hills “Hunter’s Dance”, Diana Prince

გიძლია შეიგრძნო ეფექტი უბრალოდ „ქარის სურნელის“ წარმოთქმით“.

აღბათ ბევრი ამერიკელი გოგონა ოცნებობდა პრინც მარჩაბელზე დაქორწინებას, ბევრ ამერიკელ მამაკაცს კი ახსენებდა და ახსენებს „პრინცი მარჩაბლის“ სურნელები საყვარელ ქალს და, აღბათ, არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, რომ ეს პრინცი - გიორგი მარჩაბელი - მართლა არსებობდა. გიორგი მარჩაბელი ქართველებმაც დაივიწყეს, მან კი უკვდავებაში შეაბიჯა და ლეგენდად იქცა.

საბჭოთა საქართველოში კი არათუ არაფერი იცოდნენ ამერიკაში გიორგი მარჩაბლის საქმიანობაზე, არამედ აკრძალული იყო მისი სახელის ხსენებაც კი.

1980-იანი წლების ბოლოს, ეროვნული მოძრაობის აღმავლობისა და საბჭოთა კავშირის რღვევის კვალდაკვალ, ხელახლა გაცოცხლდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა სახელები. ერთ-ერთი პირველი, ვინც სამშობლოს გიორგი მარჩაბლის სახელი დაუბრუნა და ქართულ საზოგადოებას მისი ბიოგრაფია გააცნო, იყო გურამ შარაძე. 1990-იან წლებში ქართული ემიგრაციის მკვლევრებმა დაიწყეს გიორგი მარჩაბლის ცხოვრებასა და მოღვაწეობის უფრო ღრმა შესწავლა.

2009 წელს დაარსდა გიორგი მარჩაბლის სახელობის ფონდი, რომლის მიზანია პოპულარიზაცია გაუწიოს ამ დიდი მოღვაწის სახელსა და საქმიანობას. მოიძიოს, შეისწავლოს და შეაგროვოს საქართველოში თუ უცხოეთში გაფანტული მარჩაბლის მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დოკუმენტური წყაროები, პერიოდული გამოცემები,

“The Bees in winter: Poems” and other.

From the poetry should be noted William Tracey (the book “Strands of Memory: Repised”) and his poem “Elicited Memories”.


Prince Matchabelli perfume “Scent of the Wind” reminds the author his past romance, and he mentions that his favorite woman used it a long time ago.

Now, suddenly, this feeling haunts the author, the sweet puff of the fragrance coming from a woman passing by his side awoke exiting feeling of his bygone love. According to the poem, the poet bought this perfume for his wife now and for his beloved women a few years ago. The effect is so strong that at the end of the verse he says: “You can still feel the effects of “scent of the wind again” by a mere mention of it.

Perhaps many American girls dreamed of marrying



გიორგი მარჩაბლის ფონდის ფლაერი
Giorgi Matchabelli foundation leaflet



პოლიტოლოგიის ინსტიტუტის
კონფერენციის პროგრამა
Program of the conference of the
Institute of Political Science

ნივთები, ფოტოები, კინოკადრები, პარფიუმერის ნიმუშები, ფლაკონები, პუბლიცისტური, მემუარული, ეპისტოლური თუ სხვა სახის მასალები. არანაკლები მნიშვნელობის მოვლენა იქნება „პრინცი მაჩაბლის“ სუნამოთა ქიმიური ფორმულების აღდგენა და გაცოცხლება.

ფონდმა ჩაატარა რიგი ღონისძიებები: 2009 წლის მაისში პოლიტოლოგიის ინსტიტუტთან ერთად მოაწყო სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ემიგრაცია:

ისტორია და თანამედროვეობა“, კონფერენციის მასალები და სტატიები კი 2010 წელს კრებულად გამოსცა („ქარ-


Prince Matchabelli, “Prince Matchabelli” aromas remained and still remind many American men their beloved women and, perhaps, none of them knew that this Prince - Giorgi Matchabelli - really existed, he was forgotten even by Georgians, but nevertheless he stepped into immortality and became a legend.

In Soviet Georgia they did not know anything about Giorgi Matchabelli’s activities in America, even worse, it was forbidden even to mention his name.


At the end of the 1980s, along with the rise of national movement and in the footsteps of the demise of the Soviet Union, came to life again the names of fighters for the independence of Georgia. One of the first who returned the name of Giorgi Matchabelli to his homeland and introduced his biography to the society was Guram Sharadze. In the 1990s, researchers of Georgian emigration began more in-depth study of the life and activities of Giorgi Matchabelli.

In 2009, Giorgi Matchabelli Foundation had been founded, which aims to promote the name and activities of this great figure. The foundation is determined to find, study and collect connected with his heritage documentary sources, periodicals, articles, photos, films, frames, perfume samples, vials, publicist, memoir, epistolary or other materials scattered in Georgia and abroad. It will be not of less importance to restore and revive chemical formulas of “The Prince Matchabelli” fragrances.

The Foundation held a series of events: In May



კრებული „ქართული ემიგრაცია“
Journal “Georgian Emigration”



გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა Program of Gori State University scientific conference

სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაატარა გიორგი მანაბელის დაბადებიდან 130-ე და გარდაცვალებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ემიგრაცია XXI საუკუნის გადასახედიდან“. 2016 წელს გამოიცა კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების კრებული.

2015-2016 წლებში გამოიცა ჟურნალ „ქართული ემიგრაციის“ კიდევ ორი ნომერი, მზადდება მეხუთე ნომერი.

თული ემიგრაცია. I“). გიორგი მანაბელს მიძღვნილი 2011 და 2012 წლებში გამოცემული „ქართული ემიგრაციის“ II და III კრებულები.

2013 წელს ფონდმა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად დაარსა სექლტანიანი სამეცნიერო ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“. 2013-14 წლებში გამოიცა ჟურნალის ორი ნომერი.

2015 წლის ნოემბერში ფონდმა გორის

2009, in cooperation with the Institute of Political Sciences it organized the conference “Georgian emigration: History and Modernity”, collection of the conference papers and articles was published in 2010 (“Georgian emigration. I”). Published in 2011 and 2012 “Georgian Emigration” II and III collections were dedicated to Giorgi Matchabelli

In 2013 the foundation together with the Science-Research Institute of Georgian Emigration and Geography of Grigol Robakidze University founded a thick scientific journal “Georgian Emigration”. In 2013-2015 there were published three issues of the magazine, the fourth is being prepared.

In November 2015 the foundation held in Gori State University an international scientific conference “Georgian emigration from XXI century perspective” dedicated to the 130th birthday and the 80th death anniversary of Giorgi Matchabelli. In 2016 there was published a collection of conference proceedings.



ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“ Journal “Georgian Emigration”





რედაქტორი: გიორგი სოსიაშვილი

Edited by Giorgi Sosiashvili

დიზაინი: შალვა პაპალაშვილი
თარგმანი: ლელა დოლაქიძე

Designed by Shalva Papalashvili
Translated by Lela Dolakidze

ფოტოები: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
პაატა ნაცვლიშვილის ბიბლიოზეუმი

Photos: The National Parliamentary Library of Georgia
Paata Natsvlishvili's Bibliozeum

© რ. დაუშვილი
© ო. ჯანელიძე

© R. Daushvili
© O. Janelidze

ყველა უფლება დაცულია

All rights reserved

თბილისი

Tbilisi

2019

